

გამოცემა სრულდად საქართველოს მსსწავლებელთა გაგშინისა. თბილისი

# განათლება

ერველთვიური

სამაცნელო-საპარაგოზიო. შურნალი.

№ 3.

გ ა რ ტ ი 1920 წ.

ტ ვ ი ლ ი ს ი

ქალაქთა კავშირის სტამბა, პუშკინის ქ. № 3.  
1920

## ახალი სკოლის მირითადი პრინციპები.

ხალხთა ისტორიაში იშვიათად ყოფილა ისე თვალსაჩინო, ისე მკაფიოდ გამოხატული მოთხოვნილება და საჭიროება იმ დიადი ჰეშმარიტების შეგნებისა, რომელიც იღია ჭავჭაძემ გამოსთქვა თავის „ქართლის დედაში“.

„ჩენ უნდა ჩენი ვშვათ მყობალი,  
ჩენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“.

როგორც იხატება ჩენი ცხოვრების აბობოქრებულ აწმყოში.

დღეს, როდესაც ძველი წესწყობილება დაირღვა, ძველმა ტრადიციებმა და ავტორიტეტებმა დაჰკარგეს თავისი ძალა, როდესაც ჩენ გვიხდება ახალი სახის, შეიძლება ითქვას ჯერ კიდევ უცნობი სხვა კულტურისან ხალხთათვისაც კი, სახელმწიფოს შენება, როდესაც მასში ვართ მთელის ჩენი შემოქმედებითი ძალ-ლონით ჩართულნი, როდესაც გამსჭვალულნი ვართ გავაკაუთ ხალხის სული და გონება ისე, რომ იგი გრძნობდეს თავისი ბედის საჭის გამომჭედავადაც და მის ბატონ-პატრიონადაც, იმ ამ დროს ჩენ არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს რომ მხოლოდ და მხოლოდ ერი განათლებული და შემოქმედი შესძლებს თავის ბედის გამოჭედვასაც და საუკეთესო ცხოვრებისკენ გზის გაკაფასაც. ამისათვის სახელმწიფობრივ აშენებაში კარითინალურ საკითხად უნდა ითვლებოდეს ხალხის განათლების და მასში თვითმოქმედების განვითარების საკითხი — ეს გახლავთ ღერძი, რომელზედაც უნდა დატრიიალდეს ჩენი ქვეყნის ცხოვრება, ეს გახლავთ საკითხი ქართველი ერის მომავალზე.

სამწუხაროთ განათლება და აღზრდა ჩენს ხალხს არ შეუძლიან მიიღოს ოჯახში, რადგანაც ძველი თაობა იმავე ჭრილობით არის დაკადილი და დამახინჯებული, ვერც ცხოვრება მისცემს, რადგანაც სკოლის გარეშე განათლება ჩენში თითქმის სრულებით არ არსებობს და მასთან ერთად პირობები თვითმოქმედებისათვის ჯერ კიდევ უარყოფითია. დღეს-დღეობით ერთად ერთი აღაგი, სადაც ჩენი ხალხი აღიზრდება, როგორც მომავლის შემქმნელი მოქალაქე, არის მხოლოდ სკოლა. სკოლამ უნდა მისცეს ხალხს ის, რასაც მას ჯერ-ჯერობით ვერ აძლევს ვერც ოჯახი და ვერც ცხოვრება.

ალბათ ამ მოსაზრებით აიხსნება ის, რომ მთავრობა უპირველესად და დაუყონებლივ შეეცადა ფართოდ გაეხსნა ხალხისათვის დღემდის სკოლის ჩამონა კარები, შეექმნა ერთიანი (ეдинი) სკოლა, შემოეღო, მიუხედავად ჩვენი დარიბი ხაზინისა, საერთო უფასო სახალხო განათლება სკოლის პირველ საფეხურზე მაიც და ამით მოეხდინა სკოლის დემოკრატიზაცია.

აგრეთვე სრულიად მიზან-შეწონილად და ჩვენი ცხოვრების მოთხოვნილებასთან შეფარდებლად მიმართია ის გარემოება, რომ მთავრობამ ძირითადად შესცვალა საშუალო სკოლის სახე. ყველასათვის ცხადია, რომ საშუალო სკოლა იყო წარმოშობილი წოდებრივი შეხედულების ზედ გავლენით, რათა საშუალება არა ჰქონიყო მუშის, მზარეულის ან მოსარეცხის შვილს განეგრძო სწავლა პირველ-დაწყებითი სკოლიდან. თუ ამას იგი მოისურვებდა ან შეიძლებდა, როგორც გულ-ახდილად ლალადობს რუსეთის ყოფილი მინისტრი გრაფი ტოლსტიო ერთ-ერთს თავის ცირკულიარში. აი რატომ იყო, რომ სხვა და სხვა სასწავლებლიდან თითქმის შეუძლებელი იყო ეგრეთ წოდებულ გიმნაზიებში შესვლა. აი რატომ პრივილეგიურ გიმნაზიებში ბურჯუაზია ათავსებდა თავის შვილებს 7-8 წ., სადაც ყმაწვილი სამუდამოდ ჰკარგავდა კავშირს საზოგადოების ელემენტებთან და ერთგვარი, წოდებრივი-კასტიური ატმოსფერითაც იქლინთებოდა.

ეს უსამართლო და ანტი სახელმწიფოებრივი მოვლენა უნდა მოსპობილიყო და მართლაც მოსამზადებელი განყოფილება ახლანდელ საშუალო სასწავლებლებს უკვე ჩამოაშორეს, რათა ყოველი ბავშვი განურჩევლად გაითქვიფოს ოთხწლიან პირველ დაწყებით სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ მოწაფე დაუბრკოლებლივ გადადის უმაღლეს პირველ დაწყებით სკოლაში, რომელიც იქნება აგრეთვე ოთხწლიანი კურსით და შეადგენს სახალხო სკოლის განუყოფელ მეორე საფეხურს. ახლანდელ საშუალო სკოლას უნდა გამოეყოს (შეიძლება თან და თან) პირველი ოთხი პროგიმნაზიული კლასიც და შეეღულოს უმაღლეს პირველ დაწყებით სკოლას. (ჯერ-ჯერიბით, სადაც მოუხერხებელი და უმჯობესი იქნება, შეიძლება პროგიმნაზიული კლასები ზოგიერთ გიმნაზიებს არ გამოეყოს). მეორე საფეხურიც სახალხო სკოლისა, რასაკვირველია, სასურველია აძლევდეს საზოგადო განვითარებას, მაგრამ ვინაიდან ეჭვს გარეშე, რომ სახალხო სკოლის დამთავრების შემდეგ ბევრი არ წავა (და ეს ასედაც უნდა მოხდეს) საშუალო სკოლაში, არამედ პირდაპირ ცხოვრე-



ბის ასპარეზზე გამოვა სამუშაოდ, უკანასკნელისათვის კი საჭიროა მოწა-  
ფეს ჰქონდეს ცოტათი მაინც პრაკტიკული მომზადება, იცნობდეს ამა  
თუ იმ პროფესიის ელემენტებს. მაინც, საჭიროა სახალხო სკოლის მეორე  
საფეხურზე მოხდეს ერთგვარი განშტოება. ერთი შტო განაგრძობს საზო-  
გადო განვითარების მიცემას ბავშვთათვის და უმეტეს შემთხვევაში მოამ-  
ზადებს აღნად საშუალო სასწავლებელთათვის, მეორე კი ჩვენი ქვეყნის  
სხვა და სხვა კუთხების მოთხოვნილებათა მიხედვით შეეცდება პრაკტი-  
კული ხასიათი მისცეს ყმაწვილის მომზადებას. პრაკტიკული შტოს მიღება  
სახალხო სკოლის მეორე საფეხურზე. გახლავთ არა პედაგოგიური მოსა-  
ზრებით, არამედ ცხოვრების პირობების ზედ-გავლენით. ბევრთათვის საი-  
დუმლო არ გახლავთ ის გარემოება, რომ მრავალს ჩვენს დიდს სოფლებ-  
ში, ხან მთელს თვალ-საჩინო რაიონებშიაც დღემდის სკოლები არ იყო  
და დღესაც შეიძლება არ იყოს. მშრომელი გლეხ-კაცის შვილები იყვნენ  
სკოლის გარეშე დატოვებული. ახლა იმედია, არ დარჩება არც ერთი  
დიდი სოფელი და მით უმეტეს რაიონი, სადაც არ გაიხსნება სახალხო  
სკოლა, რომელშიაც აუცილებლივ უნდა მიიღონ არა 6-7 წლის ბავშვი რო-  
გორც ეს განზრახულია. ან სასურველი, არამედ შესაძლებელია 9-10-11 წ.  
ასე რომ ეს ბავშვები სახალხო სკოლის გაათავებენ 17-18-19 წლისეები. რო-  
გორც ვხედავთ მათ დიდი დაგვიანებით მოუხდებათ სახალხო სკოლის გა-  
თავება, ისინი იძულებულნი იქმნებიან დაუყონებლივ ცხოვრებაში ჩაებან  
და თუ მათ არ ექნებათ პატარა მომზადება მაინც უკანასკნელისათვის,  
მათთვის ცხოვრება ძალიან ძნელი შეიქმნება და თვით სკოლაში ყოფნის  
დროსაც უხალისოდ იქნებიან. ამას ის გარემოებაც უნდა დაემატოს, რომ  
გლეხის ბუნება და ცხოვრება მოითხოვენ რაც შეიძლება მისმა შვილმა  
ადრე შეითვისოს პრაკტიკული ხასიათის ცოდნა. ვინც კი იცნობს ჩვენი  
სოფლის ცხოვრებას, დაგვეთანხმება რომ გლეხკაცი თვის შვილს თით-  
ქმის ათი წლიდან ცხოვრების უღელში აბამს. გუთანზე, კალოზე, ყანაში,  
მწყესობაში, ათი წლის ბავშვი მუყაითი თანამშრომელია თავისი ოჯახისა.  
და თუ სკოლის არ ექნება ცოტათი მაინც პრაკტიკული ხასიათი, რომე-  
ლიც შემდეგში მოსწავლეს მძიმე ცხოვრების პირობებით ბრძოლას გაუ-  
ადვილებს, ვშიშობ ჩვენი გლეხი არ გაექცეს ასეთს სკოლის, არ დაჰკარ-  
გოს მისდამი ნდობა. ამ მოსაზრებას ვუწევთ რა ანგარიშს, ვიცავთ სა-  
ხალხო სკოლის მეორე საფეხურის განშტოებას და მის პრაკტიკული მი-  
მართულების შტოს დაცვას.

სახალხო სკოლის დამთავრების შემდეგ ყმაწვილი თუ მოისურვებს შეუძლიან გადავიდეს საშუალო სასწავლებელში, რომელიც დაწყება ახლანდელი მე-V-თე კლასიდან და იქმება აგრეთვე ოთხ წლიანი კურსით. თანამედროვე პედაგოგიკის ერთს უმთავრეს მოთხოვნილებას შეადგენს მოწაფეში ხალისის და მასთან ერთად თვითმოქმედების გაღვივება. მხოლოდ ამ პირობებში შეუძლიან მოწაფეს ნაყოფიერად იმუშაოს და შეასრულოს თავისი დანიშნულება სკოლამაც, რომლის მიზანიცაა ბავშვის პიროვნების ჰარმონიული განვითარება: ამაღლება გონებისა, გაძლიერება ნების ყოფისა, გასპეტაკება გრძნობის და ესტეტიური განცდის. თუ მივიღებთ შედევრელობაში იმას, რომ საშუალო სკოლაში შევლენ ყმაწვილები 14-15 წლისა და ამ ჰასაკში ბავშვის ინდივიდუალური ბუნების მიღრეკილება ცოტად თუ ბევრად იხატება, ჩვენ მისაღებად და სრულებით რაციონალურად მიგვაჩნია საშუალო სკოლაში მოპედეს განშტოება (ბიფურკაცია) ბავშვის ბუნების მიღრეკილების მიხედვით.

ჩვენ სასურველად ვხედავთ საშუალო სკოლის სამს ძირითად ტიპს: ნეოპანიტარულს, აგებულს ახალი ევროპის კულტურაზე და ენებზე, რეალურს და პროფესიონალურ ტეხნიკურს.

როგორც აღნიშნული გეგმიდან შეიძლება დავინახოთ ახალი სკოლის ქსელში ალაგი აღარა აქვს კლასიურ სკოლის კლასიკური ენებით. ეს გახლავთ ერთ-ერთი ელემენტთაგანი ჩვენი ახალი სკოლის რეფორმისა. დროა სკოლა გავწმინდოთ ზედმეტი ბალისტისაგან, არა ცოცხალი საგნებიდან, დროა მოესპორთ ის შეუჯერებლობა, რომელიც სუფეს ახლანდებოს სკოლის და ბავშვთა ბუნების შორის, დროა სკოლას ავაცილოთ თავიდან გათიშულობა ცხოვრებიდან და მის გარეშე მიმდინარეობა და მჴიღროთ შევადუღოთ უკანასკნელთან, რაღაცაც ის (სკოლა) ამზადებს ახალგაზრდობას ამ ცხოვრებისათვის. ჩვენს განახლებულს სკოლის უნდა მიეცეს პრატიკული და მასთან ერთად ცოცხალი მეცნიერული ხასიათი. ვსდგევართ რა ამ თვალსაზრისზე, ჩვენ კლასიკური საშუალო სკოლის წინააღმდეგნი ვართ.

კლასიკური სკოლის მომხრეთა აზრით საშუალო სკოლას სარჩულად აუცილებლივ უნდა დაედვას ანტიური კლასიკური კულტურა რადგანაც მხოლოდ ის არის ერთად ერთი ყოველმხრივ დამუშავებული, მთლიანი ჰუმანიური იდეებით გამსჭვალული და მაღალი სილამაზით გაფაქიზებული. კლასიკური ენები აგრეთვე მდიდარია შინაარსის მხრივ და დასრულებული.

ლად ჩამოყალიბებული გარკვეულ გრამატიკულ და სტილისტიურ ფორმებში, რომელთა შესწავლასაც მოწაფე შემყავს ძველი კულტურის სულიერ საუნჯის სამეფოში და ძლიერს საუკეთესო საშუალებას გონიერის ფორმალურ ვარჯიშობისათვის და ახალ-გაზრდის სათანადო მომზადება უნივერსიტეტისათვის შეიძლება მხოლოდ ძველ ხალხთა კულტურისა და მათ ენათა შესწავლის მეონებით. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საშუალო სკოლის კურსი ეჭირათ ბერძნულს და ლათინურს ენებს და მათ ავტორების კითხვას.

ასეთს შეხედულებას შეიძლება აზრი და ადგილი ჰქონდა, როდესაც აღორძინების ხანაში. ისტორიულად შექმნილ პირობათა გამო, საშუალო სკოლა ევროპაში წარმოიშვა მხოლოდ ლათინურად, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იყო ერთად-ერთი მომზადებული ლათინურისავე უნივერსიტეტისათვის, შემდეგ როდესაც ევროპაში დიდი გავლენა ჰქონდა ეგრეთ წოდებულ ცრუკლასიკურ ხანას ლიტერატურაში, მაგრამ დღეს ყველა ამათ სრულებით მნიშვნელობა დაპარაგეს და ამის შემდეგ კლასიკური ტიპის საშუალო სკოლის შენახვა და თუ გნებავთ აღდგენა ემსგავსებოდა ძალად თავის თავის დაბეცებას და აი რატომ:

I. მაშინ როდესაც კლასიკური ავტორები რჩებოდენ და რჩებიან უცვლელად და მათი სწავლება რაღაც უშინაარსო გონების ვარჯიშობა-და გადაქცეული, რასაც მშვენივრად მოწმობს ერთი უკიდურესი კლასიკიზმის მომხრეთაგანი რუსეთის ყოფილი მინისტრი დელიანოვი ერთს თავის განმარტებაში სახელმწიფო საბჭოსადმი: „Въ преподаваніи древнихъ языковъ возобладало до нѣкоторой степени одностороннее грамматическое направлениe, т. е. прохожденіе подобнаго курса грамматики и упражненія въ переводахъ съ русскаго языка на древніе отдельныхъ фразъ и искусственно составленныхъ отрывковъ оттѣснили на второй планъ чтеніе и объясненіе писателей, а самые тексты писателей нерѣдко служили главнѣйше какъ бы материаломъ для устныхъ и письменныхъ упражненій въ этимологическихъ формахъ и синтаксическихъ оборотахъ“. ამით აიხსნება ის, რომ რაც უნდა კარგი ყოფილიყო თავისი მისწრაფებით კლასიკური სკოლა, იგი ცხოვრების მოთხოვნილებებს სრულებით ვერ აქმაყოფილებდა და კურს დამთავრებულები გამო-

დიოდენ სასწავლებლიდან იმ ჩტენით, რომ კლასიკური ენების შექმნა  
ლა იყო ტუუილი დროის და ენერგიის დაკარგვა.

II. მაშინ როდესაც კლასიკური ენები და მწერლები უხალისო ბა-  
ლახტად იყო გადაქცეული სხვა საგნების კურსები ვრცელდებოდნენ გან-  
ვითარების მიხედვით და თხოულობდენ მეტს დროს შესასწავლად. საბუ-  
ნების-შეტყველო. საგანთა ძრიელმა განვითარებამ და მათმა ღილმა მნიშვ-  
ნელობამ საზოგადო ცხოვრებაში ძირიანად შესცვალა საშუალო სკოლის  
პროგრამა, და აიძულა ეს საგნები შეეტანა ყოველივე სკოლაში, რო-  
მელსაც მიზნად დასახული პქნნდა საზოგადო განვითარების მიცემა.

III. ცხოვრება გართულდა, მან წამოაყენა ღილი მოთხოვნილებანი.  
იქ, საღაც წინად საკმარისი იყო წერა-კითხვის მცოდნე პირი ღილეს, იგი  
თხოულობს საშუალო სკოლა დამთავრებულს. ამასთან ერთად სჭიროა  
ანგარიში გაუწიოთ იმ მოვლენას, რომ საშუალო სკოლის დამთავრების  
შემდეგ ჩველა არ წავა უმაღლეს სასწავლებელში. ბევრი მათგანი იძულე-  
ბულია დაუყონებლივ პრაკტიკულ ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდეს. უცხო  
ენების, ფიზიკის, საბუნების-შეტყველო საგნების და უფლების ზოგადი დე-  
ბულებათა ცოდნა მათთვის უფრო აუცილებელი საჭიროებაა, ვიდრე  
ბერძნული და ლათინური ენების გრამატიკის და ძველი ავტორების ნა-  
წარმოებთა ნაწყვეტების ცოდნა. ასეთ უმაწვილთათვის საჭიროა, რომ  
მათ მიიღონ საშუალო განათლება დამთავრებული, მთლიანი და არა ნა-  
წყვეტი იმ იმედით, რომ უმაღლეს სასწავლებელში დაამთავრებს, იქნება  
უნივერსიტეტი, თუ სპეციალური უმაღლესი სასწავლებელი. სკოლის  
თავის თავადი (*самодавлѣніе*) ხასიათი არის დაუინებითი მოთხოვნი-  
ლება ჩვენი ცხოვრებისა და ცემენტრალურ სკოლის რეფორმისა.

ერთის მხრივ ყველა ზემო აღნიშნული პირობები, რომელნიც უკა-  
ნასკნელ საუკუნის განმავლობაში მცარიად ებრძოდენ კლასიკურ სკო-  
ლას, რომელსაც, როგორც ზევით დაინახეთ არავითარი ნაყოფი არ  
მოჰქონდა, და მეორის მხრით, ის მოსაზრება, რომ ახალი ევროპის კულ-  
ტურა უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში ისეთი ჩქარის და მტკიცე  
ნაბიჯით წავიდა წინ და ისე დაგვაშორა ძველ კლასიკურ კულტურას-  
თან, როგორც ვერ შესძლეს წინა 5-6 საუკუნეებმა. მასთან ერთად ეს  
კულტურა ისე გაღრმავდა და შინაარსიანი შეიქმნა ყოველ მხრივ, რომ  
ახლა შესაძლებელია ბევრი ნიჭიერი პედაგოგი მეცნიერებისათვის საკამა-  
თოც კი აღარ იყოს ის დებულება, რომ კლასიკური კულტურის მაგიერ



შეიძლება საშუალო ჰუმანიტარულ სკოლის სარჩულად დაედვას აზალი ევროპიული კულტურა. ეს სრული სწორ-ღირებული ეკვივალენტი იქნება პირველისათვის. რუსეთის ყოფილი მინისტრი შვარცი, კლასიციზმის დიდი მომხრე, საშუალო სკოლის რეფორმის ახსნით წერილში გარკვეულად ამბობს: „Наблюдения показали, что гуманитарное образование можно дать при помощи изучения новых языковъ, изучения литературы, истории и этимъ путемъ тоже подготовить умъ юношь на высшимъ занятіямъ“.

### მ. ზანდუკელი.

(დასასრული იქნება.)

საქართველოს სკოლის სისტემის რეფორმაციის საკითხი:

გაგრძელება \*)

### გეგმა მსჯელობისა.

მაგრამ მიუხედავათ ამისა, მიუხედავათ მოწაფეთა ნიჭის გამორკვევის სიძნელისა, არა-დაბალ სკოლის მაინც მიზნად აქვს ასეთი ნიჭის გამორკვევა.

აქ მას საქმე უადვილდება მით, რომ მოწაფენი დადიან სკოლაში თავის სურვილით ან მშობლების სურვილით, ჯერჯერობით ეს ჩვენთვის ერთი და იგივეა. თვით არა-დაბალი სკოლის სპეციალიზაცია უწყობს ამას ხელს: დაბალი სკოლა არ იცნობს სპეციალიზაციას, მაგრამ ის იცნობს მაგივრად სკოლაში მყოფ მოწაფეთა ინდივიდუალიზაციას, რომელსაც ის უაღრეს მნიშვნელობას აძლევს. საყოველთაო სავალდებულო პროგრამის შესრულებისათვის დაბალი სკოლა ხმარობს ყოველგვარ ხერხს მოწაფეთა ინდივიდუალური ფსიქიკის შესაფერისს. პირიქით, საშუალო სკოლა აგებულია სპეციალიზაციაზე, და მისთვის უკვე ნაკლები მნიშვნელობა აქვს ინდივიდუალიზაციას. უკვე სპეციალიზაცია გულისხმობს, რომ მოწაფენი იჯგუფებიან თავის მიღრეკილებისა და თავის ბუნებრივი ნიჭის მიხედვით. ე. ი. გულისხმობს, რომ ინდივიდუალიზაცია სწავლების პირობებთან შე-

\*) იხ. ქურ. განათლება № 2.

ფარდება განხორციელებულია. არა-დაბალი სკოლა არ არის სავალდებულო  
ლო, მაშ თუ იქ მოწაფე შედის ამას ახდენს ის თავის მიღრეკილების  
გამო. აღმართ ის სხვათა შორის გრძნობს ერთგვარ ნიჭის. მაშ შიგ არა-  
დაბალ სკოლაში ინდივიდუალიზაციის აღვილს იჭერს კონტროლი. და-  
ბალი სკოლის იდეა არის რაც შეიძლება რბილად და სავსებით გადაეკ-  
რას მოწაფის ინდივიდუალობას, ამ უკანასკნელის შეულახველად. არა-  
დაბალი სკოლის იდეა არის რაც შეიძლება მეტი მიაღწევიოს მოწაფეს,  
თუ ყველას არა რამოდენიმეს მაინც. ყველა მოწაფეს შეათვისებინოს ასე  
თუ ისე საგანი — აი დაბალი სკოლის დანიშნულება. საუკეთესოდ შეათვი-  
სებინოს მოწაფეს თავისი საგანი, თუ ყველას არა, ზოგიერთს მაინც — აი  
არა-დაბალ სკოლის მიზანი: რეკორდი ამოძრავებს არა-დაბალ სკოლას.  
მისი ყურადღება მიმართულია ზევით პროგრამისაკენ უფრო, ვიდრე ქვე-  
ვით მოწაფეთა ინდივიდუალობისაკენ. იმ დროს კი დაბალი სკოლის ყუ-  
რადღება პროგრამა არ იქნებს იმდენს აღვილს, ვიდრე მოწაფეთა პიროვ-  
ნება. ამიტომაც დაბალი სკოლის ცხოვრებაში კონტროლს ნაკლები მნიშვ-  
ნელობა აქვს, ვიდრე არა-დაბალ სკოლაში.

მასწავლებელს საშუალება იქნა დაახლოვებით მაინც იმსჯელოს მო-  
წაფეთა ნიჭი, ყოველ შემთხვევაში ბუნებრივად კარგად დაჯილდოვებუ-  
ლების ბუნებრივად სუსტად დაჯილდოვებულთაგან გარჩევა და ამ გარჩე-  
ვის ობიექტიური აღნიშვნა შეაღენს არა-დაბალი სკოლის თვისებას,  
რომელიც გამომდინარეობს მისი დანიშნულებისაგან.

თუ აგრეა არა დაბალ სკოლამ უნდა აირჩიოს მაქსიმალური ნორმა მეცნალინგისა.

მართლაც ამ უკანასკნელი ათეულ წელთა განმავლობაში არა ერთხელ დასმული საკითხი იმაზე, რომ საშუალო სკოლა განსაკუთრებით ისეთ მოთხოვნილებებს უყენებს მოწაფეთ, რომ მათი შესრულება ართმევს ამ უკანასკნელთა უმრავლესობას არაქათს. საჭიროა, გვეუბნებიან, საშუალო სკოლამ შეამციროს თავისი მოთხოვნილებები.

ჩემის აზრით შეიძლება, საშუალო სკოლის მოთხოვნილებებზე, მისი პროგრამაზე და სხვაზე მსჯელობა ამ უკანასკნელთა შინაგანი შენობის

თვალსაზრისით, და არა იმ თვალსაზრისით, რომ ყველაფერი ეს ღლის მოწაფეთ და ზოგი ამის გამო-სუსტდება და ჭლექიანდება. ლათინური ენა უნდა მოისპოს“ გვესმის მაგალითად, ხშირად, რადგან ის იმ ზომაზე ძნელია. რომ მოწაფეებს უჭირს მისი სწავლა. მათემატიკის პროგრამა საშუალო სკოლაში უნდა შემცირდეს, რადგანაც მოწაფეებისათვის ამ პროგრამის შესრულება ძლიერ ძნელია და სხვა ამგვარი.

ასეთი წინადადებები აშენებულია ან ეგოიზმზე ან გაუგებრობაზე. უფრო ხშირად კი, მე ვფიქრობ, გაუგებრობაზე. შეიძლება ლათინური ენა მართლაც გამორიცხულ იქმნეს საშუალო სკოლიდან, შეიძლება მათემატიკის პროგრამა მართლაც შემცირებულ იქმნეს,— მაგრამ არა იმისთვის, რომ ლათინური ენის და მათემატიკის სწავლა ეძნელებათ მოწაფეთ, არა მედ სულ სხვა მოსაზრებით. ვისაც ეძნელება არა დაბალი სკოლის რომელიმე ტიპის პროგრამის შესრულება, მას არავინ არ აძალებს ამ სკოლაში ყოფნას. მაში შეუძლიან სხვა ტიპი აირჩიოს, ან უკიდურეს შემთხვევაში, თუ მას არ შესწევს საკმაო ნიჭი, განისაზღვროს დაბალი განათლებით, რომელიც მიანიჭა მას სახელმწიფომ. სრულიად არ არის საჭირო, რომ რომელიმე უნიჭი ადამიანს ძალით მოვაჭვიოთ საშუალო ან უმაღლესი განათლება, მისი ორგანიზმის დასუსტების ან და კიდევ უარესი, მისი დაავადმყოფების საშუალებით. ისევ სჯობს რომ ადამიანი ჯანსაღი იყოს და არ მიიღოს მან უმაღლესი განათლება, ვიდრე ის, რომ მან გათავოს უმაღლესი სკოლა და შეიძინოს უმაღლეს განათლებასთან ერთად ჭლექიც. ამაში დავა შეუძლებელია. მაგრამ აქედან სრულიად არ გამოდინარეობს ის, რომ უმაღლესი სკოლის მოთხოვნილებები შევამციროთ იმ ზომაზეც, რომ რეგვენსაც შეეძლოს მისი შეთვისება. ასეთ აზრს თუ დავადგებით, უმაღლესი სკოლის დონე ძლიერ დაეცემა და ის ვერ მოვცემს სახელმწიფოსათვის საჭირო აღამიანებს, ე. ი. ჩვენ ავცილდებით სახელმწიფო სკოლის მიზანს. მაში მისაღებია მხოლოდ მეორე გზა: ის რომ არა-დაბალ სკოლაში სამაცადინო ნორმად მაქსიმუმი და არა მინიმუმის არჩევა.

სრულიად გასაგებარია; თუ ჩივილი იმის შესახებ, რომ საშუალო სკოლა ღლის მოწაფეებს, უმთავრესად შეძლებულ წრეებიდან გვესმის. მატერიალურად უზრუნველყოფილი მშობელი, რომელსაც საპრივილეგიო ადგილი უჭირავს საზოგადოებაში, ცდილობს რომ ეს პრივილეგია მან თავის შთამომავლობასაც გადასცეს, თუმცა ეს „შთამომავლობა“ ვერ

იჩენს სათანადო ნიჭეს. იმის მაგივრად, რომ გაიყვანოს თავის უნიკატაც შვი სკოლიდან, ის მოითხოვს, რომ დაწეულ იქნეს საშუალო სკოლის დონე, რომ მის შვილმაც შესძლოს საშუალო სკოლის ღობეზე გადაფორთხვა და შემდეგ, მიუხედავათ თავისი უნიჭობისა, დაიჭიროს საზოგადოებაში ღირსაშესანიშნავი იდგილი, ასეთი ადამიანი მოითხოვს, რომ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესი შეეწიროს მსხვერპლიდ მისს ცვლიზმს. ღარიბი ვაჟი არ იტყვის იმას, რომ საშუალო სკოლის კურსი ძნელია. ის მხოლოდ მაშინ აძლევს საშუალო სკოლაში ბავშვს, როდესაც დარწმუნებულია მის არა-ჩვეულებრივ ნიჭები და რაკი შეამჩნევს, რომ ბავშვს უჭირს საშუალო სკოლაში სწავლა, დაუყონებლივ გამოჰყავს ის და აბარებს სხვაგან. რად არ უნდა იქცეოდეს ასე შეძლებული მშობელიც? რისთვის უნდა მათი შვილებმა უსათუოდ გაათავონ უმაღლესი სასწავლებელი, თუ მთელი ბუნება ამ ყმაწვილებისა ეწინააღმდეგება უმაღლეს განათლებას!

აქ შეიძლება ერთი მოსაზრების მოყვანაც. განათლება ხომ ყოველ შემთხვევაში დადებითი ღირსაშეს უნდა ცდილობდეს ხელი შეუწყოს იმას, რომ რაც შეიძლება მეტმა მოქალაქეშ შეითვისოს განათლება.

ამას ყველაფერს ვღებულობთ ჩვენც მხედვედველობაში, მაგრამ საქმე იმაშია რომ სახელმწიფო დაინტერესებულია, რომ საშუალო სკოლაშ მისცეს მას მხოლოდ საჭირო რიცხვი სათანადო მომზადებულ პირთა. თუ მაგალითად მსურველთა რიცხვი მეტია, ვიდრე ის რიცხვი, რომელიც ესაჭიროება სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში სკოლას შეუძლია ასწიოს თავის მოთხოვნილები და გადააჭარბოს იმ მინიმუმს, რომელსაც მოითხოვს სახელმწიფო. მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს ყოველგან ერთნაირი საზომით. აი ამაში შესდგება რეკორდის იდეა.

რა ზომაზედ იქნება ეს მოთხოვნილება, ამას სწყვეტს ის პროპორცია, რომელიც არსებობს მოთხოვნილების დანიშნულების შორის. მაგალითად, მასწავლებლები ჩვენ ბევრი გვჭირია, მასწავლებლად კი ნაკლებად მიდიან. სულ სხვანაირია დამოკიდებულება, რომელიც შეეხება, მაგალითად, იურისტებს. იურისტები შეიძლება ნაკლებად გვჭირდეს, მაგრამ იურისტობის მსურველთა რიცხვი კი მრავალია. ცხადია, რომ სახელმწიფოებრივი სკოლა, რომელიც ამზადებს მასწავლებლებს, უნდა სცდილობდეს შეაძლებინოს თითოეულს თავის მოსწავლეს გაათავებინოს კურსი,

შეიძლება თავის მოთხოვნილებების მინიმუმამდის მიყვანითაც. სულ სხვა-  
ნაირია მდგომარეობა იმ სკოლაში, რომელიც ამზადებს იურისტებს.  
ასეთს სკოლას უკვე მიღებული პირობების ძალით, შეუძლია მეტი სიმ-  
ტკიცე გამოიჩინოს, მოთხოვნილებები და თვით პროგრამაც გააღრმა-  
ოს და გააფართოვოს.

აქ შესაძლებელია მრავალი შემთხვევები, რომლებიც გრადაციას უნდა წარმოადგენდნენ. ოვითოვეული შემთხვევის გრადუსი ირკვევა იმ დამოკიდებულობით, რომელიც არსებობს მოთხოვნილების და წინადადების შორის. ასც მეტია მომზადებულ პირთა მოთხოვნილება რომელიმე დარგში, მით უფრო მეტი უნდა იყვეს მოთხოვნილება რომელსაც შეიცავს ამ დარგისათვის მოსამზადებელი სკოლა.

ამნაირად რომ გავსინჯოთ, ყველაზედ უფრო საჭირო და ყველაზედ  
უფრო ნაკლებად უზრუნველყოფილი პროფესიებისათვის მოსამზადებელი  
სკოლები ყველაზედ უფრო ნაკლებ მოთხოვნილებებს უნდა შეიცავდენ.  
ყველაზედ უფრო ნაკლებად საჭირო და ყველაზედ უფრო მეტად უზრუნ-  
ველყოფილი პროფესიებისათვის მოსამზადებელი სკოლა ყველაზედ უფრო  
მეტს მოთხოვნილებებს უნდა შეიცავდენ.

აქ ნუ იტყვიან იმას, რომ სკოლა არ უნდა იყოს კონკურენციის  
ასპარეზი, რომ კონკურენცია უნდა სკოლის გარეშე, თვით ცხოვრებაში  
არსებობდეს. ცხოვრება თვითონ გამოარკვევს, ვინ არის უკეთესი და ვინ  
არის უარესიო. ვინც ისე მსჯელობს იმას ავიწყდება, რომ თვით სკოლა  
არის ცხოვრების ნაწილი; და არ შეიძლება იქ ისე იზრდებოდეს ბავში,  
როგორც იზრდება მცენარე თრანსფერიაში. მხოლოდ დაბალი სკოლა  
შეიძლება იყოს თავისუფალი კონკურენციის პრინციპიდან, ვინაიდან ის  
ყველამ უნდა გაიაროს, თუმცა აქაც იჩენს თავს წვრილმან და შეუმჩნე-  
ველ ნიუნსებში ეს ძალა, რომელიც ამოძრავებს მთელს ორგანიულ ბუ-  
ნებას.

აი ამიტომაც საკითხი სამაცადინო ნორმის შესახებ უნდა გადაწყვდეს არა მხოლოდ ფსიქოლოგიურ, არამედ სოციოლოგიურ მოსაზრებების გავლენის ძვეშ.

ხშირად გვითითებენ ხოლმე ამერიკულ საშუალო სკოლებს, რომელიც გამომდინარეობენ თავის მოქმედებაში უფრო მოწაფეთა ბუნებიდან, ვიღრე ლბიექტივურად მიცემულ პიროვრამიდან. მაგრამ, ნუ დაგვაიწყდება ერთი რამ: ამერიკა განსაკუთრებულ პირობებში იმყოფება.

ეს არის ახალი ქვეყანა, რომელსაც სჭირია აღამიანის ძალა. რომ თვით ამერიკის ისტორიულ ვითარება უკვე სწყვეტს მისთვის საშუალო და უმა-ლლესი სკოლის საკითხს სხვაფრივ, ვიდრე ეს საკითხი სწყდება საფრან-გეთში ან გერმანიაში ან სხვა რომელიმე ევროპიულ ქვეყანაში. ამერიკა თავისუფალი ქვეყანაა ამ სიტყვის უაღრესი მნიშვნელობით. აღამიანი იქ ფასდება ძლიერ ძვირად, რადგანაც ამერიკის ამოუწურავი ბუნება გამოი-ყენებს თითქმის ყოველგვარ აღამიანს. ჩვენ იძას კი არ ვამბობთ, რომ ევროპამ ამოსწურა თავისი ბუნება სავსებით, ჩვენ ვამბობთ მხოლოდ, რომ თანამედროვე კულტურის ხარისხის მიხედვით ევროპის ბუნებას შეუ-ძლია ასაზრდოვოს მხოლოდ იმდენი ხალხი, რამდენსაც ის ასაზრდოვებს. ახლად აღმოჩენილი ამერიკა, მას შემდეგ რაც ის დაცარიელებული იქნა წითელი აბორიგენებისაგან, ფართე ასპარეზს წარმოადგენდა ევროპიულ კულტურით აღჭურვილ აღამიანისათვის. რომ ევროპა არა ყოფილიყო, რომ მისი კულტურა არ არსებულიყო, ამერიკის აღმოჩენას სრულიად არ ექნებოდა ის მნიშვნელობა, რომელიც მიენიჭა მას რეალურად.

ამერიკა არის იმმიგრაციის ქვეყანა, ევროპა კი არის ემიგრაციის ქვეყანა. ცხადია რომ საშუალო სკოლა ამერიკაში არ უნდა იყოს ისეთი, როგორიც არის ევროპაში. იქ ინდივიდუალიზაციის პრინციპს მეტი მნიშვნელობა უნდა ქონდეს. იქ უფრო მორიცებით უნდა ეპყრობოდენ საკითხს იმაზე, თუ რის გაკეთება შეუძლია მოწაფეს.

და სწორედ იმიტომ, რომ ამერიკაში ასეთ დაყენებული არა-დაბალი სკოლა. ამ სკოლაში კურს დამთავრებულებმა არ იციან იმის ნახევარიც, რაც იციან ევროპაში კურს დამთავრებულებმა. ამერიკაში ექიმის ან აღ-ვოკატის დიპლომის მიღება თითქმის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. სხვაგვარად არის დაყენებული საქმე ევროპაში.

ჩვენ ვის უნდა მივემხროთ, ევროპას თუ ამერიკას? არის დარგი, საღაც საჭიროა ჩვენთვის ამერიკული მეთოდი: ასეთია უმთავრესად პრო-ფესიული განათლების დარგები. ჩვენი ქვეყნის ბუნება არ არის ამოწურული სავსებით, რამდენადაც შეიძლება მისი ამოწურვა თანამედროვე კაცობრიობის კოდნის მიხედვით. ამიტომაც ჩვენი ქვეყანა არის იმმიგრაციის ქვეყანა: ჩვენში მრავალი უცხოელები ჩამოდიან, ესახლებიან აქ და მდიდრდებიან. ეს ხდებოდა უწინაც, როდესაც რუსებთან ერთად ვიყვავთ. ეს უფრო მეტი მასშტაბით მოხდება აწი. საჭიროა რომ ქართველი კაცი თვითონ სარგებლობდეს საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრით. ამას უზრუნ-



ველყოფს ფორმალურად პოლიტიკური თავისუფლება და ის ფაქტიც, რომ ქართველისათვის საქართველო არის საშუალო, სადაც ის ცხოვრობს. საჭიროა მარტო რეალური გარანტია: ეს გარანტია კი უნდა შექნას სკოლამ. მან უნდა მოვცეს სათანადოდ მომზადებული პროფესიონალები: რაც მეტი, მით უკეთესი. ასეთ დარგში (პროფესიულ სკოლებში უმთავრესად), ჩვენი სკოლა უნდა ნაკლებ მოთხოვნილებებს უდევნდეს: ყველამ ისწავლოს, ყველანი გამოდგებიან.

მაგრამ არის სხვა დარგის სკოლები, სადაც ეს საზომი ნაკლებად გამოსადევარია. ასეთია, მაგალითად, ის დარგები, სადაც მოთხოვნილება ნაკლებია და წინადადება კი დიდი. ასეთია მაგალითად ჩვენი საზოგადო განათლების საშუალო სკოლები, სადაც მრავალი მოწაფეები სწავლობენ, მოთხოვნილება კი საზოგადო საშუალო განათლების ადამიანებზე არ არის იმდენი. ექვემდებარება უმტკიცნეობად შეიძლება სკოლის მოთხოვნილების გადიდება: მაინც დაგვირჩება საკმაო რიცხვი საზოგადო საშუალო განათლება მიღებულ პირების.

ვინც ვერ შეიძლებს მაღალი მოთხოვნილებების სკოლა დაასრულოს მას საშუალება აქვს უფრო დაბალი მოთხოვნილების სკოლაში უკვიდეს. სახელმწიფოს აქვს მთელი რიგი ამ სკოლებისა (პროფესიული სკოლები უმთავრესად). თუ ეს დაკლებული მოთხოვნილებების სკოლაც ენერება მოწაფეს, მას შეუძლია კერძო სკოლას მიმართოს, აქ ეხსნება გზა კერძო სკოლას, რომელიც სკოლობს მეტი ანგარიში გაუწიოს მოწაფის პიროვნების თვისებებს და შეუფარდოს ამ თვისებებს თავისი მეთოდები და პროგრამმაც. კერძო სკოლა უნდა შეიქნეს იმ რეზერვუარად, სადაც იყრიბებიან ყმაწვილები, რომელთაც სახელმწიფო სკოლის მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ ძალუდო, ან არ სურთ ამ სკოლაში სწავლა.

შეიძლება ბოლოს და ბოლოს ასეთი კითხვაც დაისვას: თუ ისეთია სახელმწიფოებრივი არა-დაბალი სკოლის იდეა, როგორც ეს ზევით იყო დასახული, თუ ის ნორმას, პროგრამმას, კონტროლს მეტს მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე მოწაფეთა ინდივიდუალურ მიღრეკილებას და სხვა გვარ ინდივიდუალურ თვისებებს, უხადია, რომ მისი იდეა ეწინააღმდეგება წმინდა პედაგოგიურ იდეას, რომელიც მოითხოვს სკოლის მეთოდების ინდივიდუალიზაციას მოწაფეთა პიროვნების მიხედვით. თუ აგრეა, მაშინ პედაგოგიური თვალსაზრისით, შეიძლება, უკეთესი იყოს, რომ სრულიადაც არ არსებობდეს სახელმწიფოებრივი არა-დაბალი სკოლა.

ბევრიც, მართლა, ასეთ აზრს ადგია: ბევრი ფიქრობს, რომ პრატისტული ბალი სკოლა უნდა იყოს სახელმწიფოს გამგეობის გარეშე („თავისუფალი სკოლის“ თეორია).

მაგრამ არც პედაგოგიკა, რომელიც არჩევს ინდივიდუალს, როგორც ფაქტს, ინდივიდუალი, როგორც იდეალიდან და მოითხოვს მხოლოდ ამ უკანასკნელი ინდივიდუალს განმტკიცებას, არც სხვა გვარი ფაქტები არ გვაძლევენ ჯერ-ჯერობით საკმაო საბუთს იმისათვის, რომ არა-დაბალი სკოლა სრულიად გამოიყოს სახელმწიფოს კომპენტენციას. პირიქით, ჩვენ ვამჩნევთ იმ ქვეყნებში, სადაც საშუალო და უმაღლესი სკოლები სავსებით კერძო სკოლები იყვნენ, რომ სახელმწიფო თანდათან მეტს გავლენას ახდენს ამ სკოლებზე. ასეთია მდგომარეობა ამერიკაში და ინგლისში.

ჩვენ მოვცულით ჩვენს მთავარ საგანს, და შევეხეთ საკითხს არსებითად, მაგრამ ეს საჭირო იყო იმისათვის, რომ გვქონოდა ერთგვარი ილუსტრაცია, რა დამოკიდებულება უნდა არსებობდეს ჩვენი გეგმის და საბოლოოდ საკითხის გადაწყვეტის შორის. ეხლა დავუბრუნდეთ კვლავ გეგმას. ჩვენ შევჩერდით სამაცადინო დროს განსაზღვრაზე.

ყოველ დღიური სამაცადინო დროს განსაზღვრისათვის, რომელიც უნდა დაედგას ჩვენს სკოლას სარჩულად, ჩვენ უნდა მივიღოთ ერთი ნორმა დაბალი სკოლისათვის, მეორე-კი არა-დაბალი სკოლისათვის. თვით ამ არა-დაბალ სკოლაში სამაცადინო ნორმა უნდა განიჩევოდეს სკოლის ტიპების მიხედვით: დაბალი იმ ტიპების სკოლებში, რომლის მოთხოვნილება ნაკლებია და წინადადება კი დიდი, ეს ნორმა უნობა ავტორი იმ ტიპების სკოლებში, სადაც მოთხოვნილება დიდია და წინადადება კი ნაკლები.

საკითხი რამდენი საათის მაცადინობა შეუძლია ბავშვს, დამოკიდებულია სხვათა შორის ამ ბავშვის წლოვანობაზე: რაც უფროსია ბავშვი საზოგადოთ, მით უფრო მეტი შრომა შეუძლია მას.

გარდა წლოვანობისა რასიული, ეროვნული, სოციალური და მრავალი სხვა გვარი პირობები ახდენენ გავლენას, როგორც ზევით იყო მოხსენებული, ადამიანის მაცადინობის უნარზე. მათემატიკური სისწორით განსაზღვრა ასეთ სამაცადინო საათის რიცხვი შეუძლებელია. ჩვენი მდგომარეობა ამ შემთხვევაში ნაკლებად სანუგეშოა, რაღაც ქართველი კაცის მაცადინობის უნარზე, და ამ მაცადინობის უნარის განსაკუთრებულ თვისებებზე ჯერ არავის მიუქცევია მეცნიერისებური ყურადღება. მაშ თუ



ისღა გვრჩება, რომ დავეყრდნოთ უცხოელების გამოკვლევებს, რომელიც ეხება უცხოელ ბავშვების მაცადინობის უნარს. ზოგად გამოკვლევებს, როგორიც არის, მაგალითად კრეპელინის გამოკვლევები, გვერდი რომ ავუხვით, ჩვენ მივადგებით სკანდინავიის ჰიგიენისტს აღოლფ კეის, რომელმაც ბევრი საკითხი სასკოლო ჰიგიენის დარღვიდან საუკეთესოდ გააშექა. აღოლფი კეი სხვათა შორის შეეხო მოწაფეთა მაცადინობის უნარს მათი წლოვანობის მიხედვით. აღოლფ კეის მხედველობაში ყავდა ჰატარა შვედები. ვინაიდან სხვა გზა არ დაგვრჩენია, ვიგულისხმოთ რომ აღოლფ კეის ტაბლიცა ჩვენც გამოგვადგება ქართველი ბავშვების მაცადინობის უნარის გასაზომად.

სასკოლო მაცადინობა სკოლის ბუნების მიხედვით განიყოფება ორ ნაწილად: მაცადინობა მასწავლებლის თანდასწრებით, მაცადინობა მასწავლებლის დაუსწრებლად. პირველის ქვეშ იგულისხმება უმთავრესად გაკვეთილები. რომელსაც მოწაფენი ისმენენ კლასში, მეორის ქვეშ იგულისხმება უმთავრესად სახლში მოწაფის მიერ გაკვეთილების მომზადება ან სხვაგვარი სკოლის მიერ დაკისრებული ან თავის ინიციატივით ნაწარმოები მუშაობა. პირველის და მეორის ჯამი არ უნდა აქარბებდენ იმ ნორმას, რომელსაც ჩვენ მივიღებთ სამაცადინოთ. ოღონდ შესაძლებელია სხვა და სხვაგვარი განაწილება მოელი სამაცადინო დროისა: შეიძლება მასწავლებლის თანდასწრებითი მუშაობის გადიდება, მაგრამ მაშინ უნდა შემცირდეს მასწავლებლის დაუსწრებელი მაცადინობის დრო; ან პირიქით, შეიძლება მასწავლებლის დაუსწრებელი მუშაობის გადიდება, მაგრამ მაშინ უნდა შემცირდეს მასწავლებლის თანდასწრებითი მუშაობის დრო. რომელ სკოლაში როგორ მოვიქცეთ, აი ეს საკითხი უნდა გაირკვეს დაწვრილებით.

ამ საშუალებით ჩვენ გამოვარკვევთ, რამდენი საათის მაცადინობა შეუძლიათ სასკოლო ჰასაკის სხვა და სხვა წლოვანების ბავშვებს ყოველდღიურად. რაღაც სასკოლო მაცადინობის დღეები უკვე გამორკვეული იყო, ვიდრე ყოველდღიურ მაცადინობის განსაზღვრას შევუდგებით, თავის თავად ცხადია, რომ ეხლა ჩვენ გარკვეული გვაქვს ისიც, რამდენი საათის მუშაობა შეუძლია მოწაფეს წლის განმავლობაში. ეხლა თუ ისიც მივიღეთ მხედველობაში, რომ სკოლის ხანგრძლივობაც უკვე გარკვეული გვაქვს, ჩვენ შეგვიძლია გამოვიტანოთ ისიც, რამდენი საათის მუშაობა შეუძლია მოწაფეს მოელი სკოლის კურსის განმავლობაში: კლასში მასწავლებლის თანდასწრებით და სახლში მასწავლებლის დაუსწრებლად.

ასეთი გამოკვლევის შედეგი უნდა შეფარდებულ იქნეს შემდეგ სკოლის პროგრამასთან და თითოეულს სასწავლო საგანს უნდა მიესაჯოს სათანადო ნაწილი სამაცადინო დროისა, თანახმად ამ საგნის მნიშვნელობისა მთელი სკოლის კურსში.

ეს ნაწილი თავის მხრივ უნდა განაწილებულ იქნეს წლიურად: შეიძლება ეს განაწილება მოხდეს თანასწორობის პრინციპზე, ე. ი. ერთი წლის სამაცადინო დრო, რომელიც დაენიშნა რომელიმე საგანს, უდრიდეს ამავე საგნის სამაცადინო დროს დანარჩენ წლებშიც. ისიც შეიძლება, რომ თანასწორობის პრინციპი დარღვეულ იქნეს სხვა და სხვა მოსაზრებების მიხედვით; მაგალითად, მეზობელი საგნების პროგრამის ზეგავლენით. ეს შეტადრე რთული საგანია, და მის გადაწყვეტა მრავალნაირად შეიძლება. წინასწარ კი ამის განსაზღვრა შეუძლებელია. მე მინდა მხოლოდ დაისახო გეგმა, როგორ უნდა სწარმოებდეს მსჯელობა საგნების პროგრამის შესახებ.

როდესაც გამოირკვა დროს განაწილება, თითოეული წლისათვის ყოველ საგანში (ეს მოხდება კვირეული გაკვეთილების ნუსხის შედგენით) უნდა მესამეჯერ აღიძრას საკითხი პროგრამის შესახებ: ლოდიკური თანდათანობით და სხვა საგნებთან შეფარდებით განაწილებული პროგრამა უნდა შევაღაროთ გაკვეთილების ნუსხას და თუ მათშორის არ არის თანხმობა, შევასწოროთ ან პროგრამა ან გაკვეთილების ნუსხა.

ასეთია მთავარი ხაზები პროგრამის დეტალების გამორკვევისა, სკოლის მეთოდებთან მისი შედარების საშუალებით.

სკოლის მეთოდების საკითხია აგრეთვე ვიწრო მეთოდიური საკითხი როგორ უნდა მასწავლებლებმა ასწავლონ თავის საგანი. ეს საკითხი არ შეიძლება სკოლის რეორგანიზაციის საკითხად გავხადოთ, ვინაიდან ეს იქნებოდა პედაგოგიური შემოქმედების მოკვლა, მისი მაკრიქლებელი წყაროს ამოშრობა. რეგლამენტაცია ამ საკითხში შეუძლებელია. ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ იმით, რომ უკვე სკოლის მიზანი, მისი პროგრამა და მისი მასალა (ბავშვები) საზღვრავენ მასწავლებლის მოქმედებას და აძლევენ მას მიმართულებას. გარდა ამისა, ჩვენ შეგვიძლია არა-პირდაპირი გზით მივაღწიოთ ჩვენს მიზანს და მასწავლებელთა მეთოდები სასურველად მივმართოთ: ეს გზა — ყველა ის გავლენა, რომელსაც განიცდის მასწავლებელი გარემოდან: ჩვენ შეგვიძლია მასწავლებლის გარემოს შეცვლა, და უკვე ეს საკმაოა, რომ მან თვითონ სპონტანიურად შეითვისოს ამ გარემოდან ის, რაც საჭიროა.

მასწავლებლის გარემოს საკითხი კი დაკავშირებულია მის შესახებ საზოგადო საკითხთან და სწორედ იქ უნდა ის გაირჩეს.

სკოლის მეთოდების საკითხის სკოლის შინაური და გარეგანი წესრიგის საკითხიც: პედაგოგიური საბჭოს, სამეცნიერო კომიტეტის, დირექტორის და სხვა თანამდებობის პირთა საკითხები ეკუთვნიან სკოლის შინაურ ცხოვრებას. სასწავლებლის სხვა სასწავლებლებთან ან ცენტრალურ გამგეობასთან დამოკიდებულება შეაღენს სასწავლებლის გარეგანი წესრიგის საკითხს. უნდა გამოირკვეს ამ დამოკიდებულების უზრუნველსაყოფი საფუძვლები.

დეტალები ამ საკითხებისა უნდა გამოირკვეს თვით მუშაობის პროცესში.

დაბალი სკოლის გარეშე დარჩა სახელმწიფოებრივი სკოლის ფრიად თვალსაჩინო ნაწილი-არა-დაბალი სკოლა. დღეს არა-დაბალი სკოლა გაყოფილია ორად: საშუალო და უმაღლეს სკოლად.

საზოგადო განათლების საშუალო სკოლის აზა აქვს დღეს დამოუკიდებელი მნიშვნელობა: მისი მნიშვნელობა განიზომება იმით, რომ ის ამზადებს უმაღლეს სკოლაში შესავლელად. თუ პრინციპი ერთიანი სკოლის მიღებული იქნა, მაშინ უმაღლესი სკოლისათვის ამზადებდეს იქნება დაბალი სკოლაც. საშუალო სკოლის საჭიროება ამ შემთხვევაში განიზომებოდეს იქნება იმით, რამდენად დაბალ სკოლას არ ძალუს მოამზადოს მოწაფე უმაღლესი სკდლისათვის. ეს კი დამოკიდებულია, ერთის მხრივ დაბალი სკოლის შინაარსიდან რომელიც გადაბმულია მის ხანგრძლივობასთან, მეორეს მხრივ, თვით უმაღლესი სკოლის ბუნებიდან.

თუ, მაგალითად, ჩვენ ისეთი დაბალი სკოლის მოწყობა მოვახდეთ, რომ იქ კურს დამთავრებულები შესძლებენ. უნივერსიტეტში მაცადინობის გაგრძელებას, საშუალო სკოლას არ ექნება არავითარი აზრი არსებობისათვის და ის უნდა მოისპოს. მისი არსებობის აზრი ერთიანი სასკოლო სისტემაში დამოკიდებულია მხოლოდ იმაზე, რომ დაბალ სკოლას არ ძალუს უმაღლესი სკოლისათვის მოწაფეები.

ასეთია საზოგადო განათლების საშუალო სკოლის მდგომარეობა ერთიანი სკოლის სისტემაში. სულ სხვა იყო მისი მდგომარეობა წარსულში, როდესაც მას თვისი დამოუკიდებელი მნიშვნელობა ქონდა, როგორც სკოლას, რომელიც დანიშნული იყო საზოგადოების მაღალი წრეებისათვის. სკოლის ისტორია ევროპაში, რომელზედაც აქ ჩვენ ვერ

შევჩერდებით დაწვრილებით, გვასწავლის, რომ საშუალო სკოლაზე ფრინველი აღრინდებით მოვლენაა, ვიღრე დაბალი სკოლა. დაბალი სკოლა გაჩნდა მხოლოდ ახალ საუკუნოებში, როდესაც საჭირო გახდა, რომ მოქალაქეს ქონდა ერთგვარი სასკოლო განათლება. უმთავრესად კი დაბალი სკოლის გავრცელება გამოიწვია საყოველთაო განათლების შემოღებამ.

არსებული სკოლები, რომლებიც უმაღლესი სკოლისათვის ამზადებდენ, ე. ი. საშუალო სკოლები ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით, არ გამოდგებოდენ ამ მიზნისათვის, რადგანაც მათი კურსი იყო ძლიერ ფართე, და მათი შენახვა დიდს ხარჯებს მოითხოვდა. ამიტომაც საყოველთაო განათლების განსახორციელებლად სახელმწიფომ საჭიროდ დაინახა დაერთსებინა ახალი სკოლები, რომლების კურსი საშუალო სკოლის კურსისგან განირჩევოდა მხოლოდ პროგრამის სივრცით. რაც შეეხება მეთოდებს, დაბალი სკოლა თითქმის არაფრით არ განირჩევოდა საშუალო სკოლიდან. თან და თან დაბალი სკოლა გაფართოვდა, და არის დღეს ისეთი ქვეყნები, სადაც ეს უკანასკნელი სრულიად ჩრდილოეს საშუალო სკოლას. ასეთია, მაგალითად, ჩრდილოეთი ამერიკის შეერთაბული შტატები.

მაში, საშუალო სკოლას არ აქვს თავისი განსაკუთრებული შინაარსი, რომელიც განირჩევა დაბალი სკოლის შინაარსიდან. თუ გამოვაკელით საშუალო სკოლას ის თვისება, რომ ის დანიშნულია საზოგადოების მაღალი წრეებისათვის და თუ დაბალი სკოლის კურს დამთავრებულ მოწაფეებს საშუალება მიეცა განაგრძონ სწავლა სხვა პედაგოგიურ დაწესებულებებში, დაბალი და საშუალო სკოლის შუა არ იქნება პრინციპიალური განსხვავება. ამ მხრივ რომ გავსინჯოთ საგანი, სრულიად უსაბუთოდ უნდა მივიჩნიოთ, როდესაც ცდილობენ პედაგოგიური თვალსაზრისით დაასაბუთონ საშუალო სკოლის არსებობა. ასეთი ცდა მხოლოდ გაუგებრობაზეა აშენებული. საშუალო სკოლას არ აქვს საკუთარი *raison d'être* ერთიან სკოლის სისტემაში. მას ქონდა თავისი სოციალური მნიშვნელობა, რომელიც მოსპობილია ერთიანი სკოლის სისტემით.

მაში საშუალო სკოლა არსებობს იმდენად, რამდენად დაბალ სკოლას არ შეუძლია მოამზადოს მოწაფე უმაღლესი სკოლისათვის. გარდა ამისა, ის არსებობს იმდენად, რამდენად აძლევს საზოგადო განათლების დაბალ სკოლაში კურს დამთავრებულებს პრაქტიკულ ცოდნას.

აქედან ცხადია, რომ საშუალო სკოლის საკითხის გარჩევა შეიძლება

მხოლოდ მას შემდეგ, რაც გარჩეული იქნება დაბალი სკოლის და უმაღლესი სკოლის საკითხები. საშუალო სკოლამ უნდა შეავსოს ის ცარიელი ადგილი, რომელიც დაგვრჩება დაბალსა და უმაღლეს სკოლის შეუა. ამისათვის დაბალი სკოლის საკითხის შემდეგ უნდა გაირჩეს უმაღლესი სკოლის საკითხი, რათა შესაძლებელი იყოს იმის გამორკვევა, რა უნდა მოეთხოვოს უმაღლეს სკოლაში მაცადინობის გაგრძელების მსურველს.

ეს საჭიროა იმ თვალსაზრისით, რომ საშუალო სკოლა ამზადებს უმაღლესი სკოლისათვის. მაგრამ ჩვენ ისიც ვთქვით, რომ საშუალო სკოლა ანგერძს დაბალ სკოლაში კურსდამთავრებულებს პრაქტიკულ მომზადებას. რაგვარი პრაქტიკული მომზადების მიცემა შეუძლია საქართველოს საშუალო სკოლას — ეს არის მეორე საგანი, რომელიც უნდა დაედვას საშუალო სკოლას საფუძვლად, რაც შეეხება ეგრეთ-წოდებულ ბიფურკაციებს ეს სრულიად არ არის მთავარი საკითხი საშუალო სკოლის შენობაში: ბიფურკაციის საკითხია — ტეხნიკურად სკოლის ისეთი მოწყობა, რომ ერთ სკოლაში რამოდენიმე ერთ-მეორისაგან გარჩეული პროგრამის შესრულება შესაძლებელი იყოს. რა არის ამაში პედაგოგიური, მე არ მესმის. ამას ვერ გაიგებს აგრეთვე ვერავინ, ვინც ასე თუ ისე ჩახედულია სკოლის საკითხში და იცნობს სკოლის შენობას.

ამნაირად საშუალო სკოლის საკითხია: 1) როგორ უნდა იყოს ის მოწყობილი, რომ მისცეს საქმაო მომზადება უმაღლეს სკოლაში სწავლის გასაგრძელებლად? 2) როგორ უნდა მოწყობოს საშუალო სკოლა, რომ მან მისცეს პრაქტიკული მომზადება დაბალ სკოლაში კურს დამთავრებულებს?

როგორც საშუალო, აგრეთვე უმაღლესი სკოლის საკითხის გარჩევის დროს ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ის გეგმა, რომელიც აღვწერეთ ზევით დაბალი სკოლის საკითხის გამორკვევისას. გეგმა იქნება ერთი და იგივე, რადგანაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს გეგმა არის დედუქცია, სკოლის იდეიდან და ამასთან ერთად საშუალო და უმაღლესი სკოლა ორივე წარმოადგენს სკოლას.

მოკლედ რომ დაგასკვნათ, ჩვენი აზრი შემდეგია:

საქართველოს სახელმწიფო სკოლა არის ერთი სისტემა. ამ სისტემის ნაწილები განირჩებიან ურთიერთ შორის თავისი მიზნით და მეთოდებით. მიზნის იდეის თვალსაზრისით საქართველოს სკოლას აქვთ მხოლოდ ორი ნაწილი: საყოველთაოდ სავალდებულო სკოლა (დაბალი სკო-

ლა) და არა-სავალდებულო სკოლა (საშუალო და უმაღლესი). მექოდეზთხუა  
ბის მხრივ საქართველოს სახელმწიფო სკოლას იგრძეთვე აქვს მხოლოდ  
ორი ნაწილი: პირველი ნაწილი, სადაც მოსწავლეებს ზრდიან წვრთნის  
საშუალებით (იცუაითხ); მეორე ნაწილი, სადაც მოსწავლეებს ზრდიან  
სწავლების საშუალებით (პრეპიდაითხ).

ეს უკანასკნელი ნაწილია უმაღლესი სკოლა. ამნაირად როგორც  
დაბალს ასე უმაღლეს სკოლას, აქვს თავისი განსაზღვრული სახე. მათი  
განსაზღვრა ხდება ობიექტიური საზომით; დაბალ სკოლას საზღვრავს სა-  
ხელმწიფოს ეკონომიკური მდგომარეობა. მაღალ სკოლას საზღვრავს სწავ-  
ლების წესის იდეა (მეთოდები). რაც შეეხება საზოგადო განათლების სა-  
შუალო სკოლას, თუ პრინციპი ერთიანი სკოლისა მიღებულ იქნა, მას  
არ აქვს თავისი განსაკუთრებული სახე: მეთოდის მხრივ ის არ განირჩევა  
დაბალი სკოლიდან. სახელმწიფოსან დამოკიდებულობის მხრივ კი ის არ  
განირჩევა მაღალი სკოლიდან. თანამედროვე საზოგადო განათლების სა-  
შუალო სკოლას ეკარგება თანდათან თავისი მნიშვნელობა. ის ან უნდა  
გახდეს პროფესიონალურ სკოლად ე. ი. მოისპოს, როგორც საზოგადო  
განათლების სკოლა, ან უნდა სრულიად გაილესოს დაბალ სკოლაში.

კერძოდ საქართველოში დღესდღეობით საზოგადო განათლების სა-  
შუალო სკოლას არ მოელის, რა თქმა უნდა, არავითარი საფრთხე: საქმე  
იმაშია, რომ ჩვენი ხაზინა არ არის იმ ზომაზედ მდიდარი, რომ მას შე-  
ეძლოს ისეთი დაბალი სკოლის შენახვა, რომლის კურსი საკმადი ამზა-  
დებდეს უმაღლეს სკოლაში შესასვლელად. ამისათვის სწორედ საზოგადო  
განათლების საშუალო სკოლამ უნდა იყისროს თავის თავზე დაბალი სკო-  
ლაში კურს დამთავრებულები განავითაროს დამატებითი ვარჯიშობით  
იმდენად, რომ მათ შესძლონ უმაღლეს სკოლაში მაცადინობა, ე. ი.  
თეორეტიული მეცნიერების შესწავლა ჩვეულებრივი საუნივერსიტეტო  
მეთოდით (ლექციები). ამისათვის ჩვენი საზოგადო განათლების საშუალო  
სკოლა უნდა შეიცავდეს იმას, რის უოდნა საჭიროა თეორეტიულ მეც-  
ნიერების შესასწავლად, მაგრამ რის უოდნას არ აძლევს დაბალი სკოლა.

გარდა უფრო მაღალი საზოგადო გავითარებისა, ვიდრე არის ის გა-  
ვითარება, რომელსაც აძლევს დაბალი სკოლა, საშუალო სკოლა ანიჭებს  
თავის მოწაფეთ უცხო ენების ცოდნას. უცხო ენები—ის ფორმალუ-  
რი ნიშანი რომელიც ანსხვავებს საშუალო სკოლას დაბალი სკოლიდან



და აძლევს მას განსაკუთრებულ სახეს. დაწვრილებით ამის დასაბუთება დამოუკიდებლივია.

ყველა იმის მიხედვით, რაც ჭევოთ იყო მოყვანილი, ჩვენ შეგვიძლია შემდეგი გეგმის დასახვა:

### I. საქართველოს სახელმწიფო სკოლა.

1. მისი მიზნები.
  2. მისი ნაწილები (საფეხურები).
  3. მისი ხანგრძლივობა.
    - a. როდის იწყება საქართველოს სახელმწიფო სკოლაში სწავლება (პირველ საფეხურში).
    - b. როდის თავდება საქართველოს სახელმწიფო სკოლაში სწავლება (უკანასკნელ საფეხურში).
  4. საქართველოს დაბალი სახელმწიფო სკოლა:
    - a. ნორმალური ტიპისა:
      - a. მისი ხანგრძლივობა.
      - b. პროგრამმა.
      - v. ორგანიზაცია.
        - a. მომქმედი ძალები (მასწავლებლები, გამგეები, მოწაფეები).
        - b. წესი სკოლაში და სკოლის გარეშე მომქმედ ძალთა ურთიერთობისა.
      - b. არა-ნორმალურ ბავშვთათვის:
        - a. არა-ნორმალობის ფორმები, რომლებიც მოითხოვენ განსაკუთრებულ სკოლას.
        - b. დაბალი სკოლის ტიპები არა-ნორმალურ ბავშვთათვის.
          - a. თითოეული ხანგრძლივობა.
          - b. პროგრამმა.
          - v. ორგანიზაცია.
        - g. მოზრდილთათვის:
          - a. დაბალი სკოლის ტიპები მოზრდილთათვის.
          - b. თითოეულის პროგრამმა და ორგანიზაცია.
        5. სიქართველოს უმაღლესი სახელმწიფო სკოლა.
          - a. მისი დიფფერენციაცია.

ბ. მისი მოწყობა:

ა. ხანგრძლივობა,

ბ. პროგრამმა,

ვ. ორგანიზაცია.

6. საქართველოს სახელმწიფო საშუალო სკოლა:

ა. მისი ტიპები,

ბ. მისი მოწყობა:

ა. თითოეული ტიპის ხანგრძლივობა,

ბ. " " პროგრამმა,

ვ. " " ორგანიზაცია.

II. კერძო სკოლა საქართველოში:

1. მიზანი მისი,

2. მისი ღამოკიდებულება სახელმწიფოსთან.

ასეთი უნდა იყოს ზოგადად მოხაზული გეგმა საქართველოს სკოლის. რეორგანიზაციის საკითხის გარჩევისა, რომელმაც უნდა მოგვცეს ეროვნული, დემოკრატიული და პედაგოგიური თვალსაზრისით უნაკლო სკოლის სქემა. პედაგოგიური იდეა, მართალია, უკვე შეიცავს სკოლის გაეროვნებას და მის დემოკრატიზაციის, მაგრამ ეს უკანასკნელნი გამოყოფილი არიან პედაგოგიური წრილან, ვინაიდან ორივე (გაეროვნება და დემოკრატიზაცია) უკვე ნაკარნახევია სახელმწიფოს მიერ. მაშ, პედაგოგიური იდეის ქვეშ აქ ჩვენ ვგულისხმობთ ამ იდეის ვიწრო მნიშვნელობას, უმთავრესად ფსიქოლოგიურს.

რომ განვავითაროთ ეს აზრი, ჩვენ აღვნიშნავთ, რომ საქართველოს სახელმწიფოს სკოლის რეორგანიზაცია უნდა დაუქვემდებაროთ შემდეგ დებულებებს.

1. საქართველოს სახელმწიფო სკოლა უნდა იქნეს ეროვნული.

2. საქართველოს სახელმწიფო სკოლა უნდა იქნეს დემოკრატიული.

3. საქართველოს სახელმწიფო სკოლა უნდა წარმოადგენდეს პედაგოგიური თვალსაზრისით უნაკლო სკოლათა სისტემას,

ეს დებულებები წარმოადგენენ მთელი მუშაობის დირექტორებს. მათი მნიშვნელობა არის რეგულიატიური.

როგორც მოეხსენება აღნად მკითხველს, საქართველოს სკოლის რეფორმაციის საკითხის დამუშავება სახალხო განათლების სამინისტრომ მიანდო სპეციალურად ამ მიზნისათვის შემდგარ კომისიას. კომისიაში შედიან ჩვენი საუკეთესო პედაგოგები, ბ. დიმიტრი უზნაძის თავმჯდომარებით.

ასეთი მეტადრე სერიოზული საკითხის გარკვევა, თუ როგორ უნდა მოეწყოს სწავლა-განათლების საქმე ჩვენს სამუშაობლოში, ქართველებისათვის პირველი ცდაა. ამისათვის ჩვენს კომისიას დიდი დაფიქრება და ინტენსიური მუშაობა დასჭირდება. ჩვენ ვერ ავუვლით გვერდს და-სავლეთ ევროპის და ჩრდილო ამერიკის გამოცდილებას. მათი სკოლის ორგანიზაცია უსათურდ უნდა გათვალისწინებული გვქონდეს, როდესაც ჩვენ შევუდგებით ჩვენი სკოლის შენობის იდეალური სახის აღწერას, გარდა ამისა, ისიც უნდა ვიცოდეთ, რას ეყრდნობიან ამ ქვეყნების სკოლები. თითოეული სკოლა შეთანხმებულია იმ საზოგადოებრივ გარე-მოსთან, რომლის მოთხოვნილებასაც ის შეძლებისდა გვარად აკმაყოფი-ლებს. თუ რა ხარისხისაა ეს შეძლება, ეს გამოიხატება სკოლის პედა-გოგიურ ღირებულებაში. როგორც პირველი, ისე მეორე ინდივიდუალუ-რი მოვლენაა, განსაზღვრულ დროს და განსაზღვრულ სივრცელეში აღ-მოცენებული. ამიტომაც ჩვენ არ შეგვიძლია პირდაპირ ურეფლექსიონ გადმოვნერგოთ საქართველოს ნიადაგზე უცხო სკოლა, მით უმეტეს რომ ვიცნობთ თვით უცხოელების კრიტიკას ამ სკოლის შესახებ.

კომისიის მუშაობის ნაყოფიერებისათვის საჭიროა, რომ მან გააფარ-თოვოს თავის მოქმედება და მთელი ჩვენი საზოგადოება ჩაითრიოს თა-ვის საქმიანობაში. რაც უფრო მეტი სხვა და სხვა აზრი ჩვენი სკოლის შესახებ ექნება კომისიას გათვალისწინებული, მით უფრო ვრცელი მასა-ლა ექნება მას დასკვნის გასაკეთებლად, და ეს კი საუკეთესო გარანტია არის სწორი დებულების მისაღებად.

როგორ უნდა მიაღწიოს კომისიამ ამ მიზანს? ამისათვის არსებობს 3 საშუალება: ერთი არის ანკეტის მოწყობა, მეორე არის პრესსის გა-მოყენება, მესამე არის ლექციები.

კომისიამ უნდა შეიმუშაოს სხვა და სხვა კითხვები და მიმართოს იმ კითხვებით ცნობილ პედაგოგებს და სხვა დარგის საზოგადოებრივ მო-ლვაწებს: იურისტებს, ექიმებს, ინჟინერებს და სხვ., რომლების პასუხი შემდეგ უნდა დამუშავებული იქნეს კომისიაში.

რაც შეეხება პრესის გამოყენებას, მისი საჭიროება ცხადია: ყველას, ვისაც კი სურს და ძალა შესწევს, უნდა მიეცეს აღვილი საშუალება გამოსთქვას თავის აზრი ჩვენი სკოლის შესახებ, საჭიროა, რომ კომისიამ გაიჩინოს თავისი პერიოდული ორგანო, სადაც უნდა იბეჭდებოდეს კომისიის სხდომის ვრცელი ოქმები და სხვა და სხვა წერილები სკოლის რეორგანიზაციის შესახებ. თუ ეს არ მოხერხდა, ის მაინც აღვილი განსახორციელებელია, რომ რომელიმე არსებულმა პერიოდულმა გამოცემამ დაუთმოს კომისიის მუშაობას ერთი განყოფილება. ეს შეუძლია, მაგალითად, უურნალ „განათლებას“. გარდა ამისა საჭიროა პოპულარული ლექციები სკოლის საკითხის შესახებ, რათა ავამოძრაოთ საზოგადოება და მისი ყურადღება სკოლას მივაპყროთ.

თითოეული საკითხის კომისიაში გარჩევის მეთოდი უნდა იყოს ასეთი: ჯერ უნდა გამოირკვეს საკითხის აუცილებლობა სკოლის რეორგანიზაციისთვის. შემდეგ მას უნდა მიეცეს მკაფიოდ გარკვეული ფორმა, მსჯელობა კი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი, უნდა გადიდოს შემდეგ სხდომისათვის, რომ ყველას საშუალება ქონდეს მოემზადოს და მოფიქრებულად მისცეს ხმა ერთს ან მეორე გადაწყვეტილებას. ყოვლად დაუშვებელია, რომ არსებითი საკითხი სკოლის რეორგანიზაციის შესახებ დაისვას და კიდეც გადაწყდეს ერთ და იმავე სხდომაზე. ასეთი გადაწყვეტილება არაფრად არ ღირს.

კომისიის მუშაობა უნდა წარმოებდეს პლენარულ და სექციონურ სხდომებზე. პლენუმის საგანია — საზოგადო საკითხები, სექციების საგანია — სპეციალური საკითხები. პლენუმი აძლევს სექციის დირექტივებს სექცია ასხამს ხორცს ამ დირექტივებს და მოხსენებებს შემდეგ პლენუმს დასადასტურებლად თავის მუშაობის ნაყოფს.

ს. დანელია.

შეულ და ახალ შექმნალთა და გამოჩენილ პედაგოგთა აზრი  
ადამიტოს შესახებ.

შლუტარხი — გამოჩენილი საბერძნეოს მორალისტი და ბიოგრაფი დაიბადა 1849 წ. ქრისტეს დაბადების შემდეგ. იგი მხარს უჭერს ბავშვების ფიზიკურ და ზნეობრივ აღზრდას. „ფიზიკური აღზრდა, — ამბობს იგი, — ამაგრებს სხეულს და სიბერემდინ ჰმატებს ლონეს.“ პლუტარხი დიდი წინააღმდეგია ცემის და ცუდი მოქცევის; იგი გვირჩევს ვიმოქმედოთ ბავშვებზე კეთილი, ლმობიერი სიტყვით და აღერსიანი მოქცევით. აუცილებლად საჭიროა ან ქება, ან დაწუნება. მაგრამ როცა ბავშვს რაიმე შენიშვნას მივცემთ, იმავე დროს საჭიროა ქებაც; რათა ბავშვი დარწმუნდეს, რომ მას ბევრი კეთილი თვისება აქვს. პლუტარხი ძალიან აღელვებულია იმ მშობლების, რომლებიც ერთი კი ჩააბარებენ შვილებს მასწავლებლებს და აღმზრდელებს და შემდეგ სკოლაში ერთხელ ფეხს აღარ მისდგამენ, რომ გაიგონ თავიანთ შვილების მეცადინობის ამბავი.

ქრისტიანობის გაურცელების შემდეგ პედაგოგიკის ისტორიაში მოხდა დიდი ცვლილება: აღზრდის გაბატონებული სისტემა ახალ ხანას განიცდის. ხდება წინანდელ პედაგოგიურ იდეათა განახლება. აღზრდის ვიწრო-პრაქტიკული სისტემის ადგილს იჭერს საკაცობრიო და რელიგიო-ზურ ზნეობრივი სისტემა. ქრისტიანულ იდეების სიღიადით გაიმსჭვალა მთელი საზოგადოება. დაიბადა ახალი იდეები, რომლებსაც უმარტავდნენ ხალხს მოციქულები და მღვდლები. ქრისტიანობამ ახალი აზრი შთაბერა ცხოვრებას და ყველგან შეკვენდა დამამშვიდებელი სული. სახარების თვალსაზრისით, ბავშვის აღზრდა ნიშნავს მის ამაღლებას ღვთაებრივ უნაკლულობასთან, რასაც შეიძლება მივაღწიოთ ჭეშმარიტების, სიყვარულის და თავისუფლების განვითარებით. ქრისტემ თავისი მაგალითი ნათლათ დაგვანახვა, თუ როგორ უნდა მოვექცეთ ბავშვებს. იგი მოეხვია ბავშვებს, დალოცა ისინი და სოქვა: „ეგრძალენით, ნუ უკუჭ ვინმე შეურაც-ჭეოთ ერთი მცირეთა აშათგანი; გმტეჯ თქმული, რამეთუ ასგეღოსნი მათი ცათა შინა მარადის ჭედებს შინას მაშისა ჩემისასა, რომელ ას ცათა შინა.“ (მათ. 18, 10) „და რომელმან დაბრკოლის ერთი მცირეთაგანი მორწმუნეთა ჩემდა

მიმართ, უძველეს ას მისა გამო თუმცა-ია ქედსა მისია წისქვლის „ქუთხირთუ“ ვით საფეხულია, და შთავარდა ზღუასა“. (მარკოზი 9, 42). ქრისტიანობა ავალებს ადამიანს ქრისტიანურის სიყვირულით მოქმედს ბავშვებს, ნატოგი სცეს შთა დამიანურ დისკებას.

ასეთია ოლმზრდელების მოვალეობა ბავშვებისადმი. რაც შეეხება ბავშვების მოვალეობას, ეს გამოიხატება შემდეგ სიტყვებში: „შვილებო, პატივი ეციო თქვენ მშობლებს, და მორჩილეთ თქვენს აღმზრდელებს, რაღვანაც ისინი ზრუნავენ თქვენ სულზედ და ხორცზედ“. პირველ საუკუნის დროის ეკლესიის მასწავლებლები და მშობლები, საუკეთესო ზეობრივ აღმზრდას აძლევდნენ ბავშვებს. მაგრამ გაიარა ქრისტიანობის პირველმა ოქროს საუკუნოებმა... ეკლესიის იერარქია გაძლიერდა. გაჩნდნენ კარიერისტები და სოფისტები, რომლებმაც დაივიწყეს ქრისტეს მცნებანი და აღიარეს, რომ აღმზრდის იდეალი გამოიხატება მხოლოდ ეკლესიის ავტორიტეტის მორჩილებაში. ცოცხალი მაგალითის მავიერათ გამეფდა სქოლასტიკა და ფორმალიზმი. გამონაკლისი ძალიან ცოტა იყო. ამისთანა მოვლენამ, რომელიც გაგრძელდა მთელი საშუალო საუკუნოებში, გამოიწვია თავში და ბოლოში დიდი რეაქცია. რეაქციამ პირველად თავი იჩინა მე XVI საუკუნეში; ძლიერი სახე კი მიიღო მე XVII და მე XVIII საუკუნოებში. აი სწორეთ ამ დროს ბავშვის ბუნებრივ და სულიერ უფლებათა დასაცავად გამოვიდნენ შეცნიერების და აზროვნების საუკეთესო აღამიანები. ამათში თვალ-საჩინო ადგილი უჭირავთ:

რაბელე (1483—1553). ფრანგი, გამოჩენილი ჰედაგოგი, ჰემობდა თავის დროის ტრადიციებს. მან საძირკველი ჩაუყარა ახალ აღზდას, რომლის უმთავრეს მიზანს შეაღენდა ბავშვთა გრძნობების განვითარება და მათი კუნთების გამაგრება. წიგნებს იგი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. იგი უფრო მეტად სცდილობდა განვითარებინა ჟილილთაობაში ბუნების მოვლენათა დაკვირვების ნიჭი. მისი მოწაფე გარგანტუა ლამ-ლამბით აკვირდებოდა და სწავლობდა ვარსკვლავებით მოჰქედილ ცას, დილით აღრე კი აღნიშნავდა ხოლმე მომხდარ ცვლილებას ცაში. რაბელე ცდილობს ზედ-მიწევნით შესწავლოს თავის მოწაფეებს მცნარეულობა, მაღნეულობა და ყველა ის საგნები, რომლებიც სახლში იმყოფება. მოწაფე სცდილობს ყველა შესწავლილ საგანზედ არ იკითხოს რამე ძნელ მწერალთა წიგნებში და ამ აზრით სწავლობს ლათინურს, ბერნულს და ებრაულ ენებს. სარწმუნოებას, მჭერმეტყველობას და შესი-



ერების განვითარებას ძალიან დიდ სერიოზულ ყურადღებას აქცევენ. ხელობას რაბელეს მოწაფე პრაქტიკულად ეცნობა.

შონტენი (1533—1592) იყო აღორძინების ხანის დიდებული მოაზროვნე. იმ დროის იდეალს შეადგენდა სწავლულობა. მაგრამ მონტენი არ იზიარებდა ამ აზრს და ჰერბავდა ყველა იმათ, ვინც დიდ თაყვანსა სცემდა სწავლულობას და გვერდს უქცევდა შეგნების და ზეობის განვითარებას ყმაწვილებში. „ვონების დატვირთვა შეუფერებელი მასალით, მეხსიერების, ფიზიკურ და ზეობრივ ძალთა უყურადღებოთ დატოვება, — ამბობს მონტენი — დიდი დანაშაულია აღმზრდელებისა“. იგი დიდი მომხრე იყო ადამიანის ყოველმხრივ განვითარების და დასხენდა: „დიდებული სწავლულები, დიდებული ბრძენი არ არიან“. მონტენის აზრით, საუკეთესო აღმზრდელებათ ითვლებოდნენ სპარტანელები, რომლებიც სრულიათ არავითარ ყურადღებას არ იქცევდნენ ლიტერატურის შესწავლას და ზრუნავდნენ მხილოდ ყმაწვილ თაობის ხასიათის სიმტკიცის და ენერგიის განვითარებაზედ. საბერძნეთში მეფობდა სიტყვა, სპარტაში კი საქმე. ათინაში ყმაწვილებს ასწავლიდენ ლამაზ ლაპარაკს, სპარტაში კი — პატიოსან მოქცევას და უშიშრობას. „ბავშვები, — ამბობს მონტენი, — თანაბრათ უნდა ვარჯიშობდნენ სირბილში, სროლაში, ცეკვაში, მუსიკაში, რათა მათი კუნთები გონებასთან ერთად ვითარდებოდეს. უმეტესად კი ბავშვებს უნდა შევასწავლოთ ის, როს გაკეთებაც მათ დასჭირდებათ შემდეგში“. მონტენი დაუინებით მოიხსოვს, რომ ბავშვებს ერთგულ აღმზრდელები ჰყავდეს, რომ თვალსაჩინო სწავლება ავარჯიშებდეს და ანვითარებდეს ყმაწვილ თაობის ინტელექტუალურ ძალას.

მაულეასტრენი (1531—1611) იყო ინგლისის გამოჩენილი პედაგოგი. აღმზრდის საქმეში მას დიდი სამსახური მიუძღვის. მან პირველი გამოსთვა, რომ 1) იდზრდის მიზანს უნდა შეადგენდეს სულის და ხორცის განვითარება; 2) სწავლების ხერხი უნდა შეეფერებოდეს ბავშვის გონებრივ განვითარებას; 3) ყველაზედ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სწავლების პირველ საფეხურს და მასწავლებლის ხერხს; 4) უნდა ვერიდოთ, მოწაფეთა გონების მოღალვას; 5) სიყმაწვილის ხანა არ უნდა შეეწიროს უცხო ენათა შესწავლას; უნდა ვასწავლოთ ხატვა და ხელ-ვარჯილობა; 6) ქალების აღმზრდა ისევე საჭიროა, როგორც ვაუების; 7) სკოლა მხოლოდ მაშინ იქნება უნაკლულო, როცა მასწავლებელს მიღებული ექნე-

ბა საუკეთესო განათლება. თავის „დებულებებში“ მიულკასტერია ჩვენას. ლებს ცველა მოქალაქეს წერა-კითხვის ცოდნას.

იგი ამბობს: „აღზრდის მიზანია — დავეხმაროთ ბუნებას გაუკეთესებაში; ცველა ნიჭი აუცილებლად უნდა განვითარდეს; სწორე აღზრდა ღიღ დახმარებას გაგვიწევს ჩვენ შემდეგში. ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ჩვენი მოწაფეების ცველა განსაკუთრებები და აღვარღოთ ისე, როგორც ამას ჩვენ გვიყარნახებს ჩვენი დაკვირვება“... მიულკასტერი ურჩევს მასწავლებლებს მეცალიონეობა დაიწყონ მოწაფეთა მცირე რიცხვთან. იგი უფრო მეტად აფასებს პირველ დაწყებით სასწავლებლების მასწავლებლთა შრომას, ვიდრე სხვა სასწავლებლების. სწავლების საქმეში, ამბობს იგი, ცველაზედ ძნელი დაწყებაა, ამიტომაც იგი უნდა ჩავაბაროთ საუკეთესო მასწავლებლებს. ამას გარდა მიულკასტერი ძალიან აღელვებულია იმ სკოლებით, რომლებიც სკოლობენ რაიმე უფლებების მოპოვებას და არა ბავშვების ოღზრდას.

ბეკნი (1561—1626) ინგლისის ფილოსოფოსია. თავის ფილოსოფურ თხზულებებში ის ამტკიცებს სკოლებში სიტყვების და ფრაზების სწავლების უნაყოფობას. საჭიროა თვით საგნების შესწავლა და გვაჩვენა გზა ბუნების და მისი კანონების შესწავლისათვის. ეს გზა, ბეკნის აზრით,—არის დაკვირვება და შესწავლა ბუნების საგნების და მოვლენების და მისი კანონების გამოყენება ინდუქტიუშის გზით.

რატისი (1571—1635) იყო პირველი პიონერი დიდაკტიკის დარგში. თუმცა მან, თავის პირად ცხოვრებაში ვერ განახორციელა ის, რასაც ჰქადაგობდა, მაგრამ ამისდა მიუხედავად მისი შეხედულება სწავლების მეთოდებზედ ღიღი ყურადღების ლირსია; მაგალითებრ:

1. „მოიქეცით ბუნებასთან შეთანხმებით. ვინც ძალას დაატანს ბავშვის ბუნებას, იგი ასუსტებს მას და ხელს უშლის მის განვითარებას. ბავშვების ფიზიკურ აღზრდას უნდა დიდი ყურადღება მიექცეს“.

2. „ერთი და იგივე რამდენჯერმე უნდა გაუმტოროთ რაღვანაც გამეორებით არამც თუ უფრო კარგა ითვისებენ ბავშვები, არამედ საგანი უფრო სხვ—ნაირად შუქდება, გონებაში“.

3. „სწავლება სამშობლო ენაზედ დაწყობინეთ. მხოლოდ სამშობლო ენის შესწავლის შენდეგ შეიძლება სხვა ენების შესწავლა“.

4. „ასწავლეთ ცველაზერი ძალ-დაუტანებლივ. ძალ-დატანება და ცემა ხალისს უკარგავს ბავშვს სწავლისადმი. აღმიანის გონება აღვილად



ითვისებს და იხსომებს ყველა იმას, რაც მან ძალ-დაუტანებლივ შეითვისა. დასჯა ბავშვისა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა იყო ჩაიღენს რაიმე გასაკიცხ საქვიელს. მასწავლებელი უნდა ერიდოს მოწაფეთა დასჯას, რათა მათ თვალში არ დაჰკარგოს ავტორიტეტი, გავლენა. მან უნდა დააინტერესოს ბავშვები და გაუღვიძოს მათ სიყვარული მეცადინეობისადმი“.

5. „გაუგებარი ზეპირად არ უნდა დაასწავლოთ“.

6. „საგნების შესწავლის დროს, ისეთი კავშირი უნდა დამყარდეს საგნებთა შორის, რომ ერთი საგნის შესწავლა ააღვილებდეს მეორე საგნის შესწავლას. ენების შესწავლის დროს, გრამატიკის საზოგადო კატეგორიათა ცოდნა, რაც უკვე შეთვისებული აქვს ბავშვს სამშობლო ენის შესწავლის დროს, გამოადგება უცხო ენების სწავლების დროსაც.“

7. „მეცადინეობის დროს ნაცნობიდან უცნობზედ უნდა გადავიდეთ: ახალი ცოდნა უნდა შეუფარდოთ ძველს; ბავშვების შრომა უნდა იყოს ანალიტიური და არა სინტეტიური. თავდაპირველად მოწაფეები უნდა გაეცვნენ საგანს, შემდეგ კი ყველა იმ წესებს, რომელიც მას ეხება.“

8. „მეცადინეობის დროს ყველაფერი დამყარებული უნდა იყოს დაკვირვებაზედ და ცდაზედ“.

კ. ბ-ჯ-ძე.

(შემდეგი იქნება)

ახალი მიმდინარეობანი იცალიის სახალხო სკოლის ცხოვრებაში.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც იტალია ევროპის სხვა სახელმწიფოთა შორის ყველაზე უფრო ჩამორჩენილად ითვლებოდა სწავლა-განათლების მხრით. მაგრამ ამ უამაღ იქ ხდება გარდაქმნა მთელი საზოგადო წყობილებისა. სწრაფად იზრდება მუშათა მოძრაობა, იქმნება ახალი საყურადღებო ფორმები სოციალურ ურთიერთობათა, უთიერთ დამხმარე და თვითმოქმედებისა: კოლეგიტური იჯარა, მიწათ-მოქმედების გაუმჯობესობის ლიგები, მრავლებიან კოოპერატიული და საკრედიტო დაწესებულებანი; აღმოცენდა მთელი რიგი საგანმანათლებლო და სხვა მინის კავშირ-ამხანაგობათა, რომელნიც ერთდებიან ფედერატიულად და სხვა.



არა ნაკლები ინტენსიური მუშაობა სჩანს სახალხო განათლების საქმეშია, რომელიც ყველაზე მეტად დაქვეითებული იყო და მოითხოვდა განახლებას. თუ კულტუროსნობის საზომად მივიღებთ წერა-კითხვის მცოდნე მცხოვრებთა რაოდენობას, იტალია უკანასკნელი იქმნება მთელს ევროპაში, თუ — რასაკვირველია — რუსეთს არ მივიღებთ მხედველობაში.

ისტორია იტალიისა, როგორც მთლიანი სახელმწიფოებრივი ერთეულისა, მხოლოდ 60-ოდე წლისაა. ოლქები, რომელნიც ეხლანდელ გაერთიანებულ იტალიის ტერიტორიაში შედიან, და ერთსულოვნად ალიარებენ რომს იტალიის ცენტრად და გულად, მაინც განაგრძობენ თავისებურ, განსაკუთრებულ ცხოვრებას. საზოგადოთ იტალია განიყოფება ორ სრულიად სხვა-და-სხვა და თითქმის ერთი მეორის მომტრე ნაწილებად: ჩრდილოეთი და სამხრეთი. ჩრდილოეთი ნაწილი, თანაბრად დასავლეთ ევროპისა, სწრაფი ნაბიჯით მიღლტვის წინ. სამხრეთი-კი ცრუმორწმუნოებათა ბუდეს წარმოადგენს, — ჩრდილოეთ ნაწილზე ბევრად უფრო ღაბლის სდგას განათლებით და საგრძნობლად ამრავლებს მთელს იტალიაში წერა-კითხვის უცოდინართა საშვალო რიცხვს, რომელიც საერთოდ 48%, უდრის, მაგრამ სამხრეთში იგი 80%-მდე ადის, როცა ჩრდილოეთის ზოგიერთ ქალაქებში იგი 17%-მდე და ზოგან 10%-მდეც-კი ჩამოდის. ყველაზე უფრო ჩამორჩენილად ითვლება სიცილია, სადაც მხოლოდ რამდენიმე სკოლა და სამკითხველო ბოგინობს სამღვდელოების ხელში.

ამავე ღრის იტალიის კანონმდებლობაში უკვე დიდი ხანია საპატიო ადგილი უჭირავს საყოველთაო-საგალდებულო სწავლის პრინციპს — (1877 და 1904 წ.); მაგრამ ამ უკანასკნელ ღრიმდე იგი მკედარ სიტყვად რჩებოდა. სასკოლო და სათემო აღმინისტრაციები ვერ ახდენდენ სათანადო გავლენას მშობლებზე, ვიდრე თვით სკოლების რაოდენობა არ იყო საკმაო. წინად სკოლების დაარსება და მოწყობა სავსებით შეადგენდა მუნიციპალურ და სათემო საბჭოთა მოვალეობას, მცირედი და უმნიშვნელო დახმარებით სახელმწიფოს მთავრობის მხრით.

ქალაქები, რომელთაც მოეპოვებათ საკმაო ნივთიერი ღონისძიება, აარსებდენ სკოლებს. სოფლების ღარიბ საზოგადოებათათვის-კი სწავლა-განათლებისათვის გაღებული თანხა სრულიად არ შეიქმნა საკმარისი და დღემდეც მოიპოვება ისეთი მიყრუებული კუთხეები, სადაც არც ერთმა მცხოვრებმა წერა-კითხვა არ იცის. ამასთანავე სკოლა სავსებით სამღვდელოების ხელში იყო. სულ რამდენიმე წლის უკან, კერძო სასწავლებელ-



თა რიცხვი თვალსაჩინოთ სქარბობდა საზოგადო, ან სათემო სკოლათზე მიმდინარებულ რიცხვს. მასწავლებელთა ჯამაგირი მეტად მცირე იყო. მცირე მოსავლიან წლებში თემთა აღმინისტრაცია რამდენიმე თვეობით ვერ აკმაყოფილებდა მასწავლებლებს ჯამაგირით. ქვეყნის საერთო გაცხოველებამ ამ უკანასკნელ 10-15 წელში გამოიწვია ბრძოლა ახალი, — საერთო სკოლებისათვის. მთავრობამ აიღო თავის ხელში სკოლების მოწყობა და უკანასკნელ ათეულ წლებში მარტო სკოლის შენობებზე დახარჯულია 240 მილიონი ლირი — (დაახლოვებით 90 მილიონი მანეთი), მაგრამ სკოლათა რიცხვი ჯერ კიდევ არ არის საკმარის.

საზოგადო მოძრაობას შედევად მოჰყევა სასკოლო კანონი 4 ივლის 1911 წ. ე. წ. კრედიტი კანონი. კრედიტ, იტალიის მასწავლებელთა კავშირის ყოფილი თავმჯდომარე, იყო სახალხო განათლების მინისტრი. ეს კანონი დღეს დაბეჯითებით ტარდება ცხოვრებაში. მისი ძირითადი დებულებანი შემდეგია: სახალხო განათლებაზე გაწეული ხარჯის მეტი წილი ხაზინამ უნდა იყისროს. ხოლო კანტროლის სწევენ თემები / მთავრობასთან ერთად. კარდინალური ცვლილებაა შეტანილი პროვინციის დაწყებით სკოლების შმართველობის სისტემაში, რომელიც ძლიერ შევიწროვებული იყო მრავალი სხვა-და-სხვა მთავრობით. დაასრულა ახალი ცენტრალური ინსპექცია და სასკოლო საბჭოები ადგილობრივ; საგრძნობლად გადიდებულია მასწავლებელთა ჯამაგირები; ერთ კლასიანი სკოლები გაყოფილია ორ საფეხურად. სავალდებულო სწავლის ვადა 3 წლის მაგიერ შემოლებულ იქმნა 4 წელიწადი, უმეტესად იმ ადგილებში, სადაც 2 კლასიანი სკოლებია. უფრო თვალსაჩინო ცენტრებში არსდება სკოლები 6 წლის კურსით, 6 წლის სავალდებულო სწავლის ვადით. დიდ ყურადღებას აქცევს კანონი რაც შეიძლება ყოველ სკოლასთან წიგნთ-საცავების მოწყობას. და აგრედვე ხაზს უსვამს სასკოლო სამზრუნველო კომიტეტების მნიშვნელობას.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ იტალიის სახალხო სკოლის ზოგიერთი შინაგანი თავისებურობანი, რომლითაც შეუძლიან იამაყოს თვით სწავლა-აღზრდის საქმეში დაწინაურებულ ქვეყანასაც-კი.

მაგალითად უმცროს კლასებში სრულიად დაგმობილია გაკვეთილების მიცემა შინ დასასწავლად. უფროს კლასებში-კი არის მიღებული, მხოლოდ ძლიერ მცირე რაოდენობით. საზაფხულო აღდაღეგებზე ყოველ შეგირდს ეძლევა წასკითხად სკოლის წიგნთსაცავიდან რამდენიმე წიგნი

და ვალდებულია დაბრუნებისას ჩააბაროს წაკითხულის ანგარიში. სამუშავო სასჯელის სახით არ არსებობს. გაკვეთილების შემდეგ დამნაშავე შეგირდის დატოვებაც (ე. წ. „უსალილო“) არ არის შეძლებული, ფიზიკური სასჯელის შესახებ, როგორი სახისაც არ უნდა იყოს იგი, ლაპარაკიც არ შეიძლება. მასწავლებელი, რომელიც ფიზიკურად შეეხება შეგირდს, არამც თუ მიიღებს შენიშვნას და დისციპლინარულ სასჯელს, არამედ საერთოდ არსებულ კანონების ძალით იქნება გასამართლებული. სწავლისთვის ქირა თავიდანვე არ არსებობდა და არც არსებობს. ხშირად ცოლ-ქმარი ხელი-ხელ ჩაკიდებული ეწევიან სახალხო მასწავლებლის მძიმე უღელს ერთსა-და-იმავე სასწავლებელში, რასაც გერმანელი მასწავლებლები ოცნებითაც ვერ წარმაიდგენ.

იტალიის განახლებულ სკოლისთვის არ არის უცხო აგრედვე ის პედაგოგიური პრინციპები, რომელნიც შეაღენენ თანამედროვე მოწინავე პედაგოგიურ მეცნიერების ქვაკუთხედს. მაგალითად — შრომის პრინციპი; ხელ გარჯილომა თუმცა სავალდებულო არ არის, მაგრამ ბევრ სკოლებში შემოღებულია იგი და მთავრობაც ხელს უწყობს მის გაფართოვებას. დიდი სკოლების შენობებში აუცილებლად უნდა იყოს დარბაზი სახელოსნოსათვის. შედარებით პატარა სკოლებში ზოგიერთი იოლი სამუშავო სრულდება თვით კლასშივე. იტალიილებს სრულიადაც არ აშინებს საყველურები — სკოლების მიერ წვრილი ინდუსტრიის განვითარების ხელის შეწყობის შესახებ და მე-5 — მე-6 კლასის შეგირდებს, რომელთაც უფრო ხშირად დამატებითი სკოლის ხასიათი აქვთ, თამამად ასრულებინებენ ზოგს ისეთს პრაქტიკულ, ცხოვრებაში გამოსადეგ სამუშაოებს, რომელთაც იმავე დროს აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვთ. საყურადღებოა იტალიის ერთი სახელოსნო სემინარია, რომელიც 1878 წ. არის დაარსებული აღრიატიკის ზღვის პირად, კერძო მოლვაწის ქან-სორტის-მიერ. თავდა-პირველად კონსორტმა თავისი საკუთარი საშვალებებით დააარსა ეს სემინარია; შემდეგში-კი მთავრობამ მიიღო იგი. ამ სემინარიაში ყოველ წლივ იკითხება 3 კურსი. რომელსაც ისმენენ მრავალი სახალხო მასწავლებლები. პირველი კურსი ამზადებს დაბალ პირველ დაწყებითი სკოლებისათვის ხელგარჯილობის მასწავლებლებს. მეორე, — საოსტატო სემინარიებისთვის, ხოლო მესამე საკუთარი კურსების დაარსების უფლებას აძლევს. ამ ბოლო ხანებში სხვა ქალაქებშიაც დაიწყეს ამგვარი კურსების დაარსება. მთავრობაც გულ-მხუვალე დახმარე-



ბას უწევს არა მარტო ინიციატორთ, არამედ თვით მონაწილეებსაც-კი, რომელთაც აძლევს დოკუმენტსა და სამგზავრო ხარჯებს.

ფიზიკური აღზრდა და სასკოლო ჰიგიენაც არა ნაკლებ სერიოზულად არის დაყენებული და სკოლის ექიმები დიდ ვატორიტეტით სარგებლობენ. ტანთ-ვარჯიშობა (გომნასტიკა) სავალდებულო საგნაც არის აღიარებული 1909 წლის კანონით. ფიზიკურ ვარჯიშობილან განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ სკოლის ექიმის მოწმობით. დაბალ დაწყებით სკოლაში ტანთვარჯიშობისთვის დადებულია ნახევარი სათი დღეში. სავარჯიშო დარბაზი, თუ კლასი, არ უნდა იტევდეს 40 შეგირდზე მეტს. ექსკურსიები სავალდებულოა არა ნაკლებ ერთისა თვეში. რა მიზანიც არ უნდა ჰქონდეს ექსკურსიას; თუნდა წმინდა სპეციალურ-მეცნიერული, ისტორიის, ხელოვნების, საბურების მეტყველო, თუ სხვა დარგი, — ტანთვარჯიშობის მასწავლებელი მაინც აუცილებლად უნდა იღებდეს მონაწილეობას ექსკურსიაში. ელემენტარულ ცნობების გავლა ანატომიიდან, ფიზიოლოგიდან და ჰიგიენიდან სკოლის ცხოვრებასთან შეფარდებით, — შეტანილია საოსტატო სემინარიების პროგრამაში 1913 წლიდან. საზრდოობისა და საცხოვრებელ ბინებში წესრიგისა და სისუფთავის დაცვისა და დეზინფექციის გაცნობის გარდა, დიდი ყურადღებაა მიქცეული დაღლილობის ფიზიკოლოგიასა და ფიზიკოლოგიზე.

არც ესტეტიკური აღზრდაა უყურადებოთ მივიწყებული. მასწავლებელთათვის გამოცემულ ახალ კანონებში ამის შესახებ არის განსაკუთრებული მუხლი: „ფიზიკური და ესტეტიკური აღზრდა, საფუძვლები და მომზადება ზნეობრივ და ეროვნულ აღზრდისა“. მთავრობა თან-დათან ცდილობს სკოლების მოწყობა უზრუნველ ყოფას კარგ სასწავლო ხელსაწყოებით, — სურათებით, რუქებით, ბუნდოვან სურათებისთვის აპარატებით და პაჭია სასკოლო მუხევებით. ზრუნავს აგრედვე სკოლის შენობების გარეგნულ სიმშვენიერებზე. სკოლის შენობების გეგმა საერთოდ ჯერ ერთფეროვანია; მათი გაუმჯობესობის ინიციატივა ეკუთვნის რომეს, სადაც პროექტის თხოვნით უფასოდ ამზადებენ გეგმებს.

1912 წელს დაარსდა მეტად საინტერესო კერძო ამხანავობა, რომელიც მიზნად ისახავს — დაამზადოს მხატვრულ-ხელოვნური ხელსაწყოები თვალსაჩინო სწავლებისთვის და მიაწოდოს სკოლებს. ამავე ამხანავობას იქნა განხრახვა — იქნის გავლენა მთავრობაზე, რათა გამოიმუშავონ უფრო მრავალფეროვანი გეგმები სასკოლო შენობებისთვის.

არ შეიძლება გვერდი აუგაროთ კიდევ ერთ დაწესეულებას, რომელმაც ჩინებული ნიაღაგი ჰქოვა იტალიაში, და რომელიც დიდათ უწყობს ხელს სკოლისა და განათლების საქმის წინსვლის. ეს არის სა-სკოლო „პატრონატები“, ანუ სამზრუნველოები, რომელთაც აქვთ იუ-რიდიულ პიროვნების უფლება და არსებობენ თითქმის ყოველ სკოლისთან. ამათ სხდომებში მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობას იღებენ სკოლის ექიმები და რამდენიმე მამა შეგირდებისა. სასკოლო პატრონატები აკავშირებენ სკოლისთან სკოლის დამატებითი ხასიათის დაწესებულებებს: საქველმოქმედოსა და საზოგადოებრივს, განაგებენ შეგირდთა საზრდოობის, ტან-ფეხთსაცმელის და სასწავლო ნივთების უფასოდ დარიგების საქმეს დარიბ ბავშვებისთვის; სკოლისთან წიგნთსაცავის, ბალებისა და დამხმარე კომიტეტების მოწყობისა და ავადმყოფობის დროს შეგირდის ნივთიერად უზრუნველ ყოფას, რაიცა ჩინებულად არის დაყენებული იტალიაში,

ღირს საყურადღებო და აღსანიშნავია აგრელვე იტალიაში მოძრავი სკოლები დიდებისათვის, რომელთა დაარსების ინიციატივა ეკუთვნის რომის ქალთა წრეს. ამ „საუკუნო ქალაქი-“ს გარშემო დექს აუარებელი ნოჭიერი ადგილები, სადაც მუდმივად მძინვარებს მალლიარია. ეს ადგილები ეკუთვნის რომელ მდიდარ მემამულებებს, რომელნიც სცემენ მათ იჯარით. ამ ადგილების, ე. წ. „რომის ველები-“ს დასამუშავებლად ყოველ ზაფხულობით ჩამოდიან მთებიდან თივიანთ ჯოვებით 30, 40 ათასამდე მუშა და მუშაობის დასრულების შემდევ ისევ მთებს უბრუნდებიან. ესენი არიან ყველაზე ღარიბი და გაუნათლებელი ხალხი მთელს იტალიაში. მათ არა აქვთ მიჩენილი მუდმივი საცხოვრებელი ბინა და თავს აფარებენ მხოლოდ პრიმიტიულ მიწურს, ან უბრალო ფარდულებს, ან ქოხებსა და კარვებში, მიწის მუშაობისა და დირი რწყვის, ან სხვა მელიორაციულ მუშაობის დროს. ეს ხალხი თავისუფალია მხოლოდ საღამო-ობით და უქმე დღეებში. რომისა და მის გარშემო მდებარე სოფლის სკოლების მასწავლებლები ჩამოდიან აქ, ხან მემწვანილეთა ცარიელ ურმებით, ან ველოსიპედებით და ხანაც, როცა გზები მთლად უვარვისია, ფეხით და სასწავლიან წერა-კითხვას ამ ხალხს; როგორც პატარებს, ისე უფროსებსაც. უკითხავენ შესაფერ შინაარსის წიგნებს და მღერიან მათთან ერთად. სკოლა გამართულია ღია ცის ქვეშ, ან ფარდულებსა და ქოხებში, სადაც წინად ყველს ხარშავდენ. 2-3 უბრალო ყუთი წარ-



მოადგენს კათედრასაც, მაგიდასაც, დაფასა და საწიგნე კარალასაც (შროვა).

ასეთ პირობებში მუშაობა ძალიან ძნელია, როგორც მასწავლებელთათვის, ისე მოსწავლეთათვისაც, მაგრამ საქმის სიყვარული და ხალის ორთავე მხარეს დიდი აქცის და ამიტომ ნაყოფი სავსებით დამაკმაყოფილებელია, რაც მტკიცდება გამოცდების საშვალებით. ქალთა კავშირი დიდ ენერგიას ხარჯავს ამ საქმეზე, მაგრამ სახსარი ძლივს ჰყოფნის მას. ამ რამდენიმე წლის წინად სახალხო განათლების სამნისტრომ აღუთქვა მათ დახმარება 5-დან 10 ათასამდე ლირა, მაგრამ ჩრდილოეთისა და სამხრეთის საზოგადოებათა უთანხმოების გამო ეს დახმარება დღემდეც არ არის მიღებული (ეს ცნობები ეკუთვნის 1914 წელს). ამ სუბსიდის მოლოდინში კინაღამ არ დაიღუპა ასეთი ვაი-ვაგლახით დაწყობილი საქმე. თვით მემამულენი ძალიან უხალისოთ ევებებიან ამ სკოლებს, რომელნიც მათის ფიქრით ხელს უშლიან მუშაობას. და რომ უსახსრობისა გამო ამ სკოლების მოქმედება თუნდა დროებით შეჩერებულიყო, აუცილებლად დაიხურებოდა მათი დიდი ნაწილი მაინც. მაგრამ ეს საქმე დაღუპვიდან ისხნეს მასწავლებლებმა, რომელნიც, მომავლის იმედით, თანახმა გახდენ დროებით უფასოდ ესწავლებიათ და სამგზავრო ხარჯებიც თვითონ ეკისრნათ. ამ საქმის მოთავეებს იმედი აქვთ, რომ მომავალში მათი ფინანსიური მხარე გაუმჯობესდება და საქმეც მტკიცედ დადგება ფეხზე.

გარდა „რომის ველებისა“, ასეთივე სკოლები არსებობს ზოგიერთ ადგილებში კომპანიისა და აბრუპულში, სადაც მუშაობს აგრედვე ირი მდიდრულად მორთულ-მოწყობილი მოძრავი ბარაკი, რომელნიც თან დაყვებიან მუშებსა და მწყემსებს; საერთოდ მოძრავი სკოლები აქ ვვ-მდეა.

არის კიდევ ერთი ტიპის მოძრავი სკოლა—ფიზიკურად სუსტ ბავშვებისათვის. ე.წ. „კლასები ჰაერზე“. ამ სკოლებს აწყობს მაგალითად ქალაქი მილანი. რომში-კი, ფიზიკურად სუსტი ბავშვები, იმის მაგივრად, რომ ჩვეულებრივ წიგნებიან ჩანთით ხელში სკოლაში წავიდნენ, აიკიდებენ ზურგზე მსუბუქ, დასაშლელ სკამს და მიღიან სამეცადინოთ და რამდენიმე საათის სუფთა ჰაერზე გასატარებლად, ქალაქის უმაღლეს ნაწილში გორაკი—იანიკულზე.

ახალი მიმდინარეობა საბავშვო ბალების მოწყობის შესახებ ამ ბოლო დროს ყველგან ცნობილი ქ.—ბ. მანტესორის მხოლოდ სახელის ხსენებით და განისაზღვრება.

როცა იტალიის კულტურულ ზრდაზე ვლაპარაკობთ, არ მეტად გენერაცია  
არ ვახსენოთ საზოგადოება: „ჰუმანიტარია“ ქ. მილანში, რომელიც ყო-  
ველის მხრით დიდი ყურადღების ღირსია, მაგრამ რამდენიმე სტრიქო-  
ნით მისი დახასიათება შეუძლებელია.

დავასრულოთ იტალიის სასკოლო საქმეებში ახალი მოძრაობის შე-  
სახებ ჩვენი შენიშვნები იმ მანდატით, რომელიც მისცეს ამომრჩევლებ-  
მა ამორჩეულებს პარლამენტის წევრთა უკანასკნელ არჩევნების დროს,  
რომლიდანაც ცხადი იქნება თუ რა აკლია კიდევ იტალიის თანამედროვე  
სკოლას.

ამ მანდატის ძირითადი დებულებები ასეთია: მასშავლებელთა ნივთი-  
ერი მდგომარეობის გაუმჯობესება. ერთსახეობა სკოლის რეფიმისა—სა-  
ხელმწიფოს ყველა თემებში. სასულიერო უწყებიდან განთავისუფლება  
განათლების საქმისა. ყველასათვის ერთნაირად სავალდებულო სწავლის  
ვადა, სკოლის მოსამსახურეთა უზრუნველყოფა, როგორც სახელმწიფოს  
მოვალეობა. ნორმალურ სკოლათა—(საოსტატო სემინარიების) რეფორ-  
მა. სასკოლო ჰასაკამდე აღზრდის ორგანიზაცია”...

ილ. გოგია.

# რაისა სიმონის ასული ჯავარიშვი-გრგიასი.



† 1885-1920 წ.

16 წლის მოღვაწეობის გამო.

უკვე მესამე თვეა, რაც სამუდამოთ მიწას მიაბარეს ჯერ ახალგაზრდა, ჯან-ლონით და ენერგიით სავსე, სახალხო განათლების სარბიელზე მოღვაწე ქალი—რაისა (სეტო) ჯავარიშვი-გრგიასი.

რაისა ცნობილი იყო თავის წრეში, როგორც გამოცდილი პედა-გოფი და სამაგალითო აღმზრდელი.

ვინ არ იცის, რომ ჩვენი ქვეყანა ღარიბია კეშმარიტ აღმზრდელ-პე-  
დაგოგებით, მაგრამ მაინც ამ ერთფეროვან გუნდში დრო-გამოშვებით გაი-  
ბრწყინვებს აქა-იქ, შუქურასავით მოკიაფე ნათელი პიროვნება მაღლილან  
მოწოდებულ მასწავლებლისა, რომელსაც წმინდა მოვალეობისთვის შეუ-  
წირავს თავი და სარგებლობაც ბევრი მოუტანია. ასეთი მოღვაწე სიკვ-  
დილს შემდეგ მაინც არის ღირსი გულწრფელი მაღლობისა და უბრალო  
ნეკროლოგით მაინც შეფასებისა.

აი, სწორეთ ერთი ასეთი ჩუმი, მაგრამ ყოვლად სპეციალი და ღირ-  
სეული მოღვაწეთაგანი იყო განსვენებული რაისა. ამიტომ ზედმეტი არ  
იქნება ორიოდე სიტყვით გავაცნოთ მკითხველებს მისი ვინაობა და მო-  
ღვაწეობა.

რაისა, (ან სეტო—როგორც მას სააღმრსოთ უწოდებდენ ამხანაგ-  
მეგობრები), იყო მღვდლის შვილი. დაიბადა 1885 წელს. სოფლის სკო-  
ლის დასრულების შემდეგ მშობლებში მიაბარეს ქუთასის ჭალთა საეპარ-  
ქიო სასწავლებელში, რომელიც ჩინებულად დაასრულა 1902 წ. მას თი-  
თქოს დაბადებიდანვე თან დაყოლილი ჰქონდა სიყვარული და მოწოდება  
საპედაგოგიო მოღვაწეობისადმი და შეგირდობიდანვე აცნებობდა ამაზე.  
დაასრულა თუ არა სწავლა, მაშინვე გაეშურა სოფლისაკენ, რომ იქ ხალ-  
ხის განათლებისათვის შეეწირა თავი. პირველი 6 წელი მასწავლებლობდა  
ლაილაშის (ლეჩეუმ. მაზრ.) საქალებო სკოლაში. შემდევ 7 წელიწადი  
განაგებდა ონის (რაჭ. მ.) საქალებო სკოლას, რომელიც სამუდამოთ ააყ-  
ვავა თავისი დაუღალავი შრომა-მეტადინეობით.

1916 წელს ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ. ბაქოს განყოფილებამ მიიწვია  
იგი ტატიანას კომიტეტის მიერ დაარსებულს, ომისაგან დაზარალებულთა  
შეიღების თავშესაფრის გამგედ. მალე მიწვეულ იქნა აგრედვე ბაქოს  
ქართული სკოლის მასწავლებლად და ადგილობრივ საშვალო სასწავლებ-  
ლებში მოსწავლე ქართველთათვის დაარსებულ საშობლო ენისა და ის-  
ტორიის კურსების მასწავლებლად. ბაქოში დარჩა იგი 3 წელიწადი.

ამ რიგად მან სრული 16 წელიწადი სიცოცხლის უძვირფასესი და  
ულამაზესი წუთები—ახალგაზრდობა შესწირა ქართულ ეროვნულ სკოლას.

სეტო დაუღალავი მუშაკი იყო; მას ერთი წუთითაც ვერ ნახავდით  
მოსვენებულს. არც უყვარდა მჩალტე გასართობებში ფუქსაფატი დროს  
ტარება. სკოლის საქმეებიდან თავისუფალ დროს ანდომებდა ხელსაქნა-  
რობას, ან წიგნებისა და ქურნალ-გაზეთების კითხვას, ან სხვა რამ საზო-



გადო საქმეს. განსაკუთრებით ფხიზელ თვალყურს ადევნებდა მოწინავე პედაგოგიკას და ცდილობდა მის თანახმად დაეყენებია სწავლა-აღზრდის საქმე თავის სასწავლებელში. ამ მიზნით ყოველთვის პქნნდა გამოწერილი რომელიმე პროგრესიული პედაგოგიური ორგანო მაგალ. „ევინი-ჟირი სამართლების მოწერი უურნალ „განათლება“-ზე, როცა ეს უურნალი პირველად გამოვიდა.

მრავალი საღი პედაგოგიურ პრინციპის შეგნება ამშვენებდა სეტოს მოღვაწეობას. — მან კარგად იცოდა, რომ აღზრდის საუკეთესო საშვალება არის არა სიტყვიერი დარიგება, არამედ ცოცხალი მაგალითები, ამიტომ პირველად თვითონვე უჩვენებდა შეგირდებს სულით საღი და სრულ-ქმნილი ადამიანის საუკეთესო თვისებებს. მას სწამდა, რომ ბავშვისთვის ყოველ შენაძენზე უფრო ძვირფასი განძია ცოდნის მოყვარეობისა და წიგნების კითხვის. წყურვილის აღძრა. ამიტომ იგი კვირა-უქმედე-საც-კი არ აცდენდა; იბარებდა შეგირდებს, უკითხავდა და არჩევდა მათთან საყმაწვილო ლიტერატურას. ხშირად უმართავდა მათ საბავშვო ლიტერატურულ დილას წარმოდგენებით. იგი ბუნებით ნიჭიერი, ამ საქმე-შიაც დიდ უნარს იჩენდა. მის მიერ დადგმული საბავშვო წარმოდგენები: „მონადირე“, „წითელი ყვავილი“ და სხვა, დღესაც არ წაშლილა ონელების შთაბეჭდილებიდან და კიდევ დიდხანს დარჩება მისაბაძ მაგალითად-როცა სკოლას სახსარი არ მოეპოებოდა, იგი თავის მცირე ჯამაგირის ფულით. უწერდა შეგირდებს საყმაწვილო უურნალებს. ასეთი მუყაითობის გამო მისი შეგირდები ყოველთვის კარგ მომზადებას იჩენდნენ, რაც არა ერთხელ დაამტკიცეს სხვა სასწავლებლებში გადასასვლელ გამოცდების დროს. გარდა ამისა ხელსაჭმესაც ასწავლიდა შეგირდებს (ჭრა-კერვას) ზოგჯერ სრულიად უსასყიდლოთ.

სეტო ღრმად მორჩილე პატრიოტი იყო და დიდი მოყვარული სამშობლო ენისა. ის არასოდეს ყოფილა ზოგიერთ კარიერის მაძიებელ მასწავლებლებივით რუსიფიკატორ მთავრობის ლაქია. „სკოლა ეროვნული თვითშეგნების იარაღია“, იტყოდა ხოლმე იგი და მუდამ ამ მიზნისაკენ იყო მიმართული მისი ცდა. ამგვარ მისწრაფებას არა ერთხელ ჩაუგდია იგი საშიშ მდგომარეობაში, მაგრამ მაინც არასოდეს უღალატნია თავის რწმენისთვის.

„მე მხოლოდ ის სკოლა მრწამს, რომელიც-კი არ გადააგვარებს

ერს, არამედ მის ეროვნულ შემოქმედების პროგრესს შეუწყობს ხელ-საო". იტყოდა ხოლმე განსვენებული. „ყოველ მასწავლებელს უნდა ჰქონდეს შეგნებული, რომ პოლიტიკურ იარაღად გადაქცეული სკოლა, ეს ნამდვილი ბოროტებაა, ეს შხამიანი წყლულია ერის ორგანიზმები" სთქვა მან ერთხელ მასწავლებლებთან საუბრის დროს.

აი, ასეთი ნათელი რწმენითა და საღი შეხედულებით იყო აღჭურ-ვილი განსვენებული სკოლისა და მისი სულის ჩამდგმელ მასწავლებელთა შესახებ.

მაგრამ მისი მეორე სკოლა საზოგადოება იყო. იგი ყოველთვის გულმხურევალე მონაწილეობას იღებდა ყოველგვარ საზოგადო კულტუ-რულ საქმეებში და ყოველგვან ერთსა და იმავე მუყაითობას და საქმის გულწრფელად სიყვარულს იჩენდა. საზოგადო საქმის კეთება ეს მისი ხასიათის, — ბუნების ძირითადი თვისება იყო.

დიახ, სწორედ რომ ყოველის მხრით იშვიათი აღამიანი იყო სეტო და ეს შინაგანი, სულიერი სისალე გარევნობაზეც იყო აღბეჭდილი: ერ-თი, რომ შეგეხედათ მისი ღრმა გონიერებით გამომშეტყველ თვალების-თვის, მუდმივ მზრუნველობით ჩაფიქრებულ, მაგრამ ნათელი და სათ-ნიოან სახეზე, მაშინვე იტყოდით, რომ ამ აღამიანის გული ზეკაცურ გრძნობათა ზღვა არისო და მთელის არსებით მისი გულწრფელი პატივის მცემელი გახდებოდით. მისი თავაზიანობა, მოკრძალება და სიმორცხვე, მუდმივი საქმიანობა შინ და გარედ, ბრძნული სიღინჯე, ყოველთვის ღრმად მოფიქრებული და მხოლოდ თავის აღგილზე ზომიერი და მიზან-შეწონილი ლაპარაკი, უბრალო, საღა ჩატარ-ზაფხულ დახურული საყელო და ბუნებრივი მიხვრა-მოხვრა მას კეშმარიტ ადა-მიანის საუკეთესო ნიმუშად ხდიდა.

აი, ამიტომაც დაიმსახურა მან ყველგვან და ყველასგან დიდი სიყვა-რული და ღრმა პატივისცემა. განსაკუთრებით-კი თავის პატია შეგირდე-ბიდან, რომელთაოვისაც მზად იყო უფიქრელად შეეწირა სიცოცხლე. წმინდა დედობრივი მზრუნველობით. არა ნაკლებ აფასებდენ მას კოლ-ლეგები; სრულიად გულწრფელად სწერს ერთ ჭირისუფალთაგანს ონის საქალებო სკოლის ეხლანდელი გამვე ქალი ქს. კაპეტივაძე, რომელმაც ვ წელიწადი იმსახურა ამავე სკოლაში სეტოს ხელში, — „შენ არ იცი რა იყო ჩვენთვის სეტო, ის იყო ჩვენი იდეალი, ჩვენი ავტორიტეტი, ყველა-ფერში მისაბაძი მაგალითოო!“ მე დარწმუნებული ვარ, — ბევრი სხვაც,



ვისაც კი შემთხვევა ჰქონია სეტოს ახლო გაცნობისა, ამავე გრძნობას განიცდის, ამავე წრფელი და ღრმა გულის ტკინით მოიგონებს მას.

კიდევ ღიღხანს შეეძლო მას მხარი დაემშვენებია კოლლეგების-თვის და ბევრი სარგებლობაც მოეტანა, მაგრამ დაუნდობელმა სიკვდილ-მა არ დაატალა და ჯერ სულ ახლად გაფურჩქვნილი ვრცდი ძვირფასი სიკოცხლისა უდროვოდ დაზრო. და იგი ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 1920 წლის 29 იანვარს. თავის სამშობლო სოფელ-ში—კვაცხუთში. (რაჭ. მაზ.) მას დარჩა მხოლოდ 3 წლის ჯვარდაწერილი მეუღლე—პედაგოგი და მწერალი ილია გოგია და წლინახევრის ქალიშვილი...

ასე ხანმოკლე შეიქნა სამწუხაროდ სეტოს სიკოცხლე და მოღვაწეობა, მაგრამ იშვიათი შინაარსიანი და ნაყოფიერი იყო იგი. მისი კეშმარიტი ადამიანობა, მისდამი ღრმა პატივისცემითა და გულითადი სიყვარულით გასხივოსნებული ხსოვნა საუკუნოდ წარუშლელი დარჩება ჩვენ შორის.

განისვენე ძვირფასო და საყვარელო სეტო, შენი ნაცნობ-მეგობრები მოგიძლვნით უკანასკნელ სალმს და გეოთხოვებით სამუდამოთ იმ უკვდავ სიყვარულით, რომელსაც შენ თვითონ სთესდი მოზარდთა გულში.

შენი კეთილი ხსოვნა, შენი ნათელი სახე და სამაგალითო ხასიათი უკვდავი იქნება ჩვენს გულში. და შენმიერ ნაანდერძევი კეთილგონიერი მოლვაწეობის მაგალითი კეშმარიტ გზას გავინათებს შენ კოლლეგებს უმჯობეს მომავლისაკენ...

კოლლეგა.

## სრულიად საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების ზრული კრიტიკა.

(გაგრძელება 11 იანვრის სხდომისა.)

გ. ჭუმბურიძე. (დაბალ დაწყ. და უმ. დაწყ. სასწავლებელთა მთავარ გამგე) საჭიროდ მიმაჩნია ყრილობას ცნობები მივაწოდო იმ ორი კუთხის შესახებ, რომელთაც აქ წარმომადგენლები არა ჰყავთ—ესენი არიან აფხაზეთ-სამურჩაყანო და ჯავახეთ-მესხეთი. აფხაზეთ-სამურჩაყანოს 4 მაზრაში 155 სკოლამდე ითვლება დაახლოებით. ამ მაზრების ეროვნებმა

ჯერ კიდევ ვერ მოგვაწოდეს ყველა საჭირო ცნობები. რაც შეეხება მესამედი ხეთ-ჯავახეთს, ამ მხარეში მოწყობილ აჯანყებათა გამო იქ სკოლები მოიშალა. მაგრამ სამოქალაქო ცხოვრების მოწესრიგებისთანავე მთავრობა შეეცადა და ბევრი გაუქმებული სკოლა აღადგინა და ახლებიც გახსნა. ამ უძალ ახალციხის მაზრაში 13 პ. დაწყ. სკოლაა, ამაოგან 5 თვით ქ. ახალციხეში, ხოლო 8 მაზრაში. უფრო ნაკლები რიცხვია სკოლებისა ახალქალაქის მაზრაში, საღაც სულ 3 პ. დაწყ. სასწავლებელია: ერთი ქალაქში — ქართულ-სომხური და ორი გაზრაში. ამ მაზრებში არის წმინდა ქართული, სომხური და ოსმალური სკოლები.

ყრილობამ მოისმინა ადგილებიდან მოხსენებები. ეს მოხსენებები უნდა იყოს ჩვენი მთავარი სახელმძღვანელო და ნაკვი, საიდამაც უნდა გამომდინარეობდეს ჩვენი სკოლის მომავალი გაუმჯობესება. საერთოდ მოხსენებებიდან სჩანს, რომ მდგომარეობა ცუდია. ამას ხელს უწყობს სკოლის გარეგნული მხარე: სკოლებს არ მოეპოვათ სათანადო ბინები, არა აქვთ ავეჯეულობა და საჭირო მოწყობილობა. სკოლებთან არაა მასწავლებელთათვის ბინები. გათბობა-განათების მხრივ სკოლები უზრუნველყოფილნი არ არიან. სათანადო ბინების, ავეჯეულობის, სასკოლო ხელსაწყობისა და გათბობა-განათების მხრივ შეიძლება მხოლოდ ტფილი-სის. სკოლები ჩავთვალოთ ასე თუ ისე უზრუნველყოფილად. და ვფიქრობ მართალს ვიტყვი, თუ აღვნიშნავ, რომ ზემოდ ნახსენები საჭიროებანი ქუთასშიაც ვერაა დაქმაყოფილებული.

თითქმის ყველა მომხსენებელი ადგილებიდან ხაზგასმით უსაყვედურებდა ადგილობრივ თვითმართველობათა ერთეულებს, რომ ისინი არ აქცევენ სათანადო ყურადღებას სწავლა განათლების საქმეს. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს თვითმართველობა ჯერ კიდევ ნორჩი დაწესებულებაა, ან მის განკარგულებაში არაა იმდენი საშუალება — არც გამოცდილება და არც სასაარია, რომ სწავლა-განათლების საქმე ჯეროვანად დააყენოს. მართალია სკოლის მმართველ ორგანიზაციის გასაადვილებლად მთავრობამ გადასწყვიტა სწავლა-აღზრდის საქმე გადასცემოდა ქალაქისა და ადგილობრივ თვითმართველობათა ერთეულების გამგეობებს, რომელთაც უნდა ეზრუნათ სკოლის მოწყობისათვის, მაგრამ ზემოაღნიშნულ მიზეზების გამო ჯერ-ჯერობით მათ ეს ვერ შესძლეს.

საერთოდ სწავლა-აღზრდის გასაუმჯობესებლად მთავრობის მიერ მიღებულ იქმნა ზომები. პირველი ზომა ეს სკოლების გაეროვნულება იყო.

გაეროვნულება ესაჭიროებოდა ქართულს, რუსულს, სომხურს, ოსმალურს და ბერძნულ სკოლებს. ამ მხრივ უკეთეს პირობებში აღმოჩნდნენ ქართული და სომხური სკოლები, აյ მასწავლებლები უფრო მომზადებული შეხვდნენ ამ ძირითად რეფორმას და დიდი დახმარება აღმოუჩინეს მთავრობას. რაც შეეხება ბერძნულ სკოლებს, რომელთა რიცხვი რესპუბლიკაში საკმაოდ დიდია, იქ სწავლა ჯერ კიდევ რუსულ ენაზე სწარმოებს. უფრო უნუგეშო მდგომარეობაშია ოსმალური სკოლები—მეორე ზომა ეს სკოლის მმართველ რეგისტაციათა დემოკრატიზაცია იყო: მრავრობამ თავის დეკრეტით დაბალი და უმაღლ. დაწყ. სკოლები გადასცა აღგილობრივ თვითმმართველობებს. მესამე ზომა იყო პროგრამების შემუშავება: მთავრობამ გამოსცა ეს პროგრამები, რომელთაც დროებითი ხსიათი აქვს.

მათი საბოლოოდ შემუშავება დამოკიდებულია თვით მასწავლებლებზე.

აქ არ შეიძლება არ შევეხოთ სახელმძღვანელოების საკითხსაც, ვინაიდან გაეროვნებული სკოლისათვის უპირველესად ყოვლისა საჭიროა აგრედვე კარგი სახელმძღვანელოებიც—ამ მხრივ მთავრობა აწარმოებდა და აწარმოებს ახლაც მუშაობას. ამ საქმეში მას განსაკუთრებული დახმარება გაუწიოს დასავლ. საქართველოს მასწავლებლებმა. და არ შეიძლება კსტკათ, რომ სახელმძღვანელოთა მხრივ დღეს ჩვენ უნუგეშო მდგომარეობაში ვიყოთ.

აქ აღნიშნეს და არანორმალურ მდგომარეობად ჩათვალეს ის, რომ ზოგიერთ უმ. დაწყებით სკოლათა მასწავლებლები დაუმტკიცებელი არიან. ამის მიზეზი კი უმთავრესად ისაა, რომ სოფლები ხშირად ხსნიან ამ სასწავლებლებს და ანგარიშს არ უწევენ იმას, თუ რამდენად შეუძლიათ მათი უზრუნველყოფა. ამას გარდა ხშირად ამ სასწავლებლებში მასწავლებლობენ უმ. დაწყ. სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულები. და კველას მოეხსენება ის გარემოება, რომ არა სახაზინო უმ. დაწყ. სასწავლებლებში მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობა აუტანელია. სამინისტროს წარსული წლის განმავლობაში ფიქრად ჰქონდა ზოგიერთ ამ სასწავლებელთა თავის თავზე მიღება, მაგრამ საქმეს აკერხებს ის, რომ აღგილობრივი ერთეულები ცნობებს არ გვაწვდიან. დღეს დღეობით ამ სასწავლებლებს ეძლევათ ხაზინიდან დეკრეტებით ნაგულისხმევი დამატება.

ხუთწლეული დამატების მიღებას აფერხებს აგრედვე ის გარემოება, რომ აღგილებიდან ცნობები არა გვაქვს. ამ საკითხში გაუგებლობაა აფ-

რედვე იმიტომაც, რომ გარდამავალი ხანის დროს ბევრ მასწავლებელთა დაკუჭმინტები გაიფანტა და მათი მოძებნა შეუძლებელი გახდა.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთოდ სკოლის დღევანდელ მდგომარეობას თუ შევადარებთ იმას, რაც იყო, ეს მდგომარეობა ბევრად გაუმჯობესებულია.

ყრილობა ირჩევს 5 კაცისაგან შემდგარ კომისიას, რომელსაც ავალებს ადგილებიდან მოხსენებების მიხედვით რეზოლუციის შემუშავებას. კომისიაში არჩეული არიან: აკ. ფადავა, გ. ბურჯანაძე, დ. ქადაგიძე, შეტრუელი და კობაშვილი.

ყრილობა ადგენს მოისმინოს მომენტის შესახებ მოხსენება მთავრობისა. მომხსენებლის მოწვევა ენდობა ყრილობის პრეზიდიუმს.

### 11 იანვარი—სალამოს სხდომა.

კრება იწყება სალამოს 6 საათ. 20 წ. თავმჯდომარეობს გ. ბურჯანაძე.

განსაზილველია შემდეგი მორიგი საკითხი: სასკოლო რეფორმა. მომხსენებელია ალ. მდიგარი.

ალ. მდიგარი აკეთებს ვრცელს მოხსენებას სკოლის რეორგანიზაციის შესახებ. მთავარი ტეზისები მოხსენების შემდეგია:

1.—სახალხო განათლების ორი უმთავრესი საფეხურია ზოგადი და ჰითოვესითნალური.

2.—ზოგადი უნდა უსწრებდეს პროფესიონალურს; ის საყოველთაო, უფასო და შეიცავს შვილი ან რვა წლის კურსს.

3.—საყოველთაო, უფასო სკოლას თან მისდევს სკოლა პროფესიონალური სამი ან ოთხი წლის კურსით.

4.—პროფესიონალური სკოლა სავალდებულოა ყველასათვის, ვინც განათლების სხვა რომელიმე გზას არ აირჩევს, არამედ გადადის პრაქტიკულ ცხოვრების სფეროში.

5.—ამ თავად საქართველოს ამა თუ იმ რაიონებში უმთავრეს ეკონომიკურ პირობების მიხედვით მოეწყოს ერთი ტიპი პროფესიონალური სკოლისა; ქალაქში კი დაარსდენ პოლიტექნიკური სკოლები, რასაც ქალაქის ეკონომიკური ცხოვრების მრავალმხრიობა მოითხოვს.

6.—აგრეთვე მოეწყოს ეხლავე სავალდებულო მოკლე-ვალიანი პროფესიონალური კურსები სასოფლო-სამეურნეო და აგრეთვე სახელოსნო ცოდნათა გასავრცელებლად.

7.—საშუალო სკოლა სამი ან ოთხი წლის კურსით ერთი საფე-



ხუროთაგანია სახალხო განათლების და ორგანიული გაგრძელება სახალხო გრინდიზის სკოლის.

8. საშუალო სკოლა შეუძლებელია იყოს ერთი ტიპისა და აუცილებელია მისი განაწევრება აღვილობრივ პირობების მიხედვით.

### გართვა-გამგეობა.

1.—სახალხო განათლების მართვა-გამგეობა უნდა მოეწყოს დეცინტრალიზაციის პრინციპზე.

2.—ის (მართვა-გამგეობა) უნდა შეფარდებულ იქნას აღვილობრივ თვითმმართველობების ფორმებიან ისე, რომ პედაგოგიური დამოუკიდებლობა მასწავლებელთა კოლეგიებისა სრულიად დაცულ იქნეს.

(სრული შტატებია დაიბეჭდება ერთ-ერთს უახლოეს ნომერში).

მოხსენების შემდეგ კრება შესწყდა 10 წამით. კრების განახლების დროს სიტყვა ეძღვავა განათლების მინისტრის ამხანაგს ნ. ცინცაძეს.

მომხსენებელი ამბობს განათლების მინისტრის ამხანაგი, მთავრობას სწავლა-აღზრდის საქმეში უპიროვრამობას სწავლებს ეს სიმართლეს არ შეესაბამება. ჩვენ მთელი რიგი რეფორმებისა შევიმუშავეთ და მთავრობაში წარვადგინეთ. ჩვენი მოხსენება ამ უამაღ იბეჭდება უურნალ „განათლება“-ში და ყველა იმ დებულებებს, რომლებიც მომხსენებელმა აქ წამოაყენა, თქვენ შეხვდებით ჩვენს მოხსენებაშიაც. მთავრობასაც აქვს აზრად საერთო განათლება უფასო და სავალდებულო იყოს, მაგრამ ამის განხორციელება ჯერ მხოლოდ პირველ საფეხურზე შეიქმნა შესაძლებელი ვცდილობთ შემდეგში ეს რეფორმა საესებით გავატაროთ. საპროფესიო და სატექნიკო სკოლების გამავრცელებლად ჩვენ ნაბიჯებიც კი გადავდგით. სიმართლეს არ შეეფრება აგრძევე მომხსენებლის ის განცხადებაც, თითქოს მთავრობის თავმჯდომარე ერთი სიტყვითაც არ შეხებოდეს თავის სიტყვაში სწავლა-გენათლების საქმეს: მთავრობის თავმჯდომარემ თავის დეკლარაციაშია, რომელიც წაიკითხა მან დამუშანებელ კრებაში, ნათლად დასურათა რესპუბლიკაში სახალხო განათლების საქმის დაყენება.

გ. ქანიევი ეთანხმება მინისტრის ამხანაგს იმის შესახებ, რომ მთავრობას უკვე მიღებული აქვს ზომები სკოლის რეორგანიზაციის მოსახლენად. მართვა-გამგეობის მხრივ მას მისაღებად მიაჩნია მომხსენებლის აზრი დეცინტრალიზაციისა და ცენტრალიზმის შეთანხმებისა, მაგრამ ამასთანავე უმატებს, რომ მეტად უნდა ვიხელმძღვანელოთ დეცინტრალიზმის

პრინციპით, რაც იმას ნიშნავს, რომ სკოლის საქმე ადგილობრივ თვითმმართველობის ხელში უნდა იყოსო. ყოველგვარი ისტორიული ქარი-შხალი უფრო პროფესიული კავშირებზე მოქმედობს, ვიდრე ოვითმართველობებზე. რასაკეირველია პროფესიონალურ კავშირებს ანგარიში უნდა გაეწიოს, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა კი ოვითმართველობებს უნდა ეკუთნოდეს. სამინისტრო მართვა-გამგეობით არ უნდა იყოს დატვირთული, ის ადგილობრივ ოვითმართველობებს უნდა გადაეცეს. სამინისტროს საზრუნავ საგანს-კი უნდა შეადგენდეს პროგრამებისა და მეთოდების, სწავლების საშუალებათა შემუშავება, სკოლის იდეიური ხელმძღვანელობა.

ფინანსურის მიზანი გამორკვეულია. საკითხი გამორკვეულია. მივიღოთ მთავრობის მოხსენება საფუძვლად და განვიხილოთ მუხლობრივ.

ქ. ქარუმიქე. ჩემთვის პირადად მეტი მნიშვნელობა იქნა ადგილებიდან ჩვენ მიერ მოსმენილ მოხსენებებს, ვიდრე გერმანიისა და შეერთებული შტატების მაგალითებს. ჩვენ გვინდა ეროვნული სკოლა, პრაქტიკულად მომზადებული მოქალაქე. მოხსენებაში დებულებანი ჩამოყალიბებული არაა. მე ვერ გავიგე ავტორი მოხსენებისა როგორი მართვა-გამგეობის მომხრე იყო. ჩემი აზრით სკოლის მართვა-გამგეობა მხოლოდ და მხოლოდ ცენტრს უნდა დავაკისროთ, რადგან ჩვენი თვითმართველობანი სათანადო სიმაღლეზე ვერ დგანან. საჭიროა მაგარი ცენტრი დამყარებული პედაგოგიურ ავტონომიებზე. თვითმართველობათა უფლებანი უნდა შეიზღუდოს. რაც შეეხება სამეურნეო ნაწილს, ჩვენს ქვეყანაში მისი ელემენტები აუცილებლად უნდა შევიდეს პირველ-დაწყებითი სკოლების კურსში.

გ. ჯაჭვადა. სასკოლო რეფორმა იძღვნად დიდი საკითხია, რომ იმის შესახებ მოსმენილ მოხსენებაზე ზოგადი მსჯელობით ვერავითარ შედეგს მივაღწევთ. საჭიროა მოხსენება მუხლებად დავყოთ და ისე განვიხილოთ.

ი. ჭიშქარიანი. მოხსენება არ არის ჩამოყალიბებული. ჩვენი სკოლის რეფორმანიზაციის დროს აღმოსავლეთს გვერდს ვერ აუვლით. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია ყრილობას წარმოუდგინო შემდეგი დებულებები: 1. სკოლა საღი შეიძლება იყოს მხოლოდ ეროვნული, ე. ი. რომელიც ეყრდნობა თვისი ერის სულიერ კულტურას, 2. ქართული სულიერი კულტურა დიადი თავისი, დღემდე შენარჩუნებულ, თვისებებით აღმოენებულია უუცველეს აღმოსავლეთის წიაღიდამ, 3. ამ უკანასკნელი წყაროს შესწავლა უნდა გარდიქცეს დროებით მაინც, სრულ ამოწურვამდე, ქართულ სკოლის ძირითად სასწავლო მასალად და ამით აღდგენილ იქმნეს

ქრისტეს შობამდე მე-VII-დე საუკუნის მიწურულში მასთან შეწყვეტილი კავშირი, რაც ერს მისცემს სათანადო ზნეობრივ სიამაყესთან ერთად იმედსაც ბრწყინვალე მომავლისას.

კრება იხურება ღამის 10 საათზე.

12 იანვარი. კრება იწყება დილის 10 საათზე. თავმჯდომარეობს ვ. ბურჯანაძე.

უნდა გაგრძელდეს „სასკოლო რეფორმის“ გარშემო კამათი.

ყრილობამ საკითხი გამორკვეულად სცნო და კამათი მოისპო. უკანასკნელი სიტყვა ეძლევა მომხსენებელს.

ად. მდივანი. მწუხარებას გამოვთქვამ, რომ დღეს ამ კრებაზე არ არის განათლების მინისტრის ამხანაგი, რომელმაც ჩემი მოხსენების შემდეგ ბევრი ისეთი რამ დამწამა, რაც მე არ მითქვამს. მე უპროგრამობა მთავრობისათვის არ შემიწამებია. ამ მხრივ მინისტრის ამხანაგის აზრი უსაფუძლოა. მაგრამ სწავლა-აღზრდის შესახებ რომ ჩვენ გარკვეული გეგმა არა გვაქვს, ესცე ეჭვს გარეშე. მე აღნიშნავ და აღვნიშნავ დღესაც იმ ფაქტს, რომ მთავრობას არ აქვს საკუნონმდებლო ორგანოს მიერ შემუშავებული და მიღებული არც ერთი დებულებები ამ საკითხის შესახებ. მას კი, რაც ახლა გვაქვს, შეიძლება ეწალოს მხოლოდ განკარგულებები. რაც შეეხება მთავრობის თავმჯდომარის შესახებ ჩემს განცხადებას, ის მართალია. მთავრობის თავმჯდომარეს 1919 წ. 9 დეკემბერს თავის მოხსენებაში ერთი სიტყვაც არ უთქვამს სწავლა-განათლებაზე.

მინასტრის ამხანაგმა განაცხადა, რომ პრინციპიალური განსხვავება სამინისტროს გეგმისა და მომხსენებელის დებულებების შორის არაეითარი არ არის; მით უფრო გაუგებარი იყო მინისტრის ამხანაგის სიტყვის კილო; მაგრამ მე უნდა აღვნიშნო, რომ გეგმა სწავლა-განათლებისა სამინისტროს მიერ შემუშავებული, რომელიც განათლების ფურცლებზე დაიბეჭდა და ჩემი დებულებები, მართალია, პრინციპიალურად დიდად არ განსხვავდებიან, მაგრამ მათ შორის საკმარისი განსხვავებაა. მომხსენებელი არკვევს ამ განსხვავებებს.

სკოლის მართვა-გამხეობის შესახებ ბ-ნმა კონიევმა მიუღებელი აზრი გამოსთქვა: ვითომ პოლიტიკური ცვლილება გავლენას ახდენდეს მხოლოდ პროფესიონალურ კავშირებზე და თვითმართველობებზე კი არა. ეს მართალი არაა. ამიტომ მიუღებელია ის აზრი, რომ სწავლა-განათლების საქმე საქსებით თვითმართველობებს გადაეცეს. ბ-ნი კონიევი აქ

თითქოს უფრო დეცენტრალიზმის პრინციპის დაყრდნობის თვალსაზრისით უფრო იცავდა, არსებითად კი, მე მოვახსენებთ, არც ერთი ცენტრალისტი არ წასულია არასოდეს ისე შორს, როგორც კონიევი: ის მოითხოვს, რომ მეთოდიური გზები სამინისტროს ჩაბარდეს ყოვლად მიუღებელია, მეთოდიური გზები უსათუოდ თავისუფალი უნდა იყოს. სამინისტრო უნდა იმუშავებდეს პროგრამების მინიმუმს, რომლის შესება უნდა მოხდეს ადგილობრივი პირობების მიხედვით. მე ჩემს მოხსენებაში მხოლოდ საერთო დებულებანი წამოვაყენე და ეს მოვიმოქმედე იმიტომ, რომ თუ ჩვენ ძირითად პრინციპებში შევთავაზემდებთ, მერე დეტალიზაცია ადვილია. ჩემი მოხსენების მთავარი დებულებანი უკვე გარკვევით აღნიშნული იყო მოხსენებაში. მომხსენები ხელმეორედ აცნობს კრების არსებულებებს.

მომხსენებლის მიერ წარმოდგენილ დებულებათა გარჩევა და რეზოლუციის შემუშავება ყრილობაში მიანდო 11 პირისაგან შემდგარ კომისიას, რომელშიაც შედიან: 3 წარმომადგენელი საშუალო სკოლიდან, 4 უმ. დაწყ. და 4 პ. დაწყ. სკოლებიდან. კომისიაში არჩეულ იქმნება: 6. ქუთათელაძე, ფირცხალიშვილი, ა. წერეთელი, გ. მიქაბერიძე, მეტრეველი, ლ. კვიკვიძე, 6. ლუდუშაური, 3. ჭანიშვილი, კალანდაძე, ოდიშარია და მელქაძე.

13 იანვარი კრება იწყება დილის 10 საათზე თავმჯდომარე ად. მდიგარი.

მორიგი საკითხი; მასწავლებელთა მომზადება. მომხსენებელია 3. ჩარექიშვილი.

მოხსენების მოსმენაშე წინადადება შემოდის სკოლის სარეფორმო კომისიაში არჩეულ იქმნას საპროფესიო სკოლების მასწავლებელთაგან 2 წარმომადგენელი. ყრილობა წინადადებას დებულობს ამის შემდეგ ყრილობა გადადის მორიგ საკითხზე.

მასწავლებელთა მომზადების შესახებ მთავარი მომხსენებელი 3. ჩარექიშვილი აკეთებს მოხსენებას.

### მასწავლებელთა მომზადება.

ა) სკოლის სასურველ და ნაყოფიერ ნიადაგზე დაყენების საქმეში ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებელთა მომზადებას. მასწავლებელი არის სკოლის სული და გული, და სკოლა მხოლოდ მაშინ შეასრულებს თავის დიად დანიშნულებას, თუ მასწავლებელი თავისი შეგნე-



ბით, ცოდნით და, საზოგადოდ — მომზადებით შეეფერება თავისს სერიოზულობის ზულ დანიშნულებას.

ამიტომ, როდესაც ჩვენ ვაყენებთ საკითხს საყოველთაო განათლების შესახებ, სერიოზულად უნდა დაუფიქრდეთ იმას, თუ რამდენად მომზადებული მასწავლებელი გვყავს ჩვენ ამ ახალ სკოლებისათვის.

მწუხარებით უნდა აღნიშნო, რომ ჩვენი ყველა ტიპის სკოლის მასწავლებელთა ღიღი უმრავლესობა არ შეეფერება თავისს დანიშნულებას, არც თავისი საზოგადო განათლებით, არც პედაგოგიურ მომზადებით.

ეხლა, განათლების სამინისტროს რეფორმის შემდეგ, ჩვენი საზოგადო განათლების სკოლა შეიცავს სამს საფეხურს: 1. პირველ დაწყებითი სკოლა, 2. უმაღლეს დაწყებითი სკოლა და 3. საშუალო სკოლა. ამიტომ მასწავლებელთა მომზადებას ჩვენ უნდა შევეხოთ ამ სამი ტიპის სკოლის მიხედვით,

ბ) ამ ეამად საქართველოში დაახლოებით 1500 პირველ დაწყებითი სკოლაა; თუ ჩვენ საყოველთაო განათლების შემოღებას შევუდგებით, ცხადია, რომ სკოლების რიცხვი პროგრესიულად იმატებს, ამიტომ ჩვენ უნდა გვყავდეს ახალი სკოლებისათვის წინასწარ მომზადებული მასწავლებლები.

შეგვიძლია თუ არა თანამედროვე პირობებში დავაკმაყოფილოთ სახალხო სკოლის მოთხოვნილება ამ მხრივ? არ შეგვიძლია და აი რატომ:

1. ამ ეამად პირველ დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებლად ჩვენში არსებობს სამი სემინარია: ხონის, გორის და ტფილისის თამარის სახელობის ქალთა საოსტატო სემინარია. მე მხედველობაში არ ვიღებ სენაკის სემინარიას, რომელიც მხოლოდ წელს გაიხსნა, და აგრეთვე ბოდბის სამასწავლებლო სკოლას, რომელიც თავისი პროგრამით გაცილებით უფრო დაბლა დგას, ვიდრე ვაჟთა საოსტატო სემინარია.

ამ რიგად, თუ ჩვენ მხოლოდ არსებულ სკოლების რიცხვს მივიღებთ მხედველობაში, იმ შემთხვევაშიც 500 სკოლაზე მოდის ერთი სემინარია, და, თუ სათვალიავში მივიღებთ აგრეთვე სენაკის სემინარიას და ბოდბის სამასწავლებლო სკოლას. მაშინ 300 სკოლას ერთი სემინარია უწევს. ცხადია, რომ ერთი საოსტატო სემინარია ვერ დააკმაყოფილებს 300 სკოლის წყურვილს მასწავლებლობის მხრივ;

2. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ მასწავლებელთა კრიზისზე, უნდა მივიღოთ მხედველობაში აგრეთვე ერთი ფრიად სერიოზული და მნიშვნე-



ლოვანი ფაქტი: ყველას მოეხსენება, რომ ქალთა გიმნაზიებში და ეპარ-  
ქიალურ სასწავლებლებში არსებობდა მერვე პედაგოგიური კლასი; დიდი  
უმეტესობა იმ მოწაფეებისა, რომელიც ათავებდა იმ მერვე კლასს, მიღი-  
ოდა მასწავლებლად სახალხო სკოლაში; ეხლა ქალთა გიმნაზიებში მერვე  
კლასი საზოგადო განათლების კლასის; ცხადია, რომ ეს გარემოება საგრ-  
ძნობლად შეამცირებს მასწავლებლთა რიცხვს პირველ დაწყებით სკო-  
ლებისათვის. ამ ნაკლს ვერ აანაზღაურებს ორი ახლად გახსნილი სემინა-  
ნარია: სენაკის და თამარის სახელობის;

3. მაშასადმე, თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ ერთი მხრით იმ  
გარემოებას, რომ პირველ დაწყებით სკოლების რიცხვმა ამ ბოლო დროს  
საქართველოში საგრძნობლად იმატა, რომ ამ ახლო მომავალში საქარ-  
თველოში შემოღებულ იქნება საყოველთაო განათლება, მეორე მხრით,  
იმ სასწავლებელთა რიცხვმა, რომელსაც დასახული ჰქონდა მიზნად მას-  
წავლებლების მომზადება პირველ დაწყებით სკოლებისათვის, საგრძნობ-  
ლად იკლო, ცხადი იქნება აუცილებელი საჭიროება ახალ საოსტატო  
სემინარიების გახსნისა.

ეს სემინარიები ჩემის აზრით, უნდა გაიხსნას შემდეგ ადგილებში:  
ანში, ამ სემინარიის დანიშნულება იქნება ემსახუროს ლექსუმის და რა-  
კის მაზრების სკოლების მოთხოვნილებას; ოზურგეთში, ეს სემინარი ია  
იქნება ოზურგეთის მაზრისათვის და ბათუმის ოლქისათვის; ქ. ოქავში—  
თელავის და თიანეთის მაზრებისათვის; გარდა ამისა აუცილებელი საჭი-  
როება მოითხოვს ყურადღება მიექცეს ბოლბის მონასტერთან არსებულ  
ეგრედ წოდებულ „საეკლესიო-სამასწავლებლო“ სკოლას; ეს სკოლა მდე-  
ბარეობს მშვენიერ ადგილას როგორც ბუნების, აგრეთვე პავის მხრით,  
ძალიან კარგ შენობაში არის მოთავსებული, კარგი ინვენტარი და შესა-  
ფერისი სასკოლო მოწყობილობა აქვს, მაგრამ სამწუხაროდ ღვთის ანა-  
ბრად არის დარჩენილი; საჭიროა, რომ ეს სკოლა გადაკეთდეს სრულ-  
უფლებიან საოსტატო სემინარიად და მას გაეხსნას სათანადო კრედიტი.

ამ რიგად საქართველოში იქნება 8 საოსტატო სემინარია, 4—და-  
სავლეთ, 4-იც ადმოსაცლეთ საქართველოში, სახელდობრი: ხონში, სენაკ-  
ში, ოზურგეთში, ანში, გორში, ტფილისში, თელავში და ბოდბეში.

რაც შეეხება საოსტატო სემინარიების რეფორმას, ეს ჩვენი აზრით  
უნდა გამოიხატობდეს შემდეგში:

ა) საოსტატო სემინარია შეიცავს ოთხი წლის კურსს;



ბ) პირველ კლასში გამოუცდელად მიიღებიან ის მოწაფენი, რომელთაც დამთავრებული აქვთ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის კურსი;

გ) საზოგადო განათლება საოსტატო სემინარიაში გაფართოვებულ უნდა იქმნეს ისე, რომ ის დაახლოებით უდრიდეს საშუალო სასწავლებლის პროგრამის;

დ) შემოღებულ უნდა იქმნეს განსაკუთრებული კურსი ფსიქოლოგიისა, ლოღიკისა უფრო ფართო პროგრამით, ვიდრე საშუალო სასწავლებელშია ეს, და აგრეთვე კანონმეტყველება.

ე) საოსტატო სემინარიაში მასწავლებლად უნდა ინიშნებოდეს აუცილებლივ უმაღლეს განათლებით აღჭურვილი პირი;

ვ) საოსტატო სემინარია არის ვაჟთა და ქალთა;

ზ) ვაჟთა და ქალთა სემინარიები გათანასწორებულ უნდა იქმნეს როგორც პროგრამის, აგრეთვე უფლების მხრივ.

თ) ახლა შეუდგეთ იმის გარჩევის, თუ როგორი ტიპის უნდა იყოს ის სასწავლებელი, რომელიც მინად დაისახავს უმაღლეს დაწყებით სასწავლებელთათვის მასწავლებლების მომზადებას.

წინად ამ მიზნისათვის არსებობდა ეგრედ-წოდებული „საოსტატო ინსტიტუტი“. ეს ინსტიტუტი ფრიად სერიოზული სასწავლებელი იყო როგორც თავისი შემადგენლობით, აგრეთვე პროგრამით. ამ სასწავლებელმა მოგვცა ბევრი ჩინებული, კარგად მომზადებული პედაგოგი, მაგრამ სამწუხაროდ ეს სასწავლებელი დაინგრა, და მის მაგივრად კი ჯერ-ჯერაბით ვერაფერს ვერ ვხედავთ.

უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი ამ უამაღ დიდ კრიზისს განიცდის მომზადებულ და შესაფერის მასწავლებლების უქონლობისა გამო, და ეს კრიზისი შესაძლებელია კატასტროფიულ ხასიათს მიიღებს, თუ ამ გარემოებას საჩქაროდ ჯეროვანი ყურადღება. არ მიექცა.

მიზეზი ამისა შემდეგშია: ამ ბოლო დროს უმაღლეს დაწყებით სასწავლებელთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა; ამ უამაღ საქართველოში დაახლოებით 100 უმაღლეს დაწყებით სასწავლებელია, მაგრამ სამწუხაროდ დიდი უმეტესობა, დაახლოებით  $\frac{3}{4}$ , ამ სასწავლებლის მასწავლებლებისა სრულიად არ შეეფერება თავისს დანიშნულებას; ესენი არიან ეგრედ-წოდებული „უცენზო“ მასწავლებლები. ხშირად, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, შეხვდებით ამისთანა სამწუხარო სურათს: უმაღლეს სასწავლებლის სათავეში უდგია „უცენზო“ ინსპექტორი, რო-

მელსაც სრულიად არ ესმის არც თავისი დანიშნულება, არც მოვალეობა.

და აი ამ დროს, როდესაც უმაღლეს დაწყებით სასწავლებელთა რიცხვი თანდათან მატულობდა, იმ ქართველ მოწაფეთა რიცხვი რომელნიც ასრულებდნ საოსტატო ინსტიტუტის კურს, თანდათან დნებოდა. ეს შედევრი იყო ერთგვარ გამარჯვებელ პოლიტიკისა: ტფილისის საოსტატო ინსტიტუტში არ ღებულობდენ ქართველ მოწაფებს; მაშინ, როდესაც 1902—3 წლებში ქართველ მოწაფეთა რიცხვი შეადგენდა მოწაფეთა საერთო რიცხვის 30 პროცენტს, ამ ბოლო დროს ეს პროცენტი არ აღემატებოდა 3 პროცენტსა.

ცხადია, რომ ამ მიზეზისა გამო უმაღლეს დაწყებით სასწავლებელთა მოწაფეების ცოდნის ღონე საგრძნობლად დაეცა, და ამ სასწავლებელს დაეკარგა თავისი ფასი და მნიშვნელობა საზოგადოებისათვის.

ამისათვის საჭიროა დაუყოვნებლივ მიეკცეს ყურადღება ამ არა ნორმალურ მოვლენას, საჭიროა უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი ავამაღლოთ საზოგადოების თვალში და დაუბრუნოთ მას ის განსაკუთრებითი მიზანი და მნიშვნელობა, რომელიც ჰქონდა ამ სასწავლებელს პირველ ხანებში.

მე უკვე მოგახსენეთ, რომ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელთა რიცხვი საქართველოში უდრის დაახლოებით 100; თანახმად განათლების სამინისტროს რეფორმისა, სამი წლის განმავლობაში საშუალო სასწავლებლებს უნდა გამოეყოს პირველი ოთხი კლასი, რომელიც შეადგენს ამრიგად მთლიან უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლებს; ესლა საგენერალო დაახლოებით 40 საშუალო სასწავლებელია; თუ 100 მიუმატეთ 40 უმაღლეს დაწყებოთი სასწავლებელს, მივიღებთ სულ—140.

ცხადია, რომ 140 უმაღლეს დაწყებით სასწავლებლისათვის დაახლოებით საჭიროა ორი საოსტატო ინსტიტუტი, ერთი ტფილისში, ხოლო მეორე ქუთაისში.

მისაოებია აქ მხედველობაში აგრეთვე ის გარემოებაც, რომ მთავრობას განზრახული აქვს ახლო მომავალში შემოიღოს უფასო სახალხო განათლება და აზრად აქვს მისცეს ხალხს საშუალება მიიღოს უფასოდ სწავლა-განათლება როგორც პირველ დაწყებით, აგრეთვე უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში.

საოსტატო ინსტიტუტი უმაღლეს დაწყებით სასწავლებელთათვის



მასწავლებლების მოსამზადებლად დაახლოებით უნდა იყოს იმ ტიპისა, როგორიც იყო ეს ინსტიტუტი იგნატიევის რეფორმის შემდეგ:

ა) საოსტატო ინსტიტუტი შეიცავს 4 წლის კურს;

ბ) პირველი თრი კლასი იქნება საზოგადო განათლებისა, ხოლო თრი უკანასკნელი — სპეციალური;

გ) სპეციალობა უნდა იყოს თრი: 1. სიტყვიერების და ისტორიისა და 2. მათემათიკის და ბუნებისმეტყველებისა;

დ) საზოგადო განათლების პროგრამა უნდა იყოს უფრო მაღალი, ვიდრე საშუალო სასწავლებლისა;

ე) აუცილებლივ შემოღებულ უნდა იქნეს შემდეგი ახალი საგნები:

1. ფილისოთვია, 2. პოლიტიკური ექინომია, 3. განანებურებულება, 4. უმაღლეს მათემატიკის ზოგიერთი დარგები: ანალიტიკი გეომეტრია, დაუკუნურებელი და ინტეგრალური აღრიცხვა;

ვ) საოსტატო ინსტიტუტში მიიღებიან ისინი, ვინც ჩაბარებს სათანადო გამოცდებს უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის კურსის ფარგლებში.

ზ) რაც შეეხება საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა მომზადებას, ამ მხრივ ჩვენ უნდა ვისარგებლოდ რუსეთის პედაგოგიურ ცხოვრების ბოლო წლების მაგალითებით.

ჩვენის აზრით უნივერსიტეტის დასრულება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ადამიანმა იყისროს თავის თავზე საშუალო სასწავლებლის მასწავლებლის მოვალეობის ასრულება და პირნათლად შეასრულოს იგი.

უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ იმათ, ვისაც სურს საშუალო სასწავლებელში მასწავლებლობა, უსათოოთ უნდა მიიღონ პედაგოგიური განათლებაც და სათანადო მომზადება.

ამ მიზნით რუსეთში ამ ბოლო დროს დაარსდა პედაგოგიური ინსტიტუტი ორი წლის კურსით.

ასე უნდა მოვიქცეთ ჩვენც. რაც შეეხება პედაგოგიურ ინსტიტუტის პროგრამას, ამის განხილვას, რასაკირველია, ჩვენ ამ კრებაზე არ შეუდგებით, რადგან ეს პროფესიონალთა კოლეგიის საქმეა.

(გაგრძელება იქნება)

# ქ რ ბ ი პ ა.

მასწავლებელთა კავშირში

სრულიად საქართველოს მასწავლებელთა მაფშირის საბჭომ ამა  
1920 წლ. 6 აპრილის სხდომაზე დაადგინა:

შემუშავებულ იქმნას და წარედგინოს საღაც ჯერ არს საპენსიო წე-  
დება, რომლის შესამუშავებლად და საბჭოში წარმოსადგენად არჩეულ  
იქმნა კომისია სამი პირისაგან.

კომისიამ უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი მთავარი დებულებებით:  
ჩვეულებრივი სრული პენსიის მისაღებად უნდა დაწესდეს მასწავლებელ-  
თათვის 20 წლის სამსახური. იგულისხმება, რომ ამ ხნის განმავლობაში  
ყოველი ხუთი წლის შემდეგ მასწავლებელს მიეცემა ერთი წლის დასვე-  
ნება ჯამაგირით.

საპენსიო თანხის შესადგენად მასწავლებელს უნდა გამოერიცხოს  
ჯამაგირიდან ორი პროცენტი. დანარჩენი შეაქვთ სახელმწიფოს, ფინი-  
მართველობებს და იმ დაწესებულებებს და კერძო პირებს, რომლებიც  
სასწავლებელს ინახავენ.

22 აპრილის სხდომაზე.

მოწვეულ იქმნას კონფერნცია 25 მაისისათვის. პროგრამა დაუგზავ-  
ნოს ორგანიზაციებს ბიურომ. მოეთხოვოს კავშირებს, მოიტანონ ანკუ-  
ტის პასუხი.

საბჭოს მდივანს გაუდიდდეს ჯამაგირი 6.000 მანეთამდე პირველ  
აპრილიდან და მიეცეს ერთდროულ დახმარებად 3.000 მანეთი.

გაიგზავნოს კომისია მანგლისის დასათვალიერებლად, ასაწერად და  
სათანადო მოხსენების წარმოსადგენად.

მოეთხოვოს საჩერის ფილიალს ვინაობა იმ პირებისა, ვინაც წინა-  
აღმდეგ ბიუროს განკარგულებისა, დაიკავა გადაყენებულ მასწავლებლე-  
ბის ადგილები.

გაიგზავნოს ყვირილაში და საჩერებში ამ საქმის გამოსაძიებლად კავ-  
შირის რწმუნებული.

შეეკითხოს ზუგდიდის მაზრის კავშირს დაკმაყოფილეს, თუ არა?

ეცნობოს ერობათა კავშირს, რომ ერობები არ ურიგებენ ჯამაგირს



მასწავლებლებს, სანამ ისინი არ გაიფიცებიან და ეთხოვოს, რათა მიიღოს რაიმე ზომები ამის წინააღმდეგ.

ეცნობოს მოკავშირე ორგანიზაციებს, რომ ცენტრის დაუკითხავად გამოცხადებულ გაფიცვების და მის შედეგების შესახებ საბჭო და მისი ბიურო პასუხს არ აგებს.

სალიტერატურო ქართულის შესამუშავებელ ყრილობის დელეგატებად არჩეულ იქმნენ: ალ. წერეთელი და ვ. ბურჯანაძე.

ეცნობოს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს მასწავლებელთა მდგომარეობა და ის, რომ მოითხოვენ ჯამაგირის მომატებას.

პირველ მაისიობაში მხურვალე მონაწილეობა მიიღოს სრ. საქართველოს მასწავლებელთა კავშირმა ამ მიზნით აირჩია კომისიაში გ. გიორგობიანი, ალ. ფირცხალაიშვილი და ნ. მერაბაშვილი. ამათ უნდა დაიხმარონ ტანთვარჯიშობის მთავ. ინსტრ. ბ. ეგნატაშვილი. კომისიამ უნდა იმუშავოს კონტაქტით სამაისო კომისიასთან.

მიენდოს ბიუროს ყოველ კვირეულ საპედაგოგიო ორგანოს გამოცემა მოკლე ხანში, რომელსაც ეწოდოს სახელად: „სკოლა და ცხოვრება“.

## 28 აპრილის სხდომაზე.

მიენდოს ბიუროს — შეიმუშავოს დაწვრილებით მოხსენება საბავშო უურნალ „ნაკადული“-ს გამომცემლობის მიღების შესახებ. მოხსენებაში უნდა იყოს აღნიშნული დაწვრილებითი ხარჯთ-აღრიცხვა.

დაევალოს ბიუროს მიმართოს მასწავლებელთა ორგანიზაციებს მოწოდებით: ანგარიში გაუწიონ დღევანდელს მომენტს და გაფიცვებისაგან თავი შეიკავონ.

ბიურომ მიმართა ორგანიზაციებს შემდეგის მოწოდებით:  
ამხანაგებო!

სრ. საქ. მასწავლებელთა კავშირის ზოგიერთი ადგილობრივი ორგანიზაცია უდგენს მთავრობას მოთხოვნილებებს ხშირად საერთო ხასიათისას, როგორიცაა, მაგ. ჯამაგირის  $100\%$ , გადიდება და აცხადებს გაფიცვას. ამის შემდეგ გვიგვზანის ჩენენ ცნობას და გვაყენებს ფაქტის წინაშე; ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ცალკე ორგანიზაციის მიერ საერთო მოთხოვნილების წამოყენებას არავინ ანგარიშს არ გაუწევს მაშინ როცა ამისათვის არსებობს საერთო კავშირი..

გარდა ამისა ადგილობრივი ხასიათის სამართლიანი მოთხოვნილებებიც შეიძლება არ იქნეს დაქმაყოფილებული, რასაც უნდა მოჰყვეს საერთო კავშირის დახმარება და საქმეში ჩარევა, რაც მოუხერხებელია მაშინ, თუ ადგილობრივი პირობებს არაა გაცნობილი ცენტრი და არ იცის, თუ რა გარემოებაში ხდება მოთხოვნილების წამოყენება. მაშინ ამ შემოხვევაშიაც აუცილებელია ცენტრთან შეთანხმებით გამოსვლა. ყოველივე ეს აუცილებელია ჩვენი კავშირის სიმტკიცისა და ძლიერებისათვის. უმისოდ ტყვილად დაიხარჯება ენერგია, დავიქსაქსებით და ვერავითარ მიზანს ვერ მივაღწევთ.

ყოველივე ეს ძალიან აფიქრებს სრ. საქ. მასწავლებელთა კავშირის საბჭოს, რომელსაც ჰქონდა მსჯელობა ამის შესახებ 22 პპრილის სხდომაზედ და დაადგინა: ეცნობოს ყველა ორგანიზაციებს, რომ ცენტრთან მოულაპარაკებლად და შეთანხმებლად გამოცხადებულ გაფიცვების და მის შედეგების შესახებ სრ. საქ. მასწავლებელთა კავშირის საბჭო და აღმასრ. ბიურო პასუხს არ აგებს.

### ბიუროს მიერ შემუშავებული

საპენსიო კასის წესდება საქართველოს მასწავლებელთა ფედერაციის (შროექტი).

I. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროსთან მასწავლებელთათვის არსდება საპენსიო კასა, იმ მიზნით რომ ყველა ტიპის და საფეხურის სკოლის მასწავლებლები და მათი ოჯახობა უზრუნველყოფილიყონ პენსიით.

2. საპენსიო კასის თანხა ამ წესდების მიხედვით განსაკუთრებით პენსიაზე იხარჯება.

3. ამ წესდების შეცვლა-შეცვება, ან გაუქმება ხდება მხოლოდ სახელმწიფოს კანონმდებლობის წესით.

### II კისის საშუალებანი.

4. სასწავლებელთა საპენსიო კასის საშუალებას შეადგენს:

1) მასწავლებელთა ყოველ თვიური ჯამაგირის  $2\%$ . 2) სახელმწიფოს მიერ ყოველ წლივ ამ მიზნისათვის გადადებული თანხა. 3) თვითმართველობის ორგანოთა მიერ ყოველწლიურად გაღებული  $4\%$  გამგებლობაში არსებულ თითოეულ მასწავლებლის ჯამაგირის ნორმიდან. 4) საპენსიო საერთო თანხის  $0\% 0\%$ .



5) შემთხვევით ან სხვა და სხვა უძრავ-მოძრავი ქონების შემოსავა-მიღებით კასის სასარგებლოთ. საპენსიო თანხა სახალხო განათლების სამინისტროს განკარგულებაში ინახება ფულად ან მომზებიან ქაღალდებად რომელსამე საკრედიტო დაწესებულებაში, ან სახელმწიფო ხაზინაში.

### III პენსიის რაოდენობა და ფაზა:

6. ყველა მასწავლებელს ქალსა და კაცს, აგრეთვე ოჯახობასაც უფლება აქვს მიიღოს სრული  $\frac{1}{2}$  და  $\frac{3}{4}$  პენსიისა.

7. ოჯახის ითვლება: ა) ცოლი და ბ) შვილები.

8. სრული პენსია მიეცემა 20 წლის ნამსახურობისათვის  $\frac{1}{2}$ —10 წლისა და  $\frac{3}{4}$ —15 წლის ნამსახურის შემდეგ.

9. ჩვეულებრივი პენსიის რაოდენობას შეადგენს მასწავლებლის სამსახურის უკანასკნელი წლის სრული ჯამაგირი.

10. გაძლიერებული პენსია ეძლევათ ისეთ მასწავლებლებს, რომელნიც შრომის უნარს მოკლებული იქნებიან და არა ნაკლებ ხუთი წლისა უმსახურნია სკოლებში.

11. შრომის უნარს მოკლებულად ითვლებიან ისეთი პირნი, ვინც მძიმე ივადმყოფობისა ან დასახიჩრების გამო ვერ შესძლებენ სამსახურს და თვისი შრომით ცხოვრების სახსრის მოპოვებას, რაც შემოწმებული უნდა იქნეს ექსპერტების მიერ.

12. ხუთი წლის ნამსახურობისათვის გაძლიერებულს პენსიას მიიღებენ ძირითადი ჯამაგირის  $25\%$ , 10 წლის  $50\%$ , 15 წლის სრულს პენსიას.

13. 20 წლის სამსახურის შემდეგ ვინც ისევ განაგრძოს სამსახურს, ნება აქვს სამსახურშიც იყოს და პენსიისაც ლებულობდეს.

14. კერძო სკოლებში, ან კულტურულ დაწესებულებაში ნამსახურ მასწავლებლებს ნამსახური წლები ეთვლებათ პენსიის დამსახურების ვადაში, ხოლო იმ პირობით, თუ ისინი გასული ნამსახური წლების საპროცენტო გადასახადს შემოიტანეს კასაში.

15. მასწავლებლებს, რომელთაც დროებით მიუტოვებიათ სამსახური, მაგრამ შემდეგ ისევ დაბრუნებულან, ჩაეთვლებათ წინად ნამსახური წლებიც.

შენიშვნა: ძველი რეჟიმის დროს პოლიტიკურ ნიადაგზე დასჯილთ, რომელთაც იძულებით მიუტოვებიათ თავისი პროფესია,

ჩაეთვლებათ პენსიის მისაღებად ის ღრუც, რომლის განმავლობაშიც ისინი მასწავლებლის მოვალეობას არ ასრულებდნენ.

#### IV პენსია მეტებიდრეებს.

16. მეტებიდრეები მიიღებენ პენსიას, შემდეგის ვარაუდით: ქვრივი იღებს ქმრის ნახევარ პენსიას; პენსიის მეორე ნახევარს იღებენ შვილები ვიდრე 18 წლის არ შეიქმნებიან და თუ სწავლას განაგრძობენ 21 წლამდე.

შენიშვნა: ქვრივი თუ პენსიას ღებულობს, ქმრის პენსიის მიღების უფლება ეკარგება.

17. ქვრივის გარდაცვალების ან გათხოვების შემდეგ შვილები, ვიდრე სულ წლოვანი არ შეიქმნებიას, იღებენ მამის პენსიას  $\frac{1}{2}$ -ს.

18. ცოლის გარდაცვალების შემდეგ, რომელსაც პენსია ჰქონდა დამსახურებული, ქმარი ვერ მიიღებს ცოლის პენსიას, შვილები კი პენსიის 50%.

19. ქმარს შეუძლიან ცოლის პენსია მიიღოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას უკურნებელი რამ სნეულება სჭიროს და ან იმდენად ფიზიკურად დასახიჩრებულია, რომ საკუთარის შრომით ცხოვრება არ შეუძლიან და არც სხვა რამ წყარო ექნება ცხოვრებისა. ამ შემთხვევაში მას ეძლევა პენსიის 50%.

20. მასწავლებელთა ობლები, რომლებიც სახელმწიფოს, (საზოგადოებისა, ან კერძო პირთა) სრულის ხარჯით იზრდებიან სასწავლებელში, პენსიის მიღების უფლებას ჰყარგავენ.

#### V პენსიის შრის შეზრდა.

21. პენსია პირადად ესპობათ: ა) სიკვდილის შემდეგ, ბ) თუ ვინმე ბერად აღიკვეცება, გ) თუ სასამართლოს მიერ ყოველგვარი ღირსება აყრილია; დ) როცა შვილები 18 წლის გახდებიან და თუ სწავლას განაგრძობენ 21 წლამდის; ე) როცა პენსიონერი ქვრივი ან გაუთხოვარი ქალი გათხოვდება, ვ) თუ ვადაკარგული საღმე და გაზეთში გამოცხადების დღიდან სამი წლის განმავლობაში არ გამოცხადდება, ზ) თუ განიკურნა იმ სნეულებისაგან, რომლის გამო დაენიშნა გადადებული პენსია.

22. პენსიონერის ცოლსა და შვილებს § 21-„ბ“ „გ“ და „ვ“ მუხლებში მოხსენებულს პენსიის უფლება რჩებათ, ზემო აღნიშნულ წესების განსაზღვრულ ნორმის მიხედვით.

თანახმად სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის საბჭოს დადგენილებისა სამშაბათს, 25 მაისს, საღამოს 7 საათზედ, ქ. თბილისში,

ვაჟთა პირველ გიმნაზიაში დანიშნულია სრ. საქ. მასწავლებელთა კავშირის კონფერენცია.

კონფერენციის პროგრამა.

1. მოხსენება საბჭოს მოქმედების შესახებ.
  2. მასწავლებელთა საპენსიო კასის წესდების პროექტი.
  3. მოხსენებები აღილებიდან და მასწავლებელთა ნიერი მარეობა.
  4. მასწავლებელთა ურთიერთ დამხმარე და დამზღვევი კასა.
  5. მნიშვნელობის იგურაკის შესახებ.
  6. მასწავლებელთა კოოპერატივი.
  7. გამომცემლობის შესახებ.
  8. მიმღინარე საკითხები.

თანახმად კავშირის დროებითი წესდების 26 მუხლისა კონფერენციაზე დასასწრებლად ყოველი კავშირი გზავნის ორ დელეგატს. ორ-ორ დელეგატს გზავნის აგრძელებს ქ.ქ. თბილისის და ქუთაისის კავშირები, ხოლო ბათუმის კი ერთს.

აღმასრულებელი ბიურო.

## ଗୋଟିଏ ଓହାରେ.

სრულიად საქ. მასწავლებელთა კავშირის ბიურომ გორის მაზრაში  
დაზარალებულთა სასარგებლოთ მიიღო შემოწირულება შემდეგი სასწავ-  
ლებლისაგან:

1.	ლანჩხუთის ქალთა გიმნაზიისაგან . . . .	4493	პ.
2.	ხობის უმაღ. დაწყ. სასწავლებლისაგან. . . .	742	" 40 კ.
3.	ლანჩხუთის ვაჟთა გიმნაზიისაგან. . . .	518	"
4.	ანაგის სკოლის მასწავლებლისაგან. . . .	500	"
5.	ანაგის სკოლის მოწაფეთაგან. . . .	1184	"
6.	ნაძალიდევის ქალაქის საპროფესიო სკოლისაგან.	274	"
7.	სოლოლაკის მე-4 ქალაქის სკოლისაგან. . . .	221	" 50 "
8.	ხალ სენაკის ვაჟთა გიმნაზიისაგან . . . .	3762	"

6.9 cm. . . 11.694 d. 90 3.

წინად შემოსულთან. . . . . 50.930 ”

62.624 3. 90 3.

## ხატვა აწინდელ განახლებულ სკოლებში.

პედაგოგიკის უდავო ჭეშმარიტებაა, რომ ბავშვის სულის, მის ფანტაზიის, თვითმოქმედების და დაკვირვება-შემოქმედების ნიჭთა განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სკოლამ.

ხატვა-ხაზვა და ძერწვა, სხვა ხელთსავარჯიშოებთან ერთად, სავალდებულო საგნად აღიარებული ევროპის სკოლებში, თვალსაჩინო და ნაყოფიერ როლს თამაშობს აღნიშნულ მიზნების მიღწევის საქმეში. სავალოალოდ დიდი ხნის მონობის უღელს ქვეშ მყოფ ჩვენებურს სასწავლებლებში ხატვა-ხაზვა, როგორც სავალდებულო საგანი, მეტ ბარგათ იყო ცნობილი ისე, როგორც მშობლიური ენა. (Туვемშია յა.) ამიტომაც ნაყოფი ამ საგნის და შეხედულება მასზედ ფერმკრთალი და საღათ გაურკვეული დარჩა დღემდის. ხესნებულ საგნის სუსტ ნიადაგზედ დაყენებას უმეტესად ვამჩნევთ პროვინციის სკოლებში, საცა ბევრს მასწავლებელს ამ საგნის სწავლებისთვის თავი მოუშენდებლათ მიაჩნია.

ჩვენი აწინდელი განახლებული და გაერთიანებული სკოლის მიზანი სულ სხვაა. ცხოვრება ჩვენი განახლდა, ერი განთავისუფლდა და შესდგა საკუთარი ფეხი განახლებულ ცხოვრების გზაზედ. ცხოვრების განახლებას და მოთხოვნილებას ფეხდაფეხ მისდევს ჩვენი ერის მეცნიერების ტაძრის—სკოლის გარდაქმნა გადახალისება და ცხოვრების მოთხოვნილებასთან შეფარდება. ამ წერილის მიზანია ჩემი აზრი და პატარა გამოცდილება ხატვა-ხაზვის შესახებ გავუზიარო ამხ. მასწავლებლებს. „ხატვა-ხაზვა ერთი იმ მნიშვნელოვან და სერიოზულ საგანთაგანია, რომლის მკიდრ საფუძველზედ დაყენებით მასწავლებელი იდვილად აღწევს დიდ მიზანს ბავშვში სულიერ ძალთა განსავითარებლადო“—ამბობს ამერიკელი პედაგოგი ქ. იანეული ერთ-ერთ თავის ნაწარმოებში. „ხატვა“ როგორც სამხიარულო საგანი ღძრავს და ანვითარებს მოწაფებში ფანტაზიასთან ერთად დაკავშირებით, წარმოდგენით და შემოქმედებით ძალებსთ“ ამბობს უ. აუქსბურგი აგრეთვე თავის ნაწარმოებში. ეს ორი პიროვნებაც საკმაოა ავტორიტეტია იმ შეხედულების პატივსადებათ რომ ხატვა მნიშვნელოვანი საგანია და ღირსია მეტი ყურადღებისა ჩვენს აწინდელს გაეროვნებულს სკოლებში.



ის შეხედულება ჩვენი სკოლების ზოგიერთ თანამშრომლებისა, რომ ხატვას ყველა ვერ ისწავლის, რადგან მას განსაკუთრებული ნიჭი უნდაო, საფუძველს მოკლებულია. ვინც დაპკვირვებია ამ საგანს დამეთანხმება რომ ხატვა ისე აღვილად და ხალისით ისწავლება, როგორც თუ გნებავთ წერა-კითხვა. რასაკვირველია ყველა მოწაფე ერთნაირის შთაბეჭდილებით არ მიიღებს, ხელოვანი მხატვარი არ იქნება, ვინაიდგან ეს დამოკიდებულია ბავშვის ინდივიდუალურ განსაკუთრებაზედ; მაგრამ მასწავლებლის ხელმძღვანელობით, წაქეზებით კი ნახულის და გავონილის გამოხატვას მიგვანებით მაინც ყველა მოწაფე შესძლებს. წინანდელი ხატვის მეთოდი, როგორც დრო მოჭმული, მოკლებული ხალისა და სიცოცხლეს და გამ-მეფებელი გაკვეთილზედ მოწაფეთა მოწყენილობისა და სხოლასტიკისა, დაჰმო განახლებულმა პედაგოგიკამ.

ახალი მეთოდი, ახალი სისტემა ხატვის სწავლებისა-კი სხვა ნაირად მოქმედობს ბავშვზედ, რომლებიც არამც თუ გაურბიან ამ საგანს, პირ იქით დიდის სიამოვნებით, ხალისითა და გატაცებით მისდევენ მას, რო-გორც სამხიარულო საგანს, სადაც თვითეული მოწაფე თავისუფლად შლის ფანტაზიას და იჩენს შემოქმედებით უნარს. ცხადია ასეთ საგნისადმი გან-წყობილებას ღრმა პედაგოგიური და ოღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს და შედეგიც ნაყოფიერია.

ახალი მეთოდით სწავლება მით არის საყურადღებო, რომ პირველ დაწყებით სწავლება ხატვისა და თანდათანობითი ხელმძღვანელობა არა სპეციალისტთაც შეუძლიანთ, რაიც ასე საჭიროა ჩვენებურს სკოლებში.

საჭიროა თავდაპირველად მოწაფეში გააღვიძო ხალისი, გამბედობა და სიყვარული ხატვისა, რომ ბავშვმა ავათ თუ კარგათ მიჰყოს ხელი ხა-ტვასა. თუ ამას მოხერხებულად მიაღწევს მასწავლებელი, როცა მის უნარზედ არის დამოკიდებული, მთავარი სიძნელე ამ საქმეში ძლეულია. საჭიროა ჩაგონი ამისთან მოწაფეს, რომ მას თავისუფლად შეუძლია ხა-ტვა და, თუ კი მოინდომებს, კიდევ შესძლებს. თუ მოწაფეთა შორის თავი იჩინა გაუბედაობამ, მასწავლებელი ამნევებს შეგირდებს და წინა-დადებას აძლევს გამოხატონ ის, რის დახატვაც შეუძლიანთ ან რაიც მათ უფრო მოსწონთ. თვალსაჩინოებას როგორც საზოგადოდ სწავლის საქმე-ში, ხატვაში მთავარი ადგილი უჭირავს. თუ რომელიმე მოწაფე ჩამორჩა, ვერ ბედავს ხატვას, მასწავლებელი იწვევს მას დაფაზედ და აძლევს უბ-რალო, ადვილს გეგმას ამა თუ იმ საგნის გამოსახატავად, შემდეგ უცვ-

ლის გეგმას უფრო ძნელით და თან უწონებს მუშაობას გასამნენ ევებლათ. ამ რიგად ამნენ ევებს როგორც მას, ისე მოელ კლასს და დაკვირვებით იწყებენ ხატვას იმ საგნებისას, რასაც მათ მეხსიერებაში კვალი დაუტოვებია. შენიშნულია რომ პირველში ბავშვი საკუთარის ოცნებით და ფანტაზით ხატვას ხალისით, ვიდრე გადილებდეს სურათიდან. ამიტომაც თავისეფალს ხატვას უპირატესობა უნდა მიეცეს, ვიდრე უხალისო, ძველ სისტემით გეომეტრიულ სხეულების უშინაარსო ხატვას.

ბავშვების ცოტათი გავარჯიშების შემდეგ, მასწავლებელი აჩვენებს შეგირდებს რომელიმე მათ მომზადებასთან შეფარდებულ საგანს (ნივთს) და ისევ მალე მოაშორებს თვალთაგან, ბავშვები მოგონებით ხატვენ ვისაც როგორ დაახსოვდა ნაჩვენები საგანი. აქ კი მოწაფეთ უნგითარდებათ მეხსიერება და წარმოდგენითი ნიჭი, რასაც ასე დიდი მნიშვნელობა აქვს აღზრდის საქმეში.

ამის შემდეგ მასწავლებელი გადადის შემდეგ საფეხურზედ ხატვისა. მასწავლებელს მოაქვს რომელიმე ნივთი, (საგანი) ბუნებიდან, სდებს თვალსაჩინო ადგილას, იცნობს შეგირდებს მის თვისებას, შემაღვენლობას და მოუწოდებს მათ საგნის სისწორითა და დაკვირვებით გამოსახატავათ. ასეთი ასეთი განშეორება სწევა და სწევა საგნებისა ბუნებიდან ხდება თანდათან გავარილებზედ. ამ რიგად ბავშვები ეჩვევიან საკუთარის წარმოდგენითა და ბუნებიდან ხატვას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბუნება იძლევა უარებელ მასალას ხატვისთვის, ხოლო მისი კონცენტრიულად დალაგება, მოწაფეთა შორის ხალისის აღმვრა და ტეხნიკის სიადვილე ვიმეორებ მასწავლებლებზედაა დამოკიდებული. მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს სახატავ მასალის შერჩევას, რომლის დროს დაცულ უნდა იქნეს სასტიკად პედაგოგიური მოთხოვნილება: — გადასვლა მარტივიდნ როულზედ; ადგილიდან მოძნელოზედ გადასვლის დროს დაცულ უნდა იქნეს აგრეთვე მოწაფეში შემოქმედება და ხალისი მუშაობის დროს. მეტად სასურველია ხატვასთან ძერწვაც დავაწყებით მოწაფეთ 1-ლ წლიდანვე, ვინაიდან მიზნი ძერწვისა დაახლოვებულია ხატვასთან. ამ უკანასკნელ საგნის შესახებ, ერთ თავის ნაწერში გამოჩენილი უან-უაკ რუსსო ამბობს:

„ბავშვის სულიერ-ტიზიურად აღზრდისთვის საჭიროა ვავარჯიშოთ ის არა მარტო გონებით, არამედ ხელებითა და ფეხებით“. ამ უკანასკნელ საგნის შესახებ არას ვიტყვი ვინაიდან მის შესახებ მოთავსებულია წერილი უურნალ „განათლების“ 1916 წ. № 10-ში.



ხატევას, როგორც ფრიად მნიშვნელოვანს საგანს, საპატიო ადგილი უჭირავს ბუნების მეტყველების, სამშობლოს აღწერის, ქართულ ენისა და სხვა საგნების სწავლების დროს, როდესაც მოწაფეები მასწავლებლი-საგან მიღებულ შთაბეჭდილებას ამა თუ იმ საგნიდან, თავიანთ სულიერ განცდას და საგნების მდგომარეობას თავისუფლად ხატავენ რვეულებზი. იხილეთ „ამერიკული სკოლა“ ქ. იანჯულისა. ხატევა სჯობიან მოწაფეებშია დაიწყონ ფერადის ფანქარებით, რაღვან ის ადვილი სახმარებელია, უფრო უადვილებს ბავშვს სახატავ საგნის ფერადებით გამოხატვას და მეტად ღძრავს მასში ხალისსა და ესთეტიურ გრძნობის გაღვიძება-განვითარებას.

თუ მოწაფეებს აკმაყოფილებს თქვენგან არჩეული სახატავი ნიმუში (საგანი), მიეცით სრული საშუალება საკუთარის წარმოდგენით და სურვილით ხატონ რაიც მათ უნდათ და მოსწონთ ბუნებიდან. თავისუფალი წარმოდგენით ხატევა კი გზას უხსნის მოწაფეს წარმოდგენით, დაკვირვებით და შემოქმედებით ნიჭოთ განსავითარებლად, რასაც ლრმა ჰედაგოგიური და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

დიდი უპირატესობა ხატევის დროს ეძლევა ბუნებიდგან გადახატვას, ვიდრე სურათებიდგან. მასწავლებელი უნდა ერიდოს აშავე დროს მოწაფის ნახატის გადასწორებას, როგორც ეს ძველად ხდებოდა, ვინაიდან ეს უსუსტებს შეგირდებს საკუთარ ინიციატივას. თუ მასწავლებელს სურს გაუადვილოს მოწაფეთ რაიმეს დახატევა, ის საკლასო დაფაზედ უხატავს ამა თუ იმ საგანს და ისევ მაღლ შლის, რომ შეგირდებმა არ გადაიღონ დაფიდან.

ხატევის დროს ბავშვის ფანტაზით წარმოდგენილს, შეთხსულ ნახატს, როგორც თვითომოქმედების აღმძრელს, ვიმეორებ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, ვიდრე ნახატებიდან გადახატვას. პირველს შემთხვევაში მოწაფეს მეტად უნვითარდება ფანტაზია და დაკვირვება-წარმოდგენითი ნიჭი. ამ რიგად ის ძველი მეთოდი, რომელიც დაფუძნებული იყო გეომეტრიულ ფიგურების, ფორმების უსიცოცხლო და უხალისო შესწავლაზედ, დაბლა უნდა ჩამოდგეს და გზა დაუთმოს ეგრედ წოდებულ თავისუფალ ხატევს.

ჩვენი სკოლების კარები უნდა ფართედ გაეღოს ხატევის ახალ „ამერიკულ“ მეთოდს, რომელიც დამყარებულია ცოტხალი ბუნების, სრული მოძრაობის, ფორმებისა და ფერების სხვა და სხვა გვარ შესწავლაზედ. ფერად ფანქრების გადახატვის დროს იხმარება სხვა და სხვა ფერის

საღებავები (კრასკი), რომლების ხმარება ასე შემოღებულია დღეს ხატვის სწავლების საქმეში. საღებავებს მოხერხებულად და ბეჯითად ხმარობენ შეგირდები ხატვის დროს და დიდის აღტაცებით ხატვენ ფერად ყვავილებსა და ფოთლებს ადგილობრივ მცენარეთაგან, ჰერბარიუმიდები მინდორში დაჭრილ პეპელებს, ბუზანკალებს, სასწავლო და სათამაშო ნივთებსა და სხვა. აწინდელს ჩვენს სკოლებში ხატვას საზოგადო განათლების სასტრიკი ხასიათი უნდა მიეცეს. ტეხნიკურს მხარეს თავდაპირველად იმდენი ფასი არა აქვს ხატვის დროს, ვინაიდან ის თავის თავად შემუშავდება, როგორც შედეგი ხანგრძლივი ვარჯიშობისა. მოწაფის ვარჯიშობას მხედველობის, დაკვირვების, შედარების, საგნების ფორმებისა და ფერების განვითარებაში აქვს სერიოზული მნიშვნელობა.

„საგნის დანახვის ცოდნისკენ, თვალით შეგნებისა და გაზომვისაკენ არის მიმართული ხატვის გაკვეთილები ამერიკის სკოლებში“ ამბობს ქ. იონშველი თავის „ნაწარმოებში. აქედან ცხადია, ხატვა, გარდა ზემო აღნიშნულ მიზნებისა, უნვითარებს მოწაფეთ თვალის ზომიერებას.“

„ჩვენ გვწამსო — ამბობენ ამერიკელი პედაგოგები, რომ თვითეულ ბავშვები არტისტის სული იმაღლება: ყველა მოწაფეს შეიძლება ასწავლო რამდენადმე მაინც დაინახოს სიმშევნიერე ბუნებაში და ხელოვნებაში, ყველას მოუნდება გამოხატოს ის, რასაც ხედავსო“. ზემო აღნიშნულიდანაც ცხადად სჩანს სერიოზული მნიშვნელობა ხატვისა სწავლა აღზრდის საქმეში; ამიტომ იმედია ჩვენი განახლებული სკოლა და მისი მესვეურები სათანადო ყურადღებას მიაქცევენ ამ საგნის მკვიდრ ნიადაგზედ ღაყენების პირობებს და მას შესაფერ ღირსებას მოუპოვებენ ჩვენს სასწავლებში.

**სტ. ნიკოლაიშვილი.**

## ოფიციალური განცემის

### მ ე ბ ი № 2.

სახალხო განათლების სამინისტროსთან არსებულ სასწავლო კომი-  
ტეტის 22 თებერვალს 1920 წლ. სხდომისა.

თავმჯდომარეობდა ბ. ივანე ჯავახიშვილი.

წაკითხულ და დამტკიცებულ იქმნა წარსული სხდომის ოქმი.  
კრების გახსნისათანავე ბ. თავმჯდომარემ აღნიშნა ის სამწუხარო მოვლე-  
ნა, რომელიც დატყდა მთელს საქართველოს 20 თებერვლის მიწის ძვრით  
გორის და მის მეზობელ სოფლების დაზარალებით. საქართველოსთვის ამ  
გვარი უბედურება, სთქვა თავმჯდომარემ, პირველი არ არის. ჩვენს ის-  
ტორიას ახსოვს სამი ასეთი მოვლენა, მე-11-ტე საუკუნეში, როდესაც  
დაიღუპა ქ. თმოვი, მე-13-ტე საუკუნეში, როდესაც დაიღუპა აწყური  
და აი მესამე ეხლაა. ჯერჯერობით უბედურება არ არის დამთავრებული,  
ვინ იცის კიდევ რა საშინელ სახეს მიიღებს, როგორ დამთავრდება იგი,  
ჯერ კი უკვე მრავალი მსხვერპლია, როგორც სიკვდილით ისე დაჭრა-  
დაშავებით და ცხოვრების სახსრის დაკარგვით. ბ. თავმჯდომარემ მისცა  
წინადადება კრებას პატივი სცეს დალუბულთა ხსოვნას ფეხზე აღვმით.  
შემდეგ დასვა საკითხი რითი უნდა გამოჰქმდოს კომიტეტმა თავისი მატე-  
რიალური დახმარება დაზარალებულთადმი.

კრებამ აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ დაადგინა: დაზარალე-  
ბულთა სასარგებლოდ გადაღოს ხუთი კრების გასამრჯელო წევრთათვის  
გადადებული სამინისტროს მიერ. და აგრეთვე გამოსთქვა სურვილი კო-  
მიტეტის წევრებმა გამართონ საჯარო ლექციები დაზარალებულთა სა-  
სარგებლოდ.

შემდეგ კრებამ მოისმინა ბ. თავმჯდომარის მოხსენება ტერმინოლო-  
გის შემუშავების ძირითადი პრინციპების შესახებ.

ქართულმა მწერლობამ იცის ტერმინოლოგის პრინციპები იშ დრო-

იდან, როდესაც იგი დაუახლოვდა საბერძნეთის მწერლობას. განსაკუთრებით ფილისოფიას. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მწერლობას უფრო ადრე ჰქონდა ენა, რომელიც კარგად და ლრმად გამოხატავდა აზრს, მაგრამ შემდეგ ახალმა მოთხოვნილებამ დაანახვა ენის უფრო შემუშავების საჭიროება. ამ დარგში შესანიშნავია იმანე პეტრიწი, რომელიც ახალი ცნების გამოსახატავად ხმარობდა ქართულ სიტყვებს—ხშირად პირდაპირ სთარგმნიდა, ხანდახან თუ სიტყვა ორ ნაწილიანი იყო, მაშინაც კი პირველსაც და მეორესაც სთარგმნიდა, რომ წმინდად დაცული ყოფილიყო ბერძნული ტერმინოლოგიის ხასიათი. თუმცა ის ცდილობდა ყოველივე ცნების ქართულად გადმოცემას, მაგრამ ყველა ცნების მონახვას ვერ ახერხებდა და ამისათვის ხშირად ითვისებდა ტერმინს ზოგჯერ ბერძნულის და ზოგჯერ გადმოქართულებული სამოსლით.

მან ჩვენს ძველ მწერლობაში შეკვენა მიმართულება და მას ბაძავდნენ კიდეც. ღირს შესანიშნავია აგრეთვე ეფრემ მცირე, რომლის კვლევაძეებას გარკვეული სილრმე აქვს. მან უკეთ, ვიღრე იმანე პეტრიწიმ, იცოდა ქართული და ბერძნული ენაც და ამ ენათა შედარების გზით დაიწყო ქართული ტერმინოლოგიის შემუშავება.

შემდეგ მოგვეპოვება თარგმნილი სპარსული და ორაბული წიგნები, რომელთაც შემოიტანეს ჩვენს მწერლობაში ახალი ტერმინები სულ სხვა სამყაროდან. ამ ახალმა ნაკადმა შეკვენა ახალი მიმართულება, რომლითაც უცხო სიტყვები შემოტანილი იქმნენ უფრო პირდაპირ. მე-13-ტე საუკუნიდან იწყება დაქვეითების ხანა და აგრეთვე იწყება ჩვენი მწერლობის დაქვეითებაც, იყო ხანა მოკლე აღმოჩენებაც, მაგრამ არ შეგვენახა წყაროები რის გამოც გარკვეული მსჯელობა ამის შესახებ არ შეგვიძლია.

მე-17-ტე საუკუნეში იწყება აღმოჩენების ხანა. ამ ღროს იწერება ლექსიკონები, ითარგმება მრავალი წიგნი, თუმცა საქართველო სპარსეთის გავლენის გამო მოგლეჯილია სხვა კულტურულ ქვეყნებს. ამ ღროს ეკუთვნიან საბა-სულხან ურბელიანი და ვახტანგ მე-6-ე. მათ დიდი ღვაწლი მიუძღვით ჩვენი მწერლობის წინაშე. ისინი კრებენ ქართველი ერის საუნჯეს, ახალს ჰქმიან ენის მიხედვით, სთარგმნიან. ვახტანგ მე-6-ე იძულებულია პირდაპირ სთარგმნის სპარსულიდან, მას აქვს გადმოთარგმნილი გეომეტრია და სხვა წიგნები, რომელთა ტერმინების შემოლება ეხლაც ჩვენთვის ურიგო არ იქნებოდა.

მე-18-ტე საუკუნეში ვუახლოვდებით დასავლეთ ევროპას რუსული

ენის შეთვისებით. ამ დროს თარგმნა რუსულ ენიდანა სჭარბობს, განკუთხებით მე-18-ტე საუკუნის მოღვაწეთა შორის შესანიშნავია ანტონ კათალიკოსი, რომელმაც საქართვისად კარგად იცოდა ძველი ქართული ენა, რაც ხელს უწყობდა მის შინაარსიან მუშაობას. მან სწერა და სთარგმნა წიგნები საბუნების მეტყველო და ფილოსოფიურ დარგებიდან.

მოგვეპოვება მრავალი სახელმძღვანელო, რომელიც შედეგია, ამ მოსამზადებელი მუშაობისა, ყველა კლასიკური წიგნი ითარგმნებოდა რუსულიდან ქართულად. შეიძლება ითქვის ქართული მწერლობა არა რჩებოდა უკან რუსულს. როდესაც კი გამოჩნდებოდა რუსული თარგმანი, მას მაღრე მოჰყვებოდა ხოლმე ქართულიც.

ის რაც ქართულ მეცნიერულ ტერმინოლოგიას აკლდა მე-12-ტე საუკუნეში შევსებული იყო მე-18—19-ტე საუკუნოების მუშაობით. ახლა ჩვენ, როდესაც უნდა შევქმნათ მეცნიერული ტერმინოლოგია, უნდა თავიდან ავიყდინოთ ის, რაც გვიძნელებს მუშაობას. ჩვენ თუ მოგვეპოვება ტერმინები, რომელნიც სავსებით გამოჰქმდა საჭირო ცნობებს, უნდა იმეებით ვისარგებლოთ.

მიზნის უკეთესად მისაღწევად იძულებული ვართ, ორგვარი მუშაობა ვაწარმოვოთ; ამოვკრიბოთ არსებულ ნაშრომებიდან ყველა ნახმარი ტერმინი—ასეთი მუშაობა უკვე თითქმის შესრულებულია.

უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ პრ. ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, მასწავლებელთა ყრილობის მიერ 1919 წ. ზაფხულში და კომისიების მიერ, რომელთაც შავად შეადგინეს ლექსიკონები. ამასთანავე ერთად ჩვენი მოვალეობაა ამოვკრიბოთ არსებული ახალი სახელმძღვანელოებიდან ყველა ტერმინი და ასე რომ მოვაგროვებთ ამ მასალას, მაშინ შეუდგეთ მუშაობას.

ერთი ნაკლი აქვთ ამ ლექსიკონებს—ენის უცოდინრობა და განსაკუთრებით ჩაუკვირველობა, მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენ უნდა ანგარიში გაუწიოთ ამ მუშაობას და მასთან ერთად უნდა მოვახდინოთ ეროვარი შეთანხმება.

იმ შემთხვევაში, როდესაც ქართული ტერმინი არ მოგვეპოვება და უცხო ტერმინი, რომელიც სავსებით გამოხატავს საჭირო ცნებას, და ადმოცენებულია თითქმის ყველა ენებში ბერძნულ და ლათინურ ენების საფუძველზე, მაშინ იმით ჩვენც უნდა ვისარგებლოთ. ხოლო მას უნდა მივცეთ ქართული ენის აგებულობა.

შემდეგ ბ. მომხსენებელი გადავიდა ქართული ენის აგებულების და ბუნების დახასიათებაზე განსაკუთრებით თავსართების და საკვეცების მიხედვით.

დასასრულ ბ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ტერმინოლოგია უნდა შემუშავებულ იყოს სპეციალობის მიხედვით კომისიებში და შემდეგ მოხსენებული იქმნეს სხდომაზე.

მოხსენების შემდეგ გაიმართა აზროა გაცვლა-გამოცვლა: ბ. ვ. კავაბაძის შეხედულობით ტერმინოლოგიის შემუშავებას ძირითად სარჩულად უნდა დაედოს ქართული ენა. რასაკვირველია, დაცული უნდა იყოს ყველა ის პრინციპები, რომელიც მოხსენებაში იყო აღნიშნული და ქართული ენის ბუნება მოითხოვს. ტერმინოლოგიას ვემნით არა ვიწრო წრისათვის, არამედ ხალხისათვის, მაშასადამე ტერმინოლოგია გასაგები უნდა იყოს ამ უკანასკნელისათვის და ეს კი მოხდება მაშინ, როდესაც შევიტანო ხმარებაში არა უცხო სიტყვებს მაგ. ატოში, კატოდი და სხვა, არამედ შესაფერი ცნების გამოსახატავად სიტყვებს მოვძებნით ქართულ ენისვე წიაღში. ბ. მ. შალამბერიძის შეხედულობით პრინციპები, გამოთქმული ბ. მომხსენებელის მიერ მისაღებია, ხალო გზა ტერმინების დამუშავებისა კომისიებში არ არის მიღებული, რადგანაც ტერმინოლოგიას არ ექნება მთლიანობა.

ბ. მ. კონიაშვილი გამოსთქვამს აზრს, რომ ასეთი პატარა ერისთვის, როგორიც ვართ ჩვენ, არ იქნება მიზან-შეწონილი პირამიდა, კატოდი და სხვა ამ გვარი სიტყვების უეკველად თარგმნა, რადგან განათლებულ ერებს ეს ტერმინები უკვე მიღებული იქვთ. ჩვენს ახალგზრდობას, აღზრდილს სხვა ტერმინოლოგიაზე, გაუძნელდება განათლებულ ერების კულტურის აღვილად შეოთვისება, ეს კი შეაფერებებს მათ განვითარებას.

ბ. ლ. ნათაძე აღნიშნავს, რომ ბ. მ. კონიაშვილის აზრი ფრიად დამახასიათებელია, შეიძლება ითქვას უმრავლესობისათვის.

კითხვა ასე უნდა დაისვას: ჩვენ ჯერ-ჯერობით არა გვაქვს არც ნაციონალური, არც ინტერნაციონალური ტერმინოლოგია. ჩვენ გვაქვს რომელზედაც ახლად უნდა დაიწეროს ტერმინები. ბერძნულ-ლათინური ტერმინები თუ ქართული. მე ძალიან მეშინიან იმ კონსერვატიზმისა, რომელიც სჩვევია საერთოდ პედაგოგებს: რაკი თითონ ესა და ის ტერმინი შეუთვისებია რაკი თითონ მას შესჩვევია, პედაგოგს ჰგონია, რომ მთელი მეცნიერება სწორეთ ამ ტერმინოლოგიაშია და მის გარეშე იგი

შეუძლებელია, მე მეშინიან აგრეთვე პედაგოგის ერთნაირ გონიეროვ სიცავითი ზარმაცისა: მასწავლებლისთვის ბევრად უფრო ადვილია შეჩვეული ტერმინების შემოღება, ვიდრე წმიდა ქართული ტერმინების პოვნა ხალხის ენაში ან ძველ ქართულში. ამიტომ არის, რომ მასწავლებელი მტრულად ხვდება ყველა ტერმინს.

როდესაც ტერმინოლოგის შემუშავებაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ უნდა შევთანხმდეთ იმაში, თუ ვისთვის და რისთვის არის იგი დანიშნული. მე მგონია ვერავინ იტყვის უარს ამნაირ დებულებაზე: ტერმინოლოგის მიზანი უნდა იყოს ხალხის ფართო წრებისათვის მეცნიერებისათვის შეთვისების გააღვილება.

3. კონიაშვილი კი იმას ჩივის, რომ ნაციონალური ტერმინები მოხერხებული იქნება იმ 50 ახალგაზრდისათვის, რომლებიც საზღვარ-გარეთ მიღიან სწავლის მისაღებათ. ნუ თუ შესაძლებელია ხალხში მეცნიერების გავრცელების დიადი მიზანი დაუმორჩილოთ ვიწრო წრის ინტერესებს.

ზოგს ჰგონია, რომ დიდს ინტერნაციონალისტობას იჩენს ის, ვისაც ინტერნაციონალობით ტერმინოლოგია უნდა, და ნაციონალისტობა მოსდის იმას, ვინც ნაციონალურ ტერმინებს უქერს მხარს. მე გამოიცა, როდესაც ასეთივე აზრი ბ. თავმჯდომარის პირველ სიტყვაში მოვისმინე. საუკეთესო ინტერნაციონალიზმი ის იქნება, როდესაც ჩვენ ხალხის ფართო წრებს რაც შეიძლება მეტად შევითვისებთ სამეცნიერო კეშმარიტებებს, რომლებიც უცხო მეცნიერებმა აღმოაჩინეს. ამის შეთვისება კი სწორედ სამშობლო ენაზეა ბევრათ უფრო მოსახერხებელი და სწორეთ ხალხისათვის გასაგებ ტერმინების საშუალებით.

ტერმინოლოგის შემუშავების ფილოლოგიური ის წრები, რომლებიც ჩვენ გვიჩვენა ბ. მომხსენებელმა, რასაკვირველია მისაღები და სახელმძღვანელოა. მაგრამ ამ სუფიქსების და პრეფიქსების ქართულ სიტყვებს უნდა დავურთოთ და არა უცხო სიტყვებს.

კამათი გადაიდო შემდეგი მორიგი კრებისათვის 29 თებერვალი.

სახალხო განათლების სამინისტროსთან არსებული სასწავლო კომიტეტის 29 თებერვალის 1920 წლის სხდომის ოქმი № 3.

თავმჯდომარეობდა ბ. ივ. ჯავახიშვილი.

წაკითხულ იქნა წინა კრების ოქმი და ბ. ლ. ნათაძის მიერ სიტყვის შესწორების შემდეგ მიღებული.

კამათი გრძელდება ბ. თავმჯდომარის მოხსენების ტერმინოლოგიის შემუშავების ძირითადი პრინციპების შესახებ.

სიტყვის თხოულობს ბ. მ. კონიაშვილი. იგი ამბობს, რომ ეროვნული პრინციპი, ტერმინოლოგიის შემუშავებაში, რომელიც ასეთ უკიდურესობამდის განავითარა ბ. დ. ნათაძემ არ არის მიზან შეწონილი, მაგალითად თუ ისეთს იარაღს, რომელსაც ჩვენ მიკროსკოპს ვეძახით ამბობს ბ. კონიაშვილი, „უჩინმაჩინას“ დავარქმევთ, განა ამით ჩვენ მოწაფეებს ან ხალხს გაუადვილებთ მის მნიშვნელობის გაგებას. მგონი არა. საქმე სახელში კი არ არის, არამედ შეთვისებაში, ჯერ ბავშვი უნდა გაეცნოს იარაღს და სახელი შეიძლება თვითონაც კი დაარქვას, ან მასწავლებელი ეტყვის, რომ ამ იარაღს ნასწავლი ხალხი ეძახის ამა თუ იმ სახელს. ასე, რომ ტერმინს შეთვისებაში არა აქვს ისეთი მნიშვნელობა, როგორც ამას ბ. ნათაძე აძლევს.

ჩვენი ხალხი კულტურულად ჩამორჩენილია არა იმისათვის, რომ ამ უცხო ტერმინებს ვერ ითვისებდა, არამედ იმისათვის, რომ სასწავლებლის კარები მისთვის დახშული იყო, მას არ აძლევდნენ სწავლის საშუალებას. თუ ჩვენ დაუსდეგებით იმ გზაზე, რომელსაც ბ. ლ. ნათაძე გვიჩვენებს, იძულებული ვიქნებით სვანებს, მეგრელებს და აფხაზებს სხვა და სხვა ტერმინოლოგია შევუშაოთ, რადგანაც მათვის ქართული ენა ვერ იქნება ისე გასაგები როგორც ბ. ნათაძე და სხვა მოითხოვენ. ეს კი ძალიან მოუხერხებელი და არა სასურველიც იქნება. ამას უნდა დავუმატოთ ის, რომ თუ ჩვენ ეს პრინციპი მივიღეთ, ვაი თუ შოვინისტებმა ისარგებლონ და ეს გზა ისე გააღრმავონ, რომ ყოველივე კუთხისათვის მოინდომონ ცალკე ტერმინოლოგია.

ბ. შალამბერიძე ამბობს, რომ აზრთა სხვა და სხვაობა გვაიძულებს ამ საკითხს სერიოზულად შევხედოთ. ტერმინოლოგია საჭიროა არა ვიწრო-წრისათვის, არამედ ხალხისათვის, დემოკრატიისათვის. ტერმინოლოგია საჭიროა უკანასკნელისათვის იმ ბრძოლისათვის, რომელსაც იგი ეწევა არსებობისათვის, ამ ბრძოლისათვის ჩვენ ფიზიკური ძალა არ შევწევს, რადგანაც მცირე რიცხოვანი ერი ვართ. ამისათვის საჭიროა მეორე გზა-გზა კულტურის მოვნახოთ ხალხის ეკონომიურ ბედნიერებისათვის. კულტურას კი შეითვისებს ხალხი მაშინ, როდესაც ტერმინოლოგია მისთვის საჭირო გასაგები, ე. ი. ეროვნული იქნება. ხალხი ვერ გაიგებს ტერმინს, თუ მასში გარკვეულ შინაარს არ ჩასდებს. ყოველივე ტერმინი

უნდა წარმოადგენდეს კანსპექტს ცნების შინაარსისას. ასეთი მიმართულება იყო და არის საფრანგეთში, გერმანიაში და ინგლისშიც კი. ისინი ცდილობენ გააეროვნონ ენა ეროვნული ტერმინების შემოღებით. განსაკუთრებით გერმანელები, რომელნიც ლათინურ ენასთან დაშორებას ცდილობენ. რაც შეეხება იმ აზრს, რომ თუ ეროვნულ პრინციპს მივიღებთ, მაშინ იძულებული ვიქებით სვანებს, მეგრელებს და აფხაზებს სხვა და სხვა ტერმინოლოგია შევუმუშაოთ, ეს ასე არ არის. არის ქართველი ერი და მისი სახელმწიფო და ვინც აქ სცხოვრობს. მოვალეა შეითვისოს საერთო ტერმინოლოგია.

ბ. ვ. კაკაბაძე ამბობს საკითხი კრებაზე სამწუხაროთ ასე ისმის. ქართული სამეცნიერო ტერმინი უცხო უნდა იყოს თუ ეროვნული. ასეთი საკითხი, ამბობს ბ. ვ. კაკაბაძე, არ უნდა არსებობდეს, თუ არსებობს ქართული ერი, ქართული ენა და სახელმწიფოებრივობა, რასაკვირველია ტერმინოლოგიაც ქართული უნდა იყოს. ყოველს ერს თავის საკუთარი ენა აქვს და სანამ ცოცხალი იქნება—ექნება კიდეც, ვინაიდგან, არავითარი საერთაშორისო ენა არ შექმნილა და არც შეიქმნება. იგრეთვე არ არსებობს საერთაშორისო სამეცნიერო ტერმინოლოგია.

განცალკევებულ სახელების ერთმანეთთან გადაბმა, შეზავება და სხვა ყოველ ქვეყანაში გაცილებით მეტი ეროვნულია. ამასთანავე სავსებით ერთგვარ კატეგორიის ცნებებს ზოგს ყველგან საერთაშორისო სახელი ჰქვია, ზოგს კი ყოველ ხალხში თავისი ეროვნული მაგ. ეროვნულია, ენერგია საერთაშორისო, ასეთს ულოლიკობის გასწორებას თვით ცხოვრება სცდილობს. ცხოვრებაში ემჩნევა, რომ საერთო სიტყვების რაოდენობა თან-და-თან ილევა, კლებულობს, ეროვნული კი იზრდება, მატულობს, ერთი წუთით დაუშვათ რომ დაწინაურებელ ქვეყნის ტერმინების შემოღებით მართლაც მოხდება ერთგვარი დაახლოვება ამ მოწინავე ერთან.

მაგრამ თუ ამ გზას დავადექით და ლოლიკას არ ვულალატებთ, მაშინ უჯობესი იქნება არა მარტო ტერმინოლოგია, არამედ მთელი მისი ენა გაღმოვინერვოთ, რომ მეცნიერებას პირველ წარმოებიდან უშუალო-ვლოთ დავეწაფოთ. მაგრამ ეს ხომ მოსპობს ქართულ ენის არსებობას. სწავლა განათლების ფართო გავრცელება და ხალხის დაწინაურებაც მოხდება მაშინ, როდესაც ტერმინოლოგია წარმოიშვება ცოცხალ და გასაგებ მშობლიურ ენის ფარგლებში, ამასთანავე ტერმინის ცნე-

ბის შეგნებას და შეთვისებას, უნდა ააღვილებდეს, ის თვით შინა-არსის გამომხატველი უნდა იყოს, ყოველ მის მარცვალში, რაც შე-იძლება მეტი აზრი უნდა თავდებოდეს. ამის მიღწევა კი დედა-ენის შემწეობით არის შესაძლებელი. ეროვნული ტერმინოლოგია საჭიროა ქართულ ენაზე შეიქმნას მით უფრო, რომ ქართული ენა განკერძოვებული შტოა ქვეყნიერების ენებისა.

ბ. ბ. ალ. წერეთელი, ალ. ჯავახიშვილი და კ. ბერიძე აღნიშნავნ, რომ გარევნული აზრი მიმართულება, რომელიც იჩენს თავს კამათის დროს, არ არიან არსებითად მოწინააღმდეგენი, რაღანაც უარს არავინ პყოფს, რომ უნდა შეიქმნას ტერმინოლოგია ქართული, ქართველი ერთისთვის, რომ ტერმინი იყოს გასაგები ხალხისათვის. უკიდურესი დამცველნი კი ეროვნული პრინციპისა არა თხოვულობენ, რომ ყოველი ტერმინი უჰქველად იყოს გაღმოქართულებული. აქ საერთო პოზიციაა ყველასათვის. ამისათვის მიზან-შეწონილი იქნება მოისპოს კამათი. მივიღოთ საერთო დებულება და გადავიდეთ მორიგ მუშაობაზე.

ბ. ახვლედიანი აღნიშნავს, რომ საჭიროა, როდესაც ვლაპარაკობთ ტერმინოლოგიის შემუშავებაზე, არ დავივიწყოთ, რომ ერთი არის ენა. მეცნიერებისა, მეორეა ენა სიტყვა-კაზმული მწერლობისა, ერთია სალი-ტერატურო ენა, მეორეა სალაპარაკო. აქ იყო აღნიშნული, რომ ტერმინი აუცილებლად უნდა ფართოდ გამოჰქონდეს ცნების შინაარსს უნდა იყოს მისი კონსპექტი. ეს მართალი არ არის. ასეთი გზა ყოვლად მიღებულია ტერმინოლოგიის შემუშავების დროს. ცნობილია, რომ რაც ცნობილია, რომ რაც ცნობილია, რომ არა ტერმინი განყენებულად გამოფიტულად გამოსთქვამს აზრს, მით ტერმინი აზროვნებისათვის უკეთესია, არც ის პრინციპია ყოველთვის მართალი, რომლითაც ყოველივე ცნება და იყოს გაღმოქართულებული რათა ხალხმა უკეთესად გაიგოს იგი მაგ. ახალ ლექსიკონში ის ექვივალენტად ნახმარებია „მხილავი“, — რევიზორი რომ დარჩენილიყო გაცილებით უკეთესი და გსაგები იქნებოდა ჩვენი ხალხისათვის ვიდრე „მხილავი“, რომელიც სავსებით ვერ გამოსთქვამს საჭირო ცნებას. უცხოირის გაღმოღება, მაინც არ არის ეროვნული პრინციპის დალატი, რადგანაც უცხო გაღმოღებულ სიყრვას უნდა მიეცეს მშობლიური ენის მოქნილება. უკეთესი იქნება განვაგრძოთ ის გზა, რომლითაც აქამდის ვიდოდით: ზოგი ჩვენი, ზოგი უცხო, უკანასკნელთ მივცეთ ჩვენი ენის მოქნილება და ასე წავიდეთ წინ.

ბ. ლ. ნათაძე ამბობს: ჩვენმა პლენუმში უნდა შეიმუშაოს სახელმძღვანელო პრინციპი, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს კომისიების მუშაობას ნაციონალური თუ ინტერნაციონალური. თუ პირველს მივიღებთ, მაშინ კომისიებს ეცოდინებათ, რომ მათ უნდა მონახონ ქართული სიტყვები ძველ სალიტერატურო და ახლანდელ სახალხო ენაში. უცხო სიტყვების შემოტანა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში შემოიტანოს და თუ ინტერნაციონალური ტერმინოლოგია ვარჩიეთ, მაშინ კომისიას ეცოდინება, რომ პირიქით წმინდა ქართული ტერმინები იქნება გამონაკლისი.

მე მინდა კიდევ ერთს დაბრკოლებაზე მიუთითო იმათ, ვინც სამეცნიერო ენის ინტერნაციონალიზაციის მომხრეა.

თუნდაც ოქვენი შემოიტანოთ ინტერნაციონალური სახელი არსებითი აქედან შემუშავება ზომისა, რომელიც აუცილებლივ დაგვჭირდება პირდაპირ შეუძლებელი იქნება, შეიმუშავეთ მაგ. სიტყვა გაელექტრონება, გაკლასიფიკაციება, ეს ქართული თავ და ბოლო სართების შუაჩავედილი უცხო სიტყვა ნამდვილი ბარბაროსულია და სრულიად წარყვნის ქართულ ენას. ამას ვერც მოახერხებთ და ის ენერგია, რაც ამაზე დაიხარჯება, უფრო მეტი იქნება, ვიდრე პირდაპირ ქართული ენის პოვნა. ისე, რომ ქართული ტერმინების შემუშავება მოითხოვს ხალხისა, მოწაფეებისა და თვით ტერმინოლოგიის შემუშავებელთა ენერგიის ეკონომია.

ბ. შანიძე ამბობს, მას შემდეგ, რაც ჩვენ ვიცნობთ ქართულ ენას, ვამჩნევთ, რომ მას აკლია მრავალი სიტყვები იმ ენებიდან, რომელთაც მას ჰქმნიან ცნობა და დამოკიდულება, სპარსული, არაბული, ბერძნული, რუსული, და სხვა ენებიდან. ჩვენ დანამდვილებით შეგვიძლიან ესთქვათ, რომ დღევანდელ ქართულ ენაში უმეტესი ნაწილი ტერმინებისა უცხოა, მაგრამ მიუხედავად ამისა ენა დარჩა მაინც ქართული, მასალა იყო სხვა, შენება კი იყო ჩვენი, ეროვნული და ამაში გამოიხატება ჩვენი უბედურება. ჩვენ უნდა ივიღოთ მასალა ქართული ენიდანაც და აგრეთვე უცხოებიდანაც, ხოლო აუცილებლივ უნდა ტერმინს მიცემოთ ქართული იგებულება, და ამ უკანასკნელს უნდა მიექცეს სწორედ დიდი ყურადღება. მასალა მეორე ხარისხოვან საკითხისა. რაც შეეხება მასალით სარგებლობას დღევანდელ ჩვენ ცხოვრების პირობების გამო, უკეთესი იქნებოდა უცხო ტერმინებს დავეყრდნოთ, რაღაცაც ეს გაგვიადვილებს განათლებულ ერების კულტურის შეთვისებას.

ბ. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კამათი უნებრივად დასარტყლდა უკელამ ვისაც კი სურვილი ჰქონდა გამოსთქვა თავისი აზრი. იმედი მქონდა, ამბობს ბ. თავმჯდომარე, კამათის დროს გავიგებდით ერთმანეთს და შევთანხმდებოდით, მე როგორც თავმჯდომარეს არ მინდოდა ჩავრეულიყავი კამათში.

ეს ორი მიმართულება, რომელიც კამათის დროს გამოირკვა, ერთი უცხოელების მომხრე, მეორე—ეროვნეობისა, ორივე უკიდურესია, მართალია, ორივე მიმართულებას მოჰყავს თავისი საბუთები, მაგრამ უკიდურესობა უშლის ხელს სამართლის აღდგენაში.

არ უნდა დავივიწყოთ რომ ენა თავის განვითარებაში სტიქიურად ითვისებს მრავალს უცხო სიტყვებს და შემდეგ თავისად იმჩნევს, ასეთი გზა განვლო ქართულმა ენამაც და ამათი განდევნა არც ეგრე ადვილია.

ეროვნების მომხრე ჯგუფის დებულება, რომ შევქმნათ ქართული ენის შემწეობით კარგი ტერმინი, რასაკვირველია, მისაღებია მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს არ არის ადვილი, თვით გერმანიამ, რომელმაც დიდი ხანია ასეთი მუშაობა დაიწყო, ჯერაც კი ვერ შესძლო უცხო გავლენიდან განთავისუფლება და აღსანიშნავია ის მოვლენა, რომ ომის დროს თვალსაჩინოთ პრემიებს უნიშნავდნენ იმათ ვინც ერთს ახალს ეროვნულ ტერმინს მაინც შეითვისებდა. მით უმეტეს ჩვენთვის უნდა იყოს ეს ძნელი. რადგან კულტურულდად მათთან შედარებით ჩამორჩენილნი ვართ, და მეორე—ტერმინოლოგიის შემუშავება გვიხდება განსაკუთრებით პირობებში, ცხოვრება საშინელი სისწრაფით მიღის წინ, მრავალს მოთხოვნილებებს გვირდგენს და თხოულობს მათ დაკმაყოფილებას. სხვათა შორის ცხოვრება მწვავად თხოულობს ტერმინოლოგიის შექმნას და თუ ჩვენ გატაცებული ეროვნული პირინციპებით შევქმნით მახინჯს ტერმინოლოგიას ეს დიდს ზიანს მოუტანს ჩვენს ცხოვრებას და შეაფერებს მის წინ სკლას.

ლექსიკონის ავტორებს დაურღვევიათ ქართული ენის კანონები, ქართული ტერმინოლოგიის შექმნა ადვილი არ არის. ეს ნამდვილი შემოქმედებაა, პროცესი დიდია. ჩვენ დრო არა გვაქვს დაშვიდებით შევიმუშაოთ ტერმინოლოგია, სანამ კი ხალხს გამოურკვეველობაში ვერ დატოვებთ. უნდა განისაზღვროს ყოველივე ტერმინის მნიშვნელობა, და ამ მუშაობის დროს გვერდი არ უნდა ავუქციოთ ძველს ჩვენს ტერმინოლოგიას და თუ შესაფერი ტერმინი აღმოჩნდება იმათში, მით ვისარგებლოთ



და ვეცადოთ შევიმუშაოთ ახალი. და თუ ვერ შევავსეთ ამ გზით ჩვენი ტერმინოლოგია, უნდა შევითვისოთ უცხო. მაგრამ ახლავე უნდა ვიგულისხმოთ, რომ ბევრი უცხო ტერმინის შეთვისება დაგვჭირდება, ხოლო, ყველა ამათ, რასაკვირველია, უნდა მივცეთ ქართული ენის აგებულობა. შემდეგ ცხოვრებაში თუ უკეთეს ტერმინს გამოვნახავთ, მაშინ რასაკვირველია, იგი მოიპოვებს უფლებებს. აი ამ გზით უნდა ვიაროთ. თუ ამაში არ შევთანხმდით, მაშინ ცხოვრება თავისას გაიტანს და არა იმათ სასარგებლოდ, ვინც უკიდურეს ეროვნების იცავს. ცხოვრება წავა თავის გზით და ჩვენი კომიტეტის მუშაობა დარჩება მის გარეშე გარიყული. ამისათვის ტერმინოლოგია საჩქაროდ უნდა შემუშავდეს, იგი გაეროვნებული უნდა იყოს, ხოლო რასაკვირველია, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

კამათის დასრულების შემდეგ სხდომამ, ერთის ხმის (ს. დანელიას) წინაღმდეგ მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

ქართული ენის სამეცნიერო ტერმინოლოგიისათვის საჭიროა უპირატესობა უნდა მიეცეს ან ძველ მწერლობაში და ენაში უკვე არსებულ შესაფერისს სიტყვას ან და ქართული ენის კანონებისამებრ შექმნილს ახალს სიტყვას. როგორც საჭირო სიტყვა არც ძველს და არც ახალს ენაში არ მოიპოვება და ვერც კომისიამ ვერ შექმნა შესაფერი ახალი ტერმინი, უნდა იქმნას გადმოღებული და გადმოქართულებული უცხო სიტყვა.

ბ. თავმჯდომარემ მოაგონა, რომ კომისიებში იწყება ახლა მუშაობა ამ ტერმინების ამოკრეფისათვის. საჭიროა ტერმინები სახელმძღვანელოებიდან იყოს ამოწერილი, ან წიგნში ხაზგასმული მაინც.

ბ. ა. შანიძემ შემოიტანა წინაღმდება, რომ ტერმინების აღნიშვნის დროს საჭიროა აგრეთვე იყოს აღნიშნული ეს ტერმინები რუსულად, ფრანგულად, გერმანულად და სხვა. ეს წინაღმდება კრებამ მიიღო.

გამოითქვა სურვილი ტერმინოლოგიის შემუშავების დროს შეერთებული იყვნენ დაკავშირებული დარგების კომისიები.

შემდეგი კრებისათვის (კვირას 7 მარტს) კრებას მოხსენდება სიტყვიერების კომისიის მიერ გარჩეული სახელმძღვანელოების შესახებ რეცენზია.

წ. ქ. გ. საზოგადოების გამოცემები:

(იყოდება წიგნის მაღაზიაში — რესთავებულის შრომაში. № 9 სასტუმრო  
„ორიანის“ ქვეშ).

1. შიო არაგვისწინელები წ. I.
  2. " " II.
  3. " " III.
  4. " " IV.
  5. მ. წინაშიძლვაზიშვილი — „გადამდები სწეულებანი და მათთან ბრძოლა“.
  7. ლ. არდაზანი — „სოფლის მექანიზაციაშვილი“.
  7. გ. ქუჩიშვილი — ლექსები და პოემები წიგნი III.
  8. ნ. ბარათაშვილი — ლექსები.
  9. ი. ჯავახიშვილი — საქართველოს საზღვრები საქართველოს რეპრი.
  10. ალ. ყაზბეგი — ელისო.
  11. ააკი — იგაფარაკები, კრილოვისა.
  12. ნესტ. კალანდაძე სახალხო ასტრანტია I ნ.
  13. " " " " II "
  14. " " " " III "
  15. გ. წერეთელი — რუხი მგელი.
  16. " " გადალიყი ჩიკოლიკი“.
  17. " მამიდა ასმათი.
  18. " შირველი ნაბიჭი.
  19. ი. შავთელი — აბდულა მესიანი.
  20. ხომლელი — ნ. ბარათაშვილი და შისი დრო.
  21. გ. ნათაძე — ინგლისის მოგლე ისტორია.
  22. ი. ჭავჭავაძე — განდეგილი.
  23. " მეგზავრის წერილები.
  24. " გაგო ქაჩალი.
  25. " კაცია ადამიანი?!
  26. " გლახის ნაამბობი.
  27. გ. ბარნოვი — ქართ. სიტუ. ისტორიის გამჭვილები.



28. ბ. ახვლედანი—რუსული ენის განმატიგა.
29. ივ. გომელაური—სკოლ. შესასწ. ქართველი მწერლები. წიგნი I.
30. ი. კოსტოზოვი—გონიცენტრიული სახელმძღვანელო ფიზიკის თარგ. ხუცა-შვილისა.
31. ალ. სასანაშვილი—ქართული სიტექიურების ისტორია მე-XVIII საუკ.
32. " " " " XIX "
33. ს. იაშვილი—მაგლე სახელმძღვანელო საზოგადო გეოგრაფიისა.
34. ი. გოგებაშვილი—დედა ქანა ნაწილი I.
35. " " " " II.
36. " " ბუნების კარი.
37. ქ. ხრამელაშვილი—არითმეტიკული ამოცანებ. და რიცხვ. მაგ. გრებული I ნ.
38. " " " " " " II "
39. " არითმეტიკის სახელმძღვანელო.
40. დ. კლდიაშვილი—მთხოვნები ტოში I.
41. დანიელ ჭონქაძე—სურამის ციხე.
42. შ. მდგიმელი—ცვარი.
43. " აქტოს თავთავი.
44. " ქუნწი და ნატერა.
45. " ჩემი უგავილები.
46. ი. გოგებაშვილი—თავდადებული ქართველნი.
47. " დავ-ნანამ რა ჟენა.
48. " ასპინძის ოში.
49. " რუსული სიტონი.
50. " " " " II
51. ნ. ლომიური—ქავანა.
52. " ალი.
53. ი. ევდოშვილი—საუმაწვილო მთხოვნები.
54. დანიელ დევო—რობინზონ გრუზი.
55. ი. მკედლიშვილი—მწევმისის წერილები.
56. ბ. შარაშიძე—ჟავრი და სითბო.
57. " შეხის ამბავი.
58. ს. იაშვილი—მთგლე სახელმძღვანელო ბუნების მეტეორებისა 1 ნ.
59. " " " " " " II ნ.
60. კუდრიავსკი—როგორც ცხოვრობდნენ ქეყლად ადამიანები (მე-3 გამოცემა).

61. ମେଳାନିର— „ଦ୍ବେଲୁଙ୍କ“.
  62. o. ଶ୍ଵାଶ୍ଵାଶ୍ଵାଶ— „ଅତାରାନିତ ପ୍ରକିଳ୍ପିତ“.
  63. ଯ. ମଧ୍ୟବିନ୍ଦୀମେଳି— „ଲ୍ୟାକ୍ଷ୍ମୀଦୀ I ବିଗନ୍ଦି“.
  64. ଥାର୍ତ୍ତିର୍ଯ୍ୟକ— „କୋଣାରକ ଟ୍ରେଲିଙ୍ଗ୍ଜର୍ବିଂ“.
  65. ଶାଖା-ତମ୍ଭାଶ୍ଵେତା— „ଶାଖମାଫିଶିଲ୍ଲ ମହାକାଳପିଂବି“.

ବୀଜୁକ୍ଷଦେହ ଓ ମାଲ୍ଲ ପାଦିର୍ବା ପାଶାଶ୍ଵିଦାତ:



რედაქციისაგან:

უურნალის მე 2 №-ში მოთავსებული წერილის (განათლების  
თხი აფხაზეთში, გვერდი 65) ზოგიერთი აღილი, როგორც შეკრ  
ცნობებიდან გამოირყა, სრულიად არ შეეფერება სიმართლეს: სეჭია-  
რის დირექტორი შესაძლებლობის ფარგლებში სცდილობს ნაციონალი-  
ზაციის პრინციპის ცხოვრებაში გატარებას და, საზოგადოთ, მოქმედობს  
ისე, როგორც მას უკარნახებს დღის მომენტი და რესპუბლიკის ინტე-  
რესები... ქართულ გიმნაზიას განათლების სამინისტრო დიდის თანაგრძ-  
ნობით ეკიდება და ყოველთვიურ დახმარებას აძლევს 14.000 მანეთამდე...

# განცხადება.

ლიპიშვილი სახაზნიარო-პილაგოგიური უნივერსიტეტი

## გ ა ნ ა თ ლ ე მ ე ბ

გამოცემა სრულ. საქართვ. მსწავლებელთა კავშირისა 1920 წ. გა-  
ე ა თ ი ნომერი შემდეგი პროგრამით: 1) ოფიციალი განყოფილება,  
ფილოსოფია, 3) პედაგოგიკა, 4) ისტორია და სოციოლოგია, 5) პუ-  
ას-მეტყველება და მათემატიკა, 6) პოლიტიკური ეკონომიკა, 7) აგ-  
რარისტიკა, 8) ტეხნიკა, 9) კონპერაცია, 10) კრიტიკა და ბიბლიოგრა-  
ფია (1) ქრინიკა, 12) განცხადებანი და სხვა.

თანამშრომლებად მოწყველია ქართველ მეცნიერთა საუკეთესო ძა-

უურნალ „განათლების“ ხელის მომწერთა და მასწავლებელთა  
კავშირის განუოფილებათა

## საყურადღებო.

სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის საბჭო დაბეჯითებით  
სთხოვს უურნალ „განათლების“ ხელის მომწერთ კეთილ ინებონ უურნა-  
ლის ფასის მეორე ნახევრის შემოტანა 15 მარიამბის თვემდის. აგრეთვე  
ცსონევთ სამაზრო და საქალაქო კავშირის განუოფილებებს ენერგიულად  
შეუწყონ ხელი უურნალის გავრცელებას.